ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო
საინფორმ. ციო-განყოფილების
ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-კლასისათვის 75 კ., დაწესებულებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებების ფასი: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ციფრებით—25 კ. [illegible]—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

ხუთშაბათი, 15 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 12 (1167)

დღიური

— რუსის [illegible] ([illegible]) [illegible]
— [illegible] [illegible] ლის გაზეთების გამოცემა.
— [illegible] ჯარის [illegible] გაიყვანეს.
— [illegible] 25 [illegible]
— ჩინეთში განახლდა სამოქალაქო ომი.

ხუთშაბათს, იანვრის 15, საღამოს 7 საათზე დანიშნულია
საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ცაკის მდივანი სილ. თოდრია.

პარასკევს, 16 იანვარს, თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგში წამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხი:
„პარტიის ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ“.
მოხსენების ჩასატარებლათ სხვადასხვა უჯრედები ერთდებიან რაიკომების მიხედვით.
თ. კ. მდივანი ასრიბეკოვი.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

გუშინწინ გამოქვეყნებული გვქონდა ჩვენი პარტიის ცეკას ცირკულიარი ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი, რომელიც ავალებს მათ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოებას მისი მიზნის განხორციელებაში. სადაც ამ საზოგადოების უჯრედი დღემდე არ არსებობს, უნდა მიიღონ ზომები ასეთის შესაქმნელად. ამისათვის საჭიროა დროებითი საინიციატივო გამგეობათა შედგენა და საავიტაციო კამპანიის ჩატარება. წერა-კითხვის უცოდინარობას მებრძოლ საზოგადოების უჯრედების ჩამოყალიბება უნდა დამთავრდეს მაისის პირველამდე. ამ დროისათვის უნდა მოეწყონ საზოგადოების სამაზრო კომიტეტები. 30 მაისისათვის განზრახულია ამ საზოგადოების სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევა.

ასეთია ცეკას ცირკულიარის შინაარსი.

ჩვენში ბოლო დროს მრავლად ეწყობიან სხვადასხვა საზოგადოებანი: საჰაერო ფლოტის მეგობართა, ქიმიის მეგობართა და მრავალი სხვა. ყველა მათ უეჭველად აქვთ უდიდესი მნიშვნელობა. მაგრამ პირველ რიგში უდავოდ უნდა დავაყენოთ წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოებანი.

დღეს ჩვენ არ დაგვჭირდება სიტყვის გაგრძელება მშრომელ მასაში წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის, მისი კულტურული დონის ამაღლების მნიშვნელობაზე. წერა-კითხვის ცოდნა—ეს ძირითადი პირობაა, ურომლისოდ შეუძლებელია მოქალაქემ მიიღოს შეგნებული მონაწილეობა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ წერა-კითხვის ცოდნას მოკლებული ხალხი წარმატებითი კოლექტიურ და სოციალისტურ აღმშენებლობას ნაკლებად შესძლებს.

საბჭოთა ხელისუფლება კი თვით მშრომელთა ძალა-უფლებაა, მაშასადამე, მათ უნდა მიიღონ ქვეყნის მართვა-გამგეობაში და აღმშენებლობითი მუშაობაში აქტიური და ფართე მონაწილეობა. ხოლო ეს აღმშენებლობა, როგორც მისი ხელმძღვანელი—საბჭოთა ხელისუფლება, მიზნად ისახავს სოციალიზმის დამყარებას, რაც გულისხმობს მშრომელ მასსის საკმაოდ მაღალ კულტურულ დონეს, რომ არ ვილაპარაკოთ უბრალო წერა-კითხვის ცოდნაზე.

ჩვენი ხალხი კულტურულად ჩამორჩენილია, ისე როგორც ეკონომიურად. ძველი მთავრობები თავს არ იწუხებდენ მშრომელი მასსის გათვითცნობიერებაზე. პირიქით, მისი უმეცრება, სიბნელე შეადგენდა მათი ბატონობის საფუძველს.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება, თავის თავად ცხადია, ვერ შეურიგდება მშრომელ მოსახლეობის სიბნელეს და უმეცრებას. ის ყოველ ზომას იღებს, რათა აღმოუხვრას წარსულის ეს წყეული მემკვიდრეობა, პირველ ყოვლისა წერა-კითხვის უცოდინარობა. ჩვენი ლოზუნგია—არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი საბჭოთა რესპუბლიკაში. ამ ლოზუნგის განხორციელებლად მუშურ-გლეხური მთავრობა არ იშურებს საშუალებებს თავისი ღარიბი ხაზინიდან. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენი სახელმწიფო—ჯერ კიდევ იმდენად ღარიბია, რომ მარტო მთავრობას არ შეუძლია ამ დიდი ამოცანის სავსებით გადაჭრა.

ამ საქმეში მას გვერდში უნდა ამოუდგნენ თვით მშრომელნი. ამ მიზნით ისინი უნდა შეკავშირდნენ და გაიღონ თავიანთი წვლილი. წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების უჯრედებით უნდა დაისეროს მთელი ქვეყანა. მის წევრად უნდა გახდეს თვითეული მუშა და გლეხი, ყოველი პატიოსანი მოქალაქე,—აქტიურ წევრად, რომელიც როგორც პირადი საქმიანობით, ისე ნივთიერად ხელს შეუწყობს ამ საქმის წარმატებას.

გლეხობა მოწყურებულია ცოდნას. მისი მნიშვნელობა მას შეგნებული აქვს. მას უნდა გაზეთი წაიკითხოს, ქვეყნის ამბავი გაიგოს, წიგნაკებიდან აგრონომიული და სხვაგვარი ცოდნა შეიძინოს, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი მოკლებულია ამის საშუალებას. მას გული სტკივა, რომ უკუღმართი წარსულის წყალობით ასე ჩამორჩენილია და ცდილობს ახლა მაინც დაეწიოს ცხოვრებას, ისწავლოს წერა-კითხვა, შეიძინოს ცოდნა, გახდეს შეგნებული მოქალაქე.

მრავალ ადგილას ჩვენ კიდეც ვხედავთ, რომ გლეხები ხალისით დადიან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში და გულმოდგინეთ მეცადინეობენ. მაგრამ ასეთი სკოლები ბევრგან კიდევ არ არიან გახსნილი, არსებულნიც ზოგან ვერ არიან სათანადოდ მოწყობილნი და უზრუნველყოფილი საჭირო ნივთებით. და ეს იმიტომ, რომ მთავრობას არ გააჩნია საშუალება ამ დარგში არსებულ მოთხოვნილებათა სავსებით დასაკმაყოფილებლად.

აი, ამიტომ არის საჭირო თვით მშრომელთა საზოგადოებრივობის ამოძრავება ამ საქმის გარშემო. ამისათვის უნდა იქნას გაწეული ფართე საავიტაციო-საპროპაგანდო კამპანია და ორგანიზაციული მუშაობა.

ეს საქმე უნდა იკისრონ ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა და გააჩაღონ ამ მხრივ ენერგიული მუშაობა.

გარდა პირდაპირი მიზნის—წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის—ამ კამპანიით პარტია უფრო დაუახლოვდება უპარტიო მშრომელ ხალხს, გლეხობას. ამასთან ეს კამპანია ხელს შეუწყობს სოფლად საბჭოთა საზოგადოებრივობის განვითარებას.

შრომის ნაყოფიერების გადიდების კამპანიის შედეგები და პერსპექტივები

წინასწარი ცნობები საბჭოთა რესპუბლიკების საწარმოო დაწესებულებების 1923—1924 წლის ბალანსის შესახებ უკვე აღნიშნავენ იმ შედეგებს, რომელიც მოყვა ჩვენ მიერ 1924 წლის მეორე ნახევარში დაწყებულ შრომის ნაყოფიერების გადიდების კამპანიას. თვითეული მუშის მიერ დამუშავებულ ფაბრიკატების რაოდენობა 1924 წლის მეორე ნახევარში გაიზარდა, ნედლეულობის და სხვა მასალების ხარჯვა და აგრეთვე ზედდართული ხარჯები—შემცირდა.

ამ მიღწევების ასახსნელად საჭიროა გავითვალისწინოთ ჩვენ მიერ დაწყებულ კამპანიის ხასიათი.

ჩვენი მრეწველობის წინაშე დასმული იყო სამი ძირითადი ამოცანა: 1) ყველა რვა სამუშაო საათის სრულათ გამოყენება; 2) მასალების ეკონომიურათ ხარჯვა და 3) ზედდართული ხარჯების შემცირება.

როგორ შევუდექით ჩვენ ამ ამოცანების გადაწყვეტას? ძველი, ნაცადი გზით,—მუშათა მასების დაინტერესებით,—მუშათა ფხრის მობილიზაციით ამოცანების გარშემო. ეს ყურადღება ორგანიზაციულად განმტკიცებული იყო მუშათა ორგანიზაციების საშუალებით (საწარმოო კომისიების თათბირები, წრეები), რომლებმაც ხელი მოკიდეს ამ საკითხების გადაწყვეტას.

ანგარიშების შედგენის საქმის მოგვარებით ჩვენ საშუალება მოგვეცა თვალყური გვედევნებია მდგომარეობისათვის და დაგვეწესებია ცვლილებები ამა თუ იმ მიმართულებით.

რას ნიშნავს რვა სამუშაო საათის სრულიად გამოყენება?

ეს ნიშნავს—დროის გაცდენის მოსპობა, ბრძოლა ავადმყოფობის სიმულიაციასთან, ფაბრიკის მოუწყობლობის გამო. დროის ტყუილად დაკარგვის მოსპობა. ეს ნიშნავს კიდევ კვალიფიციური მუშის განთავისუფლებას არაპირდაპირ მოვალეობისაგან; დამხმარე სამუშაო უნდა დაეკისროს განსაკუთრებულ შტატს, ანდა, შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს მისი მექანიზაცია: ფაბრიკაში და თვითეულ ცეხში შემოღებული უნდა იქნეს წინასწარ შემუშავებული წესრიგი, უნდა მოხდეს იმ მანქანების რაოდენობის გადიდება, რომლებზედაც თითო მუშა მუშაობს. ყველა ასეთი და ამდაგვარი ღონისძიებები, რომელთა მიზანია სამუშაო დღის დატვირთვა, შედის ზემოაღნიშნულ ამოცანაში.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ნედლეულობის და მასალების ეკონომიური გამოყენების ამოცანა. ნედლეულობა და მასალები მსუბუქ მრეწველობაში შეადგენენ ფაბრიკატის ღირებულების სამ მეოთხედს. მათი უფრო ეკონომიურათ გამოყენება საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ფასები. თავისი სიმწვავე არ დაუკარგავს აგრეთვე ბრძოლას ზედდართული ხარჯების შემცირებისათვის.

ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ჩვენ მიერ ამ სამი მიმართულებით მიღებულ ღონისძიებების პირველი შედეგებია.

როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდების საერთო პრობლემის ნაწილი, ჩვენს წინ წამოიჭრა საკითხი მრეწველობის ძირითადი კაპიტალის აღდგენის შესახებ. ომსა და რევოლუციის განმავლობაში ჩვენი ფაბრიკების მოწყობილობა გაცვდა, უკეთეს შემთხვევაში კი შესამჩნევათ მოძველდა თავისი კონსტრუქციით.

ძირითადი კაპიტალის აღსადგენათ, თუ გინდ ნაწილობრივათაც კი, საჭიროა საშუალებები. სად ვიშოვოთ ისინი? პირველ რიგში, რასაკვირველია, თვითონ ფაბრიკაში. საჭიროა, მაშასადამე, ნაწარმოების თვითღირებულების იმდენათ შემცირება, რომ შესაძლებელი გახდეს ფასების დაკლება და იმავე დროს აუცილებელი ფონდის დაგროვება ძირითადი კაპიტალის აღსადგენათ.

შრომის ნაყოფიერების გადიდების და ძირითადი კაპიტალის აღდგენის პრობლემა—ხანგრძლივი პრობლემაა. ეს პრობლემა მრავალი წლების განმავლობაში იქნება მოქცეული ჩვენი ყურადღების ცენტრში.

აგიტაციის პერიოდიდან ჩვენ ნაწილობრივ საქმის პერიოდში გადავედით. ყველა საწარმოო დაწესებულებებმა მიზნათ დაისახეს ამ საკითხების გადაწყვეტა და, რაც მთავარია, უკვე მიაღწიეს ზოგიერთ შედეგებს. მაგრამ ეს შედეგები არ არის საკმაო. საჭიროა მიღებული ღონისძიებების კიდევ უფრო გაუმჯობესება, რომ შევძლოთ ფასების დაკლება და ჩვენი მრეწველობის კიდევ უფრო განვითარება.

ს. ქ.

კონტრ-რევოლუციონური ემიგრაციის ზღაპრები

ვინ არ იცის, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ ყველა ჯურის კონტრ-რევოლუციონერები. პირველ რიგში, რასაკვირველია, წყეულკრულივით განშორდენ რევოლუციონურ რუსეთს უკიდურესი რეაქციონერები, მონარქისტები, ოქტომბრისტები და სხვ. მათ თან მიჰყვა რუსეთის ბურჟუაზიის პარტია კადეტებისა, რომელიც ორ ბანაკათ გაითიშა. ამის შემდეგ ევროპის ცივილიზაციას და „ევროპიულ სოციალიზმს“ მიაშურეს მემარჯვენე და მემარცხენე ესერებმა და აგრეთვე მენშევიკებმა. ამრიგათ წარმოიშვა საკმაოთ მოზრდილი ბანაკი საზღვარგარეთული კონტრ-რევოლუციისა, რომელსაც აერთებდა და აღფრთოვანებდა მხოლოდ ერთი საერთო მიზანი: დაცემა საბჭოთა რუსეთის და გამარჯვება ბურჟუაზიის და მემამულეების დიქტატურისა.

ჩვენი ემიგრანტები სულ იმის ოცნებაში იყვნენ, თუ როგორ მალე დაიმსხვრეოდა ბოლშევიკების დიქტატურა. არ გამართლდა ეს ოცნება და იმედები. მაგრამ ამის შემდეგ მათში გაიღვიძეს ახალი იმედის სხივებმა: ეს იმედი ემყარებოდა ჩვენი პარტიის გახრწნას შიგნიდან. ყოველი ახალი ცნობები რ. კ. პარტიაში აზრთა სხვადასხვაობის და უთანხმოების ფრთებს ასხამდა ამ ჭრელ ემიგრაციას. სულ იმაზე ლაპარაკობდენ გასულ წელს, რომ ლენინის გარდაცვალების შემდეგ მოხდება პარტიაში გათიშვა და ამით შინაგანი ფრონტის გარღვევაც. გასულ წლის დისკუსიამ კიდევ უფრო აღუძრა მათ ასეთი გრძნობები. არ გამართლდა არც ეს ოცნება.

ეხლა ჩვენს პარტიას აქვს უთანხმოება ამხ. ტროცკისთან ოქტომბრის გაკვეთილების შეფასებაში, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ანალიზში. „პრავდაში“ იბეჭდება მთელი რიგი წერილებისა „პერმანენტული“ რევოლუციის თეორიის შესახებ. დასავლეთ-ევროპაში გადახვეწილი კონტრ-რევოლუციონერები ფიქრობენ: ეხლა კი მაინც დაჰკრა საათმა ბოლშევიზმის აღსასრულისა. ისინი ამაზე სერიოზულათ ფიქრობენ. საინტერესოა თუ რას სწერენ ჩვენზე ემიგრანტები, როგორი ფანტასტიური ცნობებით იკვებებიან ისინი.

ნურავის ნუ ეგონება, რომ ზღაპრებს ჩვენს შესახებ მარტო კადეტები და სხვა უკიდურესი მემარჯვენეები ავრცელებენ. არა. ამაზე სერიოზულად ზრუნავენ ევროპაში მყოფი ჩვენი „მემარცხენე“—მენშევიკებიც. მოვიყვანოთ რამოდენიმე ზღაპრები.

ზღაპარი № 1

აი, მაგალითად, რას სწერენ მილიუკოვის გაზ. „Последние Новости“ (№ 1432) 1924 წლის 24 დეკემბერს. ამ ცნობის სათაურია „ტროცკი“. თვით ცნობა კი შეიცავს შემდეგს: „საზღვარგარეთელი ჟურნალ-გაზეთები სავსეა ცნობებით მოსკოვში და საბჭოთა სოც. რესპ. კავშირის სხვა ცენტრებში მომხდარ მღელვარების და არეულობის შესახებ, რაც გამოწვეულია ტროცკის სამხრეთში გაგზავნით თითქოს ავადმყოფობის გამო. გვაცნობებენ სტალინის შეპყრობას ტროცკის ერთგულ წითელი არმიის ნაწილების მიერ, მის განთავისუფლებას ტროცკისტების და ს. პ. მართველობის (Г.П.У) ჯარებს შორის ცხარე ბრძოლის შემდეგ“. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია აქ კომენტარიების გაკეთება. ყველასათვის აშკარაა, რომ ეს მხოლოდ კონტრრევოლუციონური ემიგრაციის სიზმარია. თუ ეს ცნობა მოვიყვანეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველი ქართველი მუშა და გლეხი დარწმუნდეს იმაში თუ რითი ცხოვრობენ „უმუშევარი“ ემიგრანტები.

ზღაპარი № 2

მილიუკოვის გაზეთ „Последние Новости“-ს გულწრფელათ სწამს, რომ რუს. კომპარტიის მასსებს და მის ხელმძღვანელებს შორის სასტიკი ბრძოლაა, რომ მასსები, პარტიის წევრები მოითხოვენ კრებებს თავისუფლებას მიმდინარე მომენტის გასარჩევათ და რაიკომები მათ ამის ნებასაც არ აძლევენ. მაგრამ როდესაც კომისარიატების ბიუროები მაინც აწყობენ ასეთ კრებებს, მაშინ მათ ატუსაღებენ რაიკომების ბრძანებით. ამრიგათ ჩვენ გვაქვს ზღაპარი № 2, რომელიც ამბობს: **„19 და 20 დეკემბერს მოსკოვში დაატუსაღეს მოსკოვის გარნიზონის კომისარიატების ბიუროს წევრთა უმრავლესობა...“** (№ 1434, 27 დეკ. 1924 წ.) და ეს სტრიქონები შავი ასოებით არის დაწერილი. ჩანს რედაქცია დიდის სერიოზულობით მოეპყრა ამ ცნობას, რომელიც გადაცემულია რიგიდან (საკუთარ კორესპონდენტისაგან). ასეთი ზღაპრების გამრავლება კიდევ შეიძლება. აი მაგალითად, არის ცნობა კვლავ წითელ არმიელების მიერ მოწყობილ აჯანყებაში 18 დეკემბერს, მოსკოვში და ასე შემდეგ. ჩვენს ემიგრანტებს სწამთ, რომ ამ უკანასკნელ დისკუსიას კომპარტია ვერ გაუძლებს და საბოლოოდ გაიხრწნება. მაგრამ შეიძლება ასეთ ყალბ ცნობებს მარტო მილიუკოვის გაზეთი ავრცელებს? ვნახოთ.

ზღაპარი № 3.

ბერლინში გამოდის მენშევიკების ჟურნალი „Социалист. Вестник“. აი რა ცნობას ვპოულობთ ამ ჟურნალის № 21 (10 ნოემბერი, 1924 წ.) „მოსკოვი. ტროცკის თხზულებების კონფისკაცია. მოსკოვიდან ჩვენ გვაცნობებენ, რომ „პრავდაში“ (№ 251) ტროცკის წინააღმდეგ მოთავსებულ უზარმაზარ წერილის შემდეგ, ტროცკის თხზულებების (გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობის) მესამე ტომს, რომელიც შეიცავდა 1917 წ. შეფასებას, პოლიტბიუროს განკარგულებით კონფისკაცია უყვეს ზინოვიევის და კამენევის მკაცრი კრიტიკის გამო“.

ჩვენმა მკითხველებმა და არა მარტო მკითხველებმა იციან, რომ ტროცკის თხზულებებს არა თუ კონფისკაცია უყვეს, არამედ, პირიქით, მეორეხელ გამოსცეს ისინი 40.000 ეკზემპლიარათ. ამას გარდა ამხ. ტროცკის წინასიტყვაობა გადაბეჭდილ იქნა სხვა გამოცემებშიც. მაგრამ მენშევიკებს ეს არ სწამს, არც სურთ იწამონ. მათ სურთ იწამონ მხოლოდ ჩვენი პარტიის გახრწნა. ისინი ფიქრობენ, რომ ეს დისკუსია მაინც ბოლოს მოუღებს ბოლშევიზმს.

ამაოა ეს ფიქრები! ფუჭია ეს იმედები! გასული 7 წლის ისტორიამ ვერაფერი ვერ ასწავლა მენშევიკებს, ვერც მათ მემარჯვენე ძმებს. დისკუსიამ გასულ წელში, არა თუ დაასუსტა ჩვენი პარტია, პირიქით, გაამაგრა ის. დღევანდელი დისკუსიაც ასეთ შედეგს მოიტანს. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ არასოდეს პარტიის წევრებში არ ყოფილა ისეთი მძლავრი სურვილი პარტიის ისტორიის შესწავლისა, როგორც ეხლა. ყოველი პარტიული ამხანაგი ცდილობს გაერკვეს მიმდინარე უთანხმოებაში, გაიგოს „პერმანენტული რევოლუციის“ თეორია ერთის მხრივ და ჩასწვდეს ლენინის თეორიას. მეორეს მხრივ ყოველივე ამის შედეგია პარტიული შეგნების კიდევ უფრო ამაღლება და განმტკიცება. ყოველ ახალ დისკუსიას მოაქვს ობიექტიურათ მხოლოდ ლენინიზმის პოზიციების გაძლიერება-გამაგრება, ასეთია სინამდვილე. ეს სინამდვილე არ სწამთ საზღვარ-გარეთელ კონტრ-რევოლუციონერ ემიგრანტებს, რომელთაც ასეთი ტკბილი სიზმრები ესიზმრებათ ჩვენ შესახებ. მაგრამ ჩვენი პარტიის ვაჟკაცობის და საბჭოთა ხელისუფლების კიდევ უფრო განმტკიცება ფაქტია. ჩვენს ემიგრაციას არ შესწევს გამბედაობა იცნოს ეს ფაქტი.

ძ. ორაგველიძე.

„ახალი საქართველო“

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ბერლინი, 14 იანვარი. გამოვიდა „ახალი საქართველო“ № 2.

ამერიკა პრაქტიკულ ნაბიჯებს სდგამს ჩვენი ცნობისათვის
საბჭოთა კავშირში ამერიკა გზავნის კომისიას სენატორ ბორას მეთაურობით
ჩვენი დამოკიდებულება ინგლისთან გაუმჯობესდა
იაპონიასთან მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს
ლიუტერს იმედი აქვს, რომ მოახერხებს მთავრობის შედგენას

ამერიკა გვიცნობს

ნიუ-იორკი. 13 იანვარი. „იუნაიტედ პრესს“-ის სააგენტო იუწყება ვაშინგტონიდან: „კულიჯის პირად საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ აქტად, რომლის გატარებასაც ის ჰფიქრობს იუზის წასვლის შემდეგ, იქნება კომისიის დანიშვნა საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის გასარკვევათ. სენატორი ბორა, იღებს რა მხედველობაში იმას, რომ პრეზიდენტი კულიჯი მომავალში დანიშნავს ასეთს კომისიას, მზადაა ჯერ-ჯერობით არ მოითხოვოს საბჭოთა კავშირის ცნობა, იმ პირობებს შორის რომელსაც წამოაყენებენ საბჭოთა კავშირის ცნობის წინ, არ იქნება ამერიკელ მოქალაქეთა პრეტენზიების დაუყოვნებელი დაკმაყოფილება ნაციონალიზაციაქმნილ საკუთრებისათვის და დროებითი მთავრობის ვალების გადახდა, რის გამოც ფიქრობენ, რომ ცნობა მოხდება მანამ, სანამ მოგვარდებოდეს საკითხი ამ პრეტენზიების შესახებ“.

ყველა ცნობების მიხედვით კულიჯსა და ბორას შორის ერთსულოვნება სუფევს საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებში. ყველაში აღნიშნავენ, რომ იუზის გადადგომასთან ერთად ბორას გავლენა ძალიან გაიზრდება და რომ ის ითამაშებს უდიდეს როლს ამერიკის საგარეო პოლიტიკაში.

ამერიკა კომისიას გზავნის

პარიზი. 13 იანვარი. „ენფორმასიონ პოლიტიკა“-ს მოჰყავს ლონდონიდან მიღებული ცნობა, რომლის თანახმად ვაშინგტონში იხილავენ საკითხს საბჭოთა კავშირში სენატორ ბორას თავმჯდომარეობით ამერიკულ კომისიის გაგზავნის შესახებ.

რას ფიქრობს კულიჯი

ნიუ-იორკი. 13 იანვარი. პრეზიდენტთან ახლო მდგომ წრეების ერთერთმა ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა განაცხადა: პრეზიდენტს იმედი აქვს იმისა, რომ მდგომარეობა რუსეთში იმგვარად განვითარდება, რომ საბჭოთა კავშირი შესძლებს იკისროს განათლებულ ქვეყნის მოვალეობანი სხვა სახელმწიფოებთან ერთად. პრეზიდენტის პოზიცია რუსეთისადმი ისეთივეა, როგორც ეს გამოთქმული იყო კონგრესისადმი გაგზავნილ წერილში 1923 წლის დეკემბერში. პრეზიდენტი ნოელის შემდეგ პროგრესს.

ამერიკის საერთო საგარეო პოლიტიკის შესახებ იმავე პირმა განაცხადა: „ძალიან საეჭვოა, რომ მოხდება რაიმე ცვლილება ამ პოლიტიკაში. იგი თანდათან განვითარდება, მაგრამ მიმართულება ერთი და იგივე დარჩება.

ეს განცხადება ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ **კულიჯი ფიქრობს შეიცვალოს პოლიტიკა საბჭოთა კავშირისადმი, მაგრამ დღევანდელ მომენტში ჯერ კიდევ შესაფერ საბაბს ვერ ხედავს.**

კონსერვატორები თავს იწუხებენ

ლონდონი, 13 იანვარი. მრავალი კონსერვატიული გაზეთები, რომლებსაც გუშინ არ დაბეჭდეს რაკოვსკის საუბარი ჩემბერლენთან, ეხლა ამ საუბრის შესახებ ათავსებენ თავისი დიპლომატიური კორესპონდენტების წერილებს. ამ წერილებში აღნიშნულია, რომ ჩემბერლენის განცხადება იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობა არ ერევა ბალკანეთის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში, არ ნიშნავს დათმობაზე წასვლას საბჭოთა მთავრობის მიმართ; ეს განცხადება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ინგლისი არ ერევა სხვა ერების შინაურ საქმეებში, რამდენათაც ეს საქმეები არ ეხებიან დიდ ბრიტანეთის უშუალო საარსებო ინტერესებს.

შემდეგ წერილები აღნიშნავენ, რომ გადაჭარბებული იქნებოდა მტკიცება იმისი, თითქოს ჩემბერლენის პოზიცია ნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა ამ ჟამათ ფიქრობს მიიღოს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებებით. ამასთანავე წერილებში გამოთქმულია ის აზრი, რომ **ლონდონში ყოველ შემთხვევაში ყურადღებით „განიხილავს წინადადებას ახალი საქმიანი საგარეო შეთანხმების დადების შესახებ, რამდენათაც ეს შეთანხმება დააკმაყოფილებს საგარეო ეთიკის ძირითად პრინციპებს“.**

იაპონია და საბჭოთა კავშირი

ტოკიო. 13 იანვარი. „როსტას“ კორესპონდენტთან საუბრის დროს იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა ძალიან ოპტიმისტური შეხედულება გამოთქვა იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების გამო. მან განაცხადა, რომ მოლაპარაკება არ შეიძლება შესწყდეს წვრილმანებში შეუთანხმებლობის გამო, ვინაიდან მთავარი საკითხები უკვე მოგვარებულია პრინციპიალურად, თუმცა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩება ზოგიერთი მუხლები.

მთელი იაპონური პრესა დიდ სიხარულს გამოსთქვამს იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების წარმატებით დასრულების გამო.

არსებულ ცნობების თანახმად, იაპონიის მთავრობამ 13 იანვარს მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება და იოშიზავას გაუგზავნა სათანადო ინსტრუქციები.

ინგლისთან დამოკიდებულება გაუმჯობესდა

მოსკოვი. 16 იანვარი. მოსკოვში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლონდონში—რაკოვსკი. რაკოვსკიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირის და ინგლისის ურთიერთობა ამ ჟამათ დამაკმაყოფილებელია.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

უპარტიო მთავრობა.

ბერლინი, 14 იანვარი. ოფიციალური ცნობის თანახმად, რომელიც გამოქვეყნდა ბერლინის პრესაში, გერმანიის სახალხო პარტიამ, ბავარიის სახალხო პარტიამ და ცენტრის პარტიამ განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ ახალი კაბინეტის შემადგენლობის იმ პროექტს, რომელიც შეადგინა ლიუტერმა. ლიუტერს განზრახული აქვს შეიყვანოს კაბინეტში თითო-თითო წევრი ამ პარტიებიდან და დანარჩენი სამინისტრო პოსტები დაუთმოს არაპარტიულ მოღვაწეებს. კონსერვატორები სამშაბათს გადასწყვეტენ თავიანთ თათბირზე, უერთდებიან თუ არა ასეთ კოალიციას. სოციალისტები და დემოკრატები არ უჭერენ მხარს ლიუტერის პროექტს და იმუქრებიან სასტიკ ოპოზიციაში ჩადგომით ამ „ნიღაბ აფარებული“—როგორც ისინი ლაპარაკობენ—ბურჟუაზიული კაბინეტის წინააღმდეგ.

საერთო აზრი ისეთია, რომ ოთხშაბათს ლიუტერს ოფიციალურად უფლებას მიანიჭებენ შეადგინოს კაბინეტი.

ბერლინი. 14 იანვარი. ლიუტერი აწარმოებდა მოლაპარაკებას კონსერვატორების ლიდერებთან, მაგრამ ჯერ ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწია.

პარიზი. 14 იანვარი. ბერლინის ლიბერალური პრესის აზრით, კაბინეტი, რომელსაც ადგენს ლიუტერი, იქნება რაღაც კუნოს კაბინეტის მსგავსი. ეს კაბინეტი ნიადაგს მოუმზადებს მემარჯვენე ბურჟუაზიული ბლოკის შექმნას.

ბერლინი. 14 იან. რეიხსტაგის დემოკრატიულმა ფრაქციამ აცნობა ლიუტერს, რომ მას დაუშვებლათ მიაჩნია ჰესლერს ეჭიროს დემოკრატების წარმომადგენლის სახით რეიხსვერის მინისტრის პოსტი კაბინეტში, რომელსაც ადგენს ლიუტერი. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული გაუწევს თუ არა ანგარიშს ჰესლერი დემოკრატებს, რომელთაც ის სულ უფრო და უფრო შორდება.

ბერლინი. 14 იანვარი. ცენტრის ფრაქციამ წინადადება მისცა შრომის მინისტრს ბრაუნს დარჩეს თავის პოსტზე იმ პირობით, თუ ჰესლერი თავს არ დაანებებს რეიხსვერის მინისტრის თანამდებობას. ეს საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ ლიუტერი მოახერხებს კაბინეტის შედგენას მემარჯვენეებზე დაყრდნობით.

საქმე კარგად მიდის?

ბერლინი, 14 იანვარი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, ლიუტერის მოლაპარაკება პარტიის ლიდერებთან იმდენად წარმატებით მიმდინარეობს, რომ მოსალოდნელია ოფიციალურად დაევალოს ლიუტერს კაბინეტის შედგენა.

ებრაელები—სოფლის მეურნენი

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ებრაელი გლეხი მეტად იშვიათი მოვლენაა. ამ გარემოებას თავისი ისტორიული მიზეზები აქვს. ამ მხრივ ებრაელობის ბედიღბალზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია იმ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ-უფლებრივ მდგომარეობამ, რომელშიაც ის ცხოვრობდა და ვითარდებოდა საუკუნოებით და რომელსაც ქმნიდა მისთვის ძველი, რევოლუციამდე არსებული რუსეთი.

მეფის მთავრობის ეროვნულ ჩაგვრის სიმკაცრეს ყველაზე მეტად ებრაელობა განიცდიდა. მათ არ ღებულობდენ სახელმწიფო დაწესებულებებში, ებრაელს აკრძალული ჰქონდა სოფლის მეურნეობაში ჩაბმულიყო, ებრაელისთვის თითქმის დახშული იყო სასწავლებლის კარები. ამას გარდა ებრაელს არ შეეძლო საცხოვრებელ ადგილის თავისუფლათ ამორჩევა. მათ აკრძალული ჰქონდათ მთელ რიგ მსხვილ სამრეწველო და ადმინისტრატიულ ცენტრებში ცხოვრება.

ერთი სიტყვით, თუ რუსეთის იმპერიაში მყოფ მცირე ერებს მეფის მთავრობა გერებათ ექცეოდა და მისთვის „ინოროდცული“ ელემენტი მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიურ ექსპლოატაციის საგანს წარმოადგენდა,—ებრაელობა ამასთან ერთად მოკლებული იყო მთელ რიგ უფლებრივ ნორმებს და თითქმის კანონს გარეშე იყო გამოცხადებული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაციონალურ დევნის და შევიწროების სიმძიმე მთლიანად ებრაელ ღარიბ ნაწილს აწვა კისერზე. დაჩაგრულ ერის შეძლებული კლასები ყოველთვის ნახულობენ საერთო ენას მჩაგვრელ ერის ბურჟუაზიასთან. კაპიტალისტურ სახელმწიფოს „კანონიერებამ“ არ იცის ნაციონალური განსხვავება ეკონომიურათ გაბატონებულ ელემენტისათვის. ამ შემთხვევაში არც ებრაელი ბურჟუა წარმოადგენდა გამონაკლისს. პირიქით, როგორც ეს ყოველ ჩაგრულ ერის შეძლებულ კლასებს სჩვევია, ებრაელი კაპიტალისტი მეტ გულმოდგინობას იჩენდა საკუთარ ერის ნაციონალურ ჩაგვრაში. ცნობილი შაქრის მექარხნე ბროდსკის მაგრათ ჰქონდა თავის ქარხნის კარები გამოკეტილი ებრაელ მუშებისათვის და ახლოს არ აკარებდა მათ საქმესთან. ასევე იქცეოდა სხვა ებრაელი კაპიტალისტიც.

ასეთ პირობებში მიქცეული ებრაელობის უმრავლესობა ბუნებრივათ იძულებული იყო სხვა გზისათვის მიემართა არსებობის შესანარჩუნებლათ. ის უმთავრ სათ დაეტანა კერძო, დამოუკიდებელ წვრილ წარმოებას ან და ვაჭრობას. დღეს ებრაელი თერძი, მეჭუდე, მესაათე და მეწვრილმანე ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ დარგში პოულობს თავის შრომის გასავალს ებრაელი ღარიბი ხალხი. რაც შეეხება ინტელიგენციას, ის უმთავრესად ეგრეთ ცნობილ თავისუფალ პროფესიას ეძალება და სახელმწიფოდან „დამოუკიდებელ“ ხელობას მისდევს.

მაგრამ საბჭოთა წყობილების დროს შეუძლებელია ასეთმა მდგომარეობამ დიდ ხან გასტანოს. ებრაელ მასის ცხოვრების პირობები დღითიდღე უარესდება. წვრილ ხელოსანს სულს უხუთავს მსხვილი მრეწველობის განვითარება ნემსზე აღესილი მაკრატელი ვერაფრით გაუძლებს ელექტრონის მაკრატელს, რომელიც შესაკერათ გამზადილ ნაჭრებს საათში ათასობით ისვრის.

კერძო წვრილ ვაჭრობას ზურგში მოსდევს სახელმწიფო შინავაჭრობის აპარატი. ადრე თუ გვიან, მან უნდა დასტოვოს თავის ადლი და ალაბი კოოპერაციის კარებთან.

ამის გამო აქედანვე იჩინა თავი ებრაელ ღარიბ მასას შორის მეურნეობისადმი ხელის მოკიდების სურვილმა. მაგრამ, სამწუხაროთ, აქ მათ უმთავრესი რამ აკლიათ, რაც ასეთ სურვილის განხორციელებას წინ ეღობება: ესაა მიწის უქონლობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ გარემოებას თავიდანვე ყურადღება მიაქცია და ებრაელ მასის სამეურნეო შრომაში ჩაბმას ყოველ მხრივ უმართავს ხელს.

პირველყოვლისა საჭიროა მთელი რიგი ადმინისტრატიულ ღონისძიებების, რომ გამოსწორებულ იქნას ის მიუტევებელი ბოროტება, რომელიც მიაყენა ებრაელ ღარიბ ხალხს მეფის ბარბაროსულმა და კაციჭამია პოლიტიკამ.

ყველაზე უფრო ფართეთ ეს საკითხი საბჭოთა კავშირის იმ ადგილებში სდგას, სადაც ებრაელი მოსახლეობა რამდენიმე მნიშვნელოვან კომპაქტიურ მასას წარმოადგენს. მაგალითად, ბელოორუსიაში, სადაც ებრაელობა განსაკუთრებით მჭიდროა, უკვე კარგა ხანია არსებობს ებრაელთა მიწათმოწყობის კომისია. ჯერხანათ ამ კომისიის წინაშე დგას ამოცანა 30.000 სული ებრაელის მიწით დაკმაყოფილების შესახებ. აქედან 1.500 კომლს უკვე დაურიგდა მიწა. ამას წინათ ქალაქ მინსკში შესდგა ებრაელ გლეხთა სრულიად ბელორუსიის პირველი ყრილობა.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა უკრაინაში, სადაც გამოიცა დეკრეტი ებრაელთა მიწით დაკმაყოფილების შესახებ. ამ დღეებში ხარკოვიდან ცნობა იყო, რომ უკრაინის მთავრობის სახელზე მრავალი განცხადებები მოდის სიონისტების მიერ გაბრიყვებულ ებრაელობისაგან, რომლებიც თავის ნებით გადასახლდენ რუსეთიდან. ასეთივე თხოვნით მიმართავენ საბჭოთა კავშირის მთავრობას გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მცხოვრებნი ღარიბი ებრაელები, რომელთაც სულს უხუთავს ხსენებულ ქვეყნების მთავრობათა ეროვნულ დევნის პოლიტიკა.

ამნაირათ, ეროვნულ ემანსიპაციის განხორციელებაში, რომელიც თავსამტვრევ ამოცანათ სდგას მთელ მსოფლიოს ზურგზე დაფანტულ ებრაელობის წინაშე, საბჭოთა ხელისუფლებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემა ერთად ერთია, სადაც ნიადაგი ეცლება ადამიანთა ყოველგვარ ჩაგვრას და ეროვნულ თავისუფლებაც სრულ გამოხატულებას პოულობს.

აკ. ჭყონია.

მოსკოვი, 8 იანვარი.



ფაშიზმის სახე
(მუსოლინი)

უკანასკნელი ცნობები

სენატორი ბორა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

ნიუ-იორკი. 14 იანვარი. „როსტას“ კორესპონდენტთან საუბრის დროს სენატორ ბორამ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები უეჭველად იცნობენ საბჭოთა კავშირს.

ანტანტის ფინანსთა მინისტრების კონფერენციაზე.

პარიზი. 13 იანვარი. ჰავასის სააგენტოს ცნობით ანტანტის ფინანსთა მინისტრების კონფერენციაზე, რომელიც შეხვდა 13 იანვარს, მიღწეულია შეთანხმება, რომლის საერთო შინაარსი ემცნო ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რათა მათ საშუალება ქონდეთ წარადგინონ თავისი შენიშვნებიც. კონფერენციის გადაწყვეტილებით ამერიკა მიიღებს 2,5 პროც. იმ შემოსავლიდან, რომელიც დოუესის გეგმის მიხედვით უნდა იქნას აღებული 1924 წლის პირველი სექტემბრიდან.

წავიდნენ დათმობაზე.

ვენა. 14 იანვარი. უნგრელ მემაღაროების ბრძოლა ხელფასის მომატებისთვის დამთავრდა შეთანხმებით. ნაწილობრივი გაფიცვა ფიუნფკირხენის ნახშირის რაიონში შეწყდა.

ეშინიათ მესამე ინტერნაციონალის

ვარშავა. 13 იანვარი „ეხო ვარშავსკი“-მ გამოაქვეყნა საუბარი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სკშინსკთან ბალტიის სახელმწიფოების კონფერენციის შესახებ. საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოთ განზრახულ ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ, რომელიც საკითხიც გაზეთების ცნობით განხილულ იქნება ჰელსინგფორსში, სკშინსკიმ განაცხადა: „რასაკვირველია, შეიძლება დაისვას საკითხი მესამე ინტერნაციონალის პროპაგანდისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, მაგრამ ლაპარაკი ამის შესახებ ჯერ ნაადრევია. ბალტიის პირზე მდებარე თვითეულ სახელმწიფოს განსაკუთრებული პოზიცია უკავია საბჭოთა კავშირის მიმართ“.

მექრთამეების გასამართლება

სვერდლოვსკი, 14 იანვ. ურალის საოლქო სასამართლოში დამთავრდა საქმე ეგორიევსკო-რამენსკის ტრესტის ურალის განყოფილების თანამშრომელთა შესახებ, რომელთაც ბრალდებოდათ მექრთამეობა. განყოფილების გამგეს მიშკინს მიესაჯა დახვრეტა, რომელიც შეეცვალა 10 წლით ციხით სასტიკი იზოლიაციით. დანარჩენ ბრალდებულთ მიესაჯათ დაპატიმრება სხვადასხვა ვადით.

კომკავშირელის მოკვლა

ერევანი. 14 იანვარი სოფელ აგარაკში მეგრის მაზრაში გამოურკვეველი მიზეზების გამო მოკლულ იქნა კომკავშირელი, სწარმოებს გამოძიება.

2000 ახალი ლენინელი.

ლენინგრადი. 14 იანვარი. ლენინის გარდაცვალების წლის თავზე მოსკოვ-ნარვის რაიონის ყველა ფაბრიკა-ქარხნებიდან რუსეთის კომუნისტური პარტიის რიგებში გადაირიცხება 2000 კომკავშირელი და უპარტიო მუშა-ქალები, რომლებმაც დაამთავრეს პოლიტ-წრეები.

ღირსეული ძეგლი.

ნოვო-ნიკოლაევსკი. 14 იანვარი. ლენინის გარდაცვალების წლის თავზე გახსნილ იქნება ლენინის სახელობის სახლი.

ლითონის ფულის გამოშვება იანვარში.

ლენინგრადი. 14 იანვარი. იანვარში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გადაგზავნილ იქნება 1.200.000 მანეთი ლითონის ფული.

საბჭოების ყრილობა გერმანელთა ახალშენში

პოკროვსკი. 14 იანვარი. გაიხსნა ვოლგის ნაპირზე მცხოვრებ გერმანელთა რესპუბლიკის საბჭოების ყრილობა.

ნაციონალიზაცია უზბეკისტანში

ტაშკენტი, 14 იან. უზბეკისტანის რევკომმა მიიღო დადგენილება სახელმწიფო დაწესებულებებში ხმარებული ენის შემოღების შესახებ და დაწესებულებებში ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობიდან გამოსულ მუშაკთა რიცხვის გადიდების შესახებ. ადგილობრივ მოსახლეობიდან სასამართლო მუშაკთა მოსამზადებლად ეწყობა სპეციალური იურიდიული კურსები.

ჭიათურის მაღაროებში განახლდა მუშაობა

ჭიათურა. 14 აპრილი. ყინვებისა და ქარბუქის გამო სახელმწიფო მაღაროებში და ქარხნებში მუშაობა შეჩერებული იყო სამი კვირით, ამ ჟამათ მუშაობა განახლებულია.

დაიწყო მოსამზადებელი კამპანია ლენინის კვირეულის ჩასატარებლათ.

12 იანვრამდე მაზრაში შემოვიდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 67.000 მანეთი, ე. ი. 35 პროც. დიდმა თოვლმა მოსწყვიტა გლეხობა ბაზრებს, რაც ხელს უშლის ხაზინაში თავის დროზე გადასახადის შეტანას.

არჩეულია 75 პროც. ღარიბები

ერევანი. 14 იანვარი. სოფლის საბჭოების არჩევნებში ეჩმიაძინის მაზრაში გასულია კომუნისტები—20 პროცენტი, კომკავშირელები—10 პროცენტი, ქალები—10 პროცენტი, ღარიბი ელემენტი გასულია ახალ საბჭოში—75 პროცენტი.

სამოქალაქო ომი ჩინეთში განახლდა

პეკინი, 13 იანვარი. მდგომარეობა სამხრეთით მოულოდნელად გართულდა გენერალ სუნ-სი-იუნის (უ-პეი ფუს მიმხრე) შემოტევის გამო; მან ამოიყვანა ჯარები ჩჟე-ძიანის პროვინციიდან შანხაისაკენ. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უ-პეი-ფუს ჯარებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები ლუნხუადა ძიან-ნანი, სადაც იმყოფება არსენალი და განდევნეს იქიდან ჩრდილოეთის ჯარები. მოსალოდნელია, რომ მარშალი ლიუნ-სიანი ახლო მომავალში გაილაშქრებს სუნ-სი-იუნის წინააღმდეგ.

ამგვარად, განახლდა სამოქალაქო ომი. შანხაის მცხოვრებლები პანიკამ მოიცვა. ქუჩებში აწყობენ ბარიკადებს. უცხოეთის სამხედრო გემები საჩქაროთ გავიდნენ შანხაიში.

იმპერიალისტები ემზადებიან.

ბერლინი, 14 იანვარი. ინგლისის ინტერესების დასაცავად შანხაიში გაიგზავნა ინგლისის ორი კრეისერი.

ბერლინი, 14 იანვარი. პეკინის მთავრობამ მიიღო გაფრთხილება არ დაესხას თავს იმ ჯარებს, რომელთაც უჭირავთ შანხაი, რადგანაც შეიძლება ამას შედეგად მოჰყვეს დიპლომატიური გართულება.

ბერლინი, 14 იანვარი. მანილიდან მიღებული ცნობით, ამერიკის ჯავშნოსანი გემი მანილიდან გავიდა შანხაიში.

რომი, 14 იანვარი. შანხაიდან მიღებული ცნობით, არავითარ საწინააღმდეგო გამოსვლებს საფრანგეთის კონცესიების წინააღმდეგ ჯერ ადგილი არ ჰქონია.

მუშათა სოლიდარობა
სტრეიკბრეხერთა არმიის შედგენის წინააღმდეგ

ლონდონი. 13 იანვარი. ინგლისის ტრანსპორტის მუშათა და შავი მუშების პროფკავშირი აცხადებს, რომ ის მხარს უჭერს რკინისგზელებს მთავრობის იმ პროექტის საკითხში, რომელიც შეეხება ჯარისკაცთა საგანგებო სათადარიგო ნაწილებს. რკინისგზელთა კავშირის ჩესტერის განყოფილებამ მოაწყო კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ 20,000 რკინისგზელის წარმომადგენლები. კონფერენციამ დაადგინა, რომ აღმასკომმა მოითხოვოს ბრძანების გაუქმება სათადარიგო ნაწილების შესახებ. ადგილებზე რკინისგზელთა პროფკავშირის ყველა განყოფილებებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებშიაც უარს აცხადებენ სათადარიგო ნაწილებში ჩაწერაზე და მოითხოვენ ამის შესახებ გაცემულ ბრძანების გაუქმებას.

მემანქანეების კავშირის წევრები ყოველგან მტკიცედ უჭერენ მხარს ბრომლეის პოზიციას, რომელიც ეწინააღმდეგება სათადარიგო ნაწილების შექმნას. რკინისგზელების კავშირს ჯერ არავითარი პასუხი არ მიუღია იმ შეკითხვებზე, რომლებითაც მან მიმართა სამხედრო მინისტრს.

საფრანგეთი და გერმანია
მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

ვერ შეთანხმდნენ

პარიზი. 14 იანვარი. გერმანიის სავაჭრო დელეგაციამ პარიზში გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა საფრანგეთის დელეგაციასთან წარმოებულ მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ. ცნობაში აღნიშნულია ის დაბრკოლებები, რომლებიც წამოიჭრნენ საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების მსვლელობაში.

გერმანია უარს ამბობს.

ბერლინი. 14 იანვარი. ტრენდელენბურგმა ინახულა რაინალდი და დაადასტურა, რომ გერმანია უარს ამბობს სავაჭრო შეთანხმების პროექტზე, რომელიც წარადგინა საფრანგეთმა. საფრანგეთის დელეგაციამ წამოაყენა შეთანხმების ახალი პროექტი. ტრენდელენბურგი ამის შესახებ თავის პასუხს გადასცემს ორშაბათს.

კელნის ზონის საკითხი

ნაუენი. 14 იანვ. კელნის გაზეთები არ აქვეყნებენ დაწვრილებითი ცნობებს კელნში გამართულ დემონსტრაციების შესახებ და აცხადებენ, რომ „განსაკუთრებულ“ მიზეზების გამო მათ არ შეუძლიათ დაწვრილებითი ანგარიშის მოთავსება ოკუპაციის გაგრძელების საწინააღმდეგოდ გამართულ დემონსტრაციების შესახებ. გაზეთების რედაქტორებს ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ აცნობა, რომ მათ უფლება არ აქვთ მოათავსონ დემონსტრაციებზე წარმოთქმული სიტყვები იმ შემთხვევაში, თუ ასეთები მიმართულია საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ.

პოლონეთი და დანციგი

ნაუენი. 14 იანვარი. პოლონეთ-დანციგის კონფლიქტი კვლავ გამწვავდა. ორშაბათს პოლონეთის ხელისუფლებამ არ გადასცა ფოსტა დანციგის საფოსტო სამმართველოს. ფოსტა დაგზავნილი იქნა ადრესატებისადმი პოლონელ ფოსტალიონების მიერ, რომლებიც დადიოდნენ პოლონეთის საფოსტო უწყების ფორმით.

ჟაკ სადულის საქმე

პარიზი. 13 იან. მემარცხენე პრესა იწონებს სადულის განთავისუფლებას და კმაყოფილია მისი ბრალდებებით, რომლებიც მიმართულია ნულანსის და კლემანსოს წინააღმდეგ.

მემარჯვენე პრესა აღშფოთებულია იმის გამო, რომ სადულმა გაბედა „ბოლშევიკურ საბრალმდებლო სიტყვაში“ შეურაცხყოფა მიეყენებია კლემანსოს დიადი ხსოვნისათვის.

კომპარტიის ორგანო „იუმანიტე“ აცხადებს, რომ ერიომ იჩქარა სადულის საქმის გათავება იმის შიშით, რომ არ დაწყებულიყო პროცესი, რომელიც გამოამჟღავნებს საფრანგეთის ბურჟუაზიის საქმიანობას ომის დროს. „სადულის განთავისუფლება—აცხადებს „იუმანიტე“—არის პირველი ნაბიჯი სადულის, კლემანსოს და ნულანსის საქმის მოსასპობად“.

რადიჩის გასამართლება

ვენა. 14 იანვარი. ზაგრების სასამართლომ 12 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება რადიჩის და მისი მიმხრეების საქმის გამოძიების შეწყვეტის შესახებ, რადგან არსებული მასალა არ არის საკმარისი მათი გასამართლებისათვის.

სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რადიჩის და მისი ამხანაგების გალაშქრებას იმ ბრალდების წინააღმდეგ, თითქოს რადიჩის პარტია მიემხრო კომინტერნს და პროპაგანდას ეწეოდა ჯარებში. ამრიგად სასამართლოს დადგენილებაში ლაპარაკია არა მარტო დაპატიმრებულთა განთავისუფლებაზე, არამედ აგრეთვე ყოველგვარი გამოძიების შეწყვეტაზე. იმის მიზეზი, რომ რადიჩი კვლავ მცველების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, არის ის, რომ მან არ მოისურვა გამომძიებლის შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

უმაღლეს სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებამდე ბრალდებულები დაპატიმრებული რჩებიან. გადაწყვეტილებას მოელიან სამი დღის განმავლობაში. ამავე დროს ზაგრების სასამართლოს თავმჯდომარემ აცნობა ზაგრების პოლიციმეისტერს, რომ შუამდგომლობა რადიჩის პარტიის კანდიდატთა სიების გაუქმებულად გამოცხადების შესახებ არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს, რადგან გამორკვეულია მხოლოდ კომპარტიის სიების სიყალბე.

ზაგრების სასამართლოს დადგენილებამ, რომელიც ნიშნავს აშკარა წინააღმდეგობას ბელგრადის მთავრობისადმი, დიდი ლითქმა-მოთქმა გამოიწვია სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეებში.

ოპოზიციონური პრესა სასამართლოს გადაწყვეტილებას უცქერის როგორც ოპოზიციის დიდ გამარჯვებას და მოითხოვს მთავრობის გადადგომას.

ვენა, 14 იანვარი. მინისტრთა საბჭო 12 იანვარს იხილავდა შემდეგ ღონისძიებებს რადიჩის პარტიის წინააღმდეგ. მინისტრთა საბჭო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საბრალმდებლო მასალა, რომლის მიხედვით სასამართლომ გამოიტანა თავისი დადგენილება არ არის საკმარისი. პაშიჩის მთავრობა ცდილობს იპოვოს ახალი მასალა რადიჩის წინააღმდეგ. იმ წერილის გარდა, რომელიც რადიჩმა თითქოს გაუგზავნა თავის [illegible], ბელგრადის [illegible] გადასცა [illegible] რადიჩის იმ მოხსენების აქტი, რომელიც თითქოს რადიჩმა გაუკეთა კომინტერნს ხორვატიის საკითხის შესახებ. როგორც ჩანს, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს რადიჩი დააკავოს ციხეში არჩევნების გათავებამდე.

ლენინის და ლიბკნეხტის კვირეული

ბერლინი, 13 იანვარი. ბერლინის ახალგ. კომკავშირმა გამართა საზეიმო კრება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ლენინის და ლიბკნეხტის კვირეულის ჩატარებას, კრებას ესწრებოდა 4.000 კაცი. რუტ ფიშერმა წარმოთქვა საზეიმო სიტყვა ლენინის და ლენინიზმის შესახებ.

„დემოკრატიული“ ესტონეთში
„დაუდევრობისათვის“.

რეველი. 13 იანვარი. გამოქვეყნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანება, რომელიც შეეხება 1 დეკემბრის აჯანყების დროს რეველის ქალაქის მილიციის მუშაობის გამოძიების შედეგებს.

გამოირკვა, რომ ყველა საპოლიციო უბნები და რკინის-გზის პოლიციის შენობები აჯანყებულებმა დაიკავეს ისე, რომ მათთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ პოლიციელებს, ამასთან ზოგიერთი პოლიციელები მიემხრნენ აჯანყებულებს და რამოდენიმე ხნის განმავლობაში ასრულებდნენ რევოლიუციონერების განკარგულებებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით სამსახურიდან დათხოვნილია და პასუხისგებაშია მიცემული რამოდენიმე სამილიციო უბნის უფროსი აგრეთვე ორი უბნის უფროსის თანაშემწე. სამხედრო სასამართლოში მიცემულია აგრეთვე რამოდენიმე პოლიციელი.

უქმდება მთავარსარდლის თანაშემწეობა, რომელიც დაწესებული იქნა აჯანყების დღეს, 1 დეკემბერს. საგანგებო სამხედრო წესები ძალაში რჩება.

არაფერი არ უშველის [illegible].

რეველი. 13 იანვარი. რეველის ნავთსადგურში „ობლავის“ დროს დააკავეს დაახლოვებით 500 მუშა. სადგურ კოპლთან დააპატიმრეს სტატისტიკური ბიუროს ყოფილი [illegible] კოპლის ქარხნის [illegible]. ორივე გადასცეს სამხედრო-საველე სასამართლოს, რომელმაც მათ მიუსაჯა დახვრეტა აჯანყებაში მონაწილეობისათვის, თუმცა [illegible] აჯანყების დროს რეველში იყვნენ.



ბელადების საფლავთან
1919 15/I 1925

გერმანიის მენშევიკებმა მოჰკლეს ამ ექვსი წლის წინათ სოციალისტური რევოლიუციის მებაირახტრენი გერმანიაში: კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი.

გერმანიის მენშევიკური სოციალ-დემოკრატია, რომელმაც დასტოვა გზა რევოლიუციის, იწამა ფაქტიურათ მხოლოდ რეფორმები და ორივე ფეხით დადგა არსებულ წესწყობილებასთან შეგუების ნიადაგზე, ისეთივე მტერი შეიქნა რევოლიუციისა და რევოლიუციონური მუშათა კლასის, როგორიც არის ბურჟუაზია.

არაჩვეულებრივი სიცხადით წამოიჭრა ჩვენს წინაშე კონსერვატიული (არსებული რეჟიმის შენარჩუნების, დაცვის) როლი სოციალ-დემოკრატიისა განვლილი ომის დროს. ომმა უკიდურესობამდი გააშიშვლა არა მარტო ამ რეჟიმის წინააღმდეგობანი. მან პირისპირ წააყენა ერთმანეთს ბურჟუაზიული, სამშობლოს დამცველი სოციალ-დემოკრატია და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლიუციონური ძალები. რევოლიუციონერების სისხლით შეიღება გარდაუვალი ნაპრალი, რომელიც ამოითხარა ამ ორი მოწინააღმდეგის შორის. ეს იყო სოციალ-მოღალატეების მიერ დანთხეული სისხლი ჩვენი ბელადების.

მაგრამ 1919 წლის 15 იანვარი შეიქმნა იმ მიჯნათ, საიდანაც იწყება ხოლმე ახალი ხანა. შეიდემანისა და ნოსკეს მთავრობამ მოჰკლა ლიბკნეხტი და ლიუქსემბურგი და ამ ფაქტით ამავე მთავრობამ საბოლოოთ მოჰკლა რევოლიუციონურ მუშების ნდობა ძველი ოფიციალური სოციალ-დემოკრატიისადმი. ამ ფაქტმა არაჩვეულებრივი სიმკვეთრით წინ წამოსწია მუშათა ახალი რევოლიუციონური პარტიის (მომავალი კომუნისტური პარტიის) ორგანიზაციის საქმე. და თუ მიუხედავათ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ძველი ტრადიციისა და გავლენისა, რომლითაც შებოჭილი იყო თითქმის სამოცი წლის განმავლობაში მუშათა კლასი ამ ქვეყანაში, მესამე ინტერნაციონალს ჰყავს იქ ერთი უძლიერესი სექციათაგანი—ამაში დიდი როლი ითამაშა სწორეთ 15 იანვარმაც.

ლიუქსემბურგისა და ლიბკნეხტის წითელი დროშა, რომელიც გავარდა ხელიდან დაღუპულ ბელადებს, ხელახლა უპყრია დღეს გერმანიის კომუნისტურ პარტიას და ის, მთელ კომინტერნთან ერთად, მას მოწიწებით დახრის დღეს საყვარელი ბელადების საფლავთან და მშრომელთა მილიონებთან ერთად ფიცს დასდებს ბრძოლის ბოლომდე, სანამ სამარეში არ ჩაუშვებს მსოფლიოს სულთამხუთავთან ერთად მის დამქაშებსაც.

ნ.

წითელ რესპუბლიკებში
რუსეთი
ძეგლი 9 იანვრის მსხვერპლთ.

ლენინგრადი. 14 იანვარი. ახალი სამშენებლო სეზონის დასაწყისში, ძმათა სასაფლაოზე, სადაც დასაფლავებული არიან 9 იანვრის დაღუპულები, დაიწყება გრანიტის ძეგლის აგება მოქანდაკე მანიზერის და ხუროთ-მოძღვარ ლუტმანის პროექტის მიხედვით. ძეგლის სიგრძე 10 საჟენი იქნება, 3 საჟ. სიფართე და 3 საჟ. სიმაღლე. ძეგლის მეორე მხარეზე წარწერილი იქნება 9 იანვარს დაღუპულების სახელები.

10 ურემი ყინულის ქვეშ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 14 იანვარი. სორმოვოს ახლოს ყინულის ჩატეხის გამო წყალში ჩავარდა ყინულით დატვირთული 10 ურემი. ვოლგის ნაპირებზე მყოფი მუშები მიეშველნენ მათ დასახმარებლათ. ხანგრძლივი ღონისძიებების შემდეგ მოსახერხებელი გახდა ყველა მეურმეების და 6 ცხენის გადარჩენა.

კიევო-პეჩერის განძეულობა—ძღვნად ბავშვებს.

ხარკოვი. 13 იან. სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: ამას წინეთ კიევო-პეჩერის მონასტერში ნაპოვნი განძეულობა სავსებით გადასცეს ბავშვთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს.

მასწავლებლობა და კოოპერაცია
„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 14 იანვარი. „პრავდა“ მეთაურ წერილში ზემოაღნიშნული სათაურით სწერს: „იმ მთავარ პრობლემების რიცხვში, რომლებიც ეხლა გადაწყვეტას მოითხოვენ, დასმულია კოოპერაციის საკითხიც. ცნობილია, თუ როგორ განსაკუთრებულ ნიშნეულობას აძლევდა ამ საკითხს ვლადიმერ ილიჩი. თვითეულ შეგნებულ მასწავლებელს ყოველთვის გადაშლილი უნდა ჰქონდეს მაგიდაზე ლენინის წერილი კოოპერაციის შესახებ. აქ არის სოფლად მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი.

სადღეისო ამოცანა მოითხოვს ჩვენგან კონკრეტიულ პასუხს იმაზე, როგორ მოვიქცეთ, რომ გავაუმჯობესოთ მუშაობა.

ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ პირველ ყოვლისა უნდა [illegible] ბრუნვის დაჩქარება. რაც უფრო ჩქარა იაფდება კოოპერაცია, მით უფრო იაფი იქნება საქონლის ფასი, მით უფრო ჩქარა აღორძინდება სახალხო მეურნეობა.

ხელს უშლიდა ჩვენი კოოპერაციის ბიუროკრატიული ფორმები მეტად ცოტა იყო გაკეთებული იმისათვის, რომ გლეხობის ფართო მასები ჩაგვება კოოპერაციის საქმიანობაში, რომ ფართო ასპარეზი ჰქონოდა ამ მასების თვითმოქმედებისათვის. თუ ჩვენ ეხლა ვლაპარაკობთ საბჭოების მუშაობის გაცხოველებაზე, პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას კოოპერაციის შესახებ. [illegible] მთლიანათ და სავსებით, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის პრინციპის გატარება ადგილებზე, სოფლის კოოპერატივების ნდობა-მოპოვება არა „ბილეთით“, არამედ საქმიანობით, ეკონომიკით და საქმიანობით—აი აუცილებელი წინასწარი პირობები კოოპერატიული საქმის აღდგენისათვის ჩვენში.

ჩვენი ქვეყანა მეტად ღარიბია საერთოდ კულტურული ძალებით, განსაკუთრებით ღარიბია ამ მხრივ სოფელი. მაგრამ თუ ჩვენ ერთიანი ფრონტით, ერთმანეთზე დაყრდნობილი პარტიის ხელმძღვანელობით მხურვალეთ მოვკიდებთ ხელს მუშაობას, მაშინ სასწაულის მოხდენა შეიძლება. აქ ხელს შეუწყობს მუშის და გლეხის ახალი მოკავშირე ჩვენი მასწავლებლობა.“

სოფლის კოოპერატიულ აპარატის გაჯანსაღებისათვის *)
პრაქტიკული წინადადება
II

საზოგადო კრებები წელიწადში ორჯელ მაინც უნდა იმართებოდეს. ამ კრებებზე უნდა დაისვას კოოპერატივის მიმდინარე მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები. საზოგადოების უბრალო წევრი, რომელიც საქმეს არ არის გაცნობილი, ხშირად უკმაყოფილებას გამოსთქვამს და ყველაფერში ბრალს სდებს გამგეობის წევრებს, რომელნიც საზოგადოების საქმეებს აწარმოებენ. საზოგადო კრებებზე გამოირკვევა სხვადასხვა ნაკლი და იქვე შემუშავდება ზომები ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლათ. ამავე კრებებზე, აზრთა გაზიარების გზით, შეიძლება იმის გამორკვევა, თუ რაში მდგომარეობს გამგეობის შეცდომები, როგორ უნდა გამოსწორდეს ეს შეცდომები, როგორია საზოგადოების წევრთა ვალდებულებანი კოოპერატივის მიმართ და რამდენად არიან ისინი დამნაშავენი კოოპერატივის აპარატის დასუსტებაში და სხვა. და ბოლოს, საზოგადო კრებებზე გლეხები ეჩვევიან კოლექტიურ აზროვნებას, რაც ხელს შეუწყობს იმ შეგნების განვითარებას, რომ საჭიროა მათი მდგომარეობის გაუმჯობესება ყველა ამხანაგის ძალღონის გაერთიანების გზით.

საზოგადო კრებებზე უნდა სწარმოებდეს გამგეობის წევრთა მოღვაწეობის კრიტიკა. მხოლოდ ეს კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი და მას რაიმე პირადული ხასიათის სარჩული არ უნდა ედოს. ამასთანავე ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს გამგეობის წევრთა ხშირ გამოცვლას, თუ, რასაკვირველია, ისინი მოსახლეობის ნდობით სარგებლობენ. უკეთესია კოოპერაციის პრაქტიკულ მუშაკთა შეცდომები გასწორებულ იქნას თვით მუშაობის დროს, საკითხის საერთოდ განხილვის გზით, ვიდრე ყოველ ცალკე შემთხვევაში მოხდეს გამგეობის წევრთა ხელახალი არჩევნები. კოოპერატივი—საკომერციო ორგანიზაციაა, რომელიც აწარმოებს სავაჭრო ხასიათის გარიგებებს, აძლევს თამასუქებს, ნისიად იღებს საქონელს და სხვა. ამიტომ გამგეობის ხშირი გამოცვლა მუშაობის მსვლელობის შეფერხებას იწვევს. ინსტრუქტორი ვერ ასწრებს—გამგეობის წევრს გააცნოს მუშაობის გეგმა, რომ საზოგადო კრებას დადგენილება გამოაქვს ამ წევრის ნაცვლად ახალის დანიშვნის შესახებ. ასეთ პირობებში ძნელია მუშაობის ხელმძღვანელობა და, მაშასადამე, ძნელია კოოპერაციის აპარატის გაჯანსაღება.

ზემოდან დანიშნული წევრი ვერ ისარგებლებს საზოგადოების ნდობით და მაშასადამე, ვერ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, ეს გარემოება უეჭველია გავლენას იქონიებს საპაიო გადასახადების გადიდებაზე, კოოპერატიულ მუშაობაში წევრთა აქტიურ მონაწილეობაზე და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერატიულ თვითშეგნების განვითარებას გლეხთა შორის. ამ მიზნით სასურველია—თვითეულ კოოპერატივის, ან მის განყოფილების ირგვლივ მოსახლეობის მოწინავე პირებისაგან დაარსდეს კოოპერაციის მოყვარულთა წრე საუბრების მოსაწყობად კოოპერაციის ამოცანათა შესახებ. ამავე წრეებში უნდა იკითხებოდეს კოოპერატიული ჟურნალები, გაზეთებში მოთავსებული წერილები კოოპერაციის შესახებ და სხვა.

ამასთანავე დიდი შრომა უნდა დაიხარჯოს კოოპერაციაში ქალის ჩაბმის საქმეზე. მეურნეობაში ყველაზე ძალიან ქალს აინტერესებს პირველ საჭიროების საგნების გაიაფება, სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებთა გასაღება და სხვა. ამიტომ აუცილებელი არის ქალის დაინტერესება კოოპერაციით. საჭიროა ენერგიის დახარჯვა საზოგადოების აქტიურ წევრთა მხრით, რათა საქმე თავდაპირველად მოწყობილ იქნეს [illegible], ხოლო შემდეგ გლეხები და გლეხ-ქალები, რომელნიც დაინტერესდებიან კოოპერაციით, თვით მოუწყობენ ხელს მუშაობის გაძლიერებას და გაღრმავებას.

საჭირო არ არის გამოვეკიდოთ იმას, რომ ახლად გახსნილ კოოპერატივთა რიცხვი დიდი იყოს. კოოპერაციის გახსნას წინ უნდა უძღოდეს რაიონის გამოკვლევა ეკონომიურის მხრით, ამ მიზნით მოწვეულ უნდა იყოს ინსტრუქტორი, რომელიც გამოარკვევს, შესაძლებელია თუ არა კოოპერატივის დაარსება. აღარას ვიტყვი იმაზე, რომ კოოპერატივები არ უნდა იხსნებოდეს არც პარტიულ ორგანიზაციების და არც ადგილობრივ ხელისუფლების ბრძანებით, თუ კოოპერატივის არსებობისათვის გარანტია არ არის, რომ თავის დროზე შემოვა საპაიო გადასახადი, გლეხები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოოპერატივში და სხვა. ზემოდან ბრძანებით შექმნილი კოოპერატივი დიდხანს ვერ იარსებებს.

აქტიურ წევრთა მისაზიდათ, საპაიო გადასახადის გასაძლიერებლად და სხვა. შეიძლება საქონელი მიეცეს საზოგადოების წევრებს უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე არა წევრებს. მხოლოდ ეს ღონისძიებანი განხორციელებულ უნდა იქნეს მეტად ფრთხილად, რათა ამან რაიმე გართულება არ გამოიწვიოს.

კოოპერატივი მხოლოდ იმ საქონელს უნდა ჰყიდდეს, რომელიც გლეხებს ესაჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერატივი გადაიქცევა სავაჭრო დაწესებულებად, რომელსაც აინტერესებს კაპიტალისტურ მოგების მიღება.

სასოფლო მეურნეობის დახმარების აღმოჩენის მიზნით სოფლის კოოპერატივის გამგეობის წევრნი ყოველმხრით უნდა სცდილობდნენ, რომ კოოპერაციის აპარატის საშუალებით იქნას გამოძებნილი გზები სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა შესაგროვებლად და იმაზე უფრო ხელსაყრელ პირობებში გასასაღებლად, ვიდრე ამას შესძლებდა კერძო პირი. ამ მიზნით ბაზარი უნდა იქნას ნაპოვნი ამა თუ იმ სახის კულტურის გასასყიდათ. ბაზრის უქონლობა მეტად დამღუპველად მოქმედებს ზოგიერთ კულტურაზე. ამიტომ ის ორგანიზაცია, რომელიც სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთ ასაღებს, დიდს ავტორიტეტს ჰპოვებს გლეხთა შორის.

საჭიროდ ხდება კოოპერატიულ მუშაკთა ყურადღების მიქცევა საქმის ამ მხარეზე, ვინაიდან გლეხებს დიდათ აინტერესებს თავისი შრომის ნაყოფის გაყიდვა ინვენტარის შესაძენად, გადასახადის გასასტუმრებლად და სხვა.

ყველა ეს მუშაობა შესრულებული უნდა იქნას ისე, რომ მწარმოებელთ არ უნდა მიეცეთ ისეთი დაპირებანი, რომელთა ასრულებისათვისაც გარკვეული გარანტიები არ არის.

ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც საჭიროდ მიგვაჩნია ძირითად კოოპერატიულ აპარატის გაუმჯობესებლად, საერთოდ და მთლიანათ შეიძლება გამოიხატოს შემდეგ კონკრეტიულ მუხლებში:

1) კოოპერაცია სოფლად ეწყობა გლეხებისთვის დახმარების აღმოსაჩენად—ქალაქის მრეწველობის ნაწარმოებთა ხელმისაწვდენ ფასებში შეძენის და სასოფლო-მეურნეობის პროდუქტთა გასაღების საქმეში.

2) ზემოხსენებულ ამოცანის მოხერხებულ შესრულებაზეა დამოკიდებული გაძლიერება და განმტკიცება კავშირისა ქალაქსა და სოფლის შორის, სოციალიზაცია-ქმნილ მრეწველობასა და სასოფლო-მეურნეობის შორის.

3) ამიტომ კოოპერაციის აპარატი სოფლად უნდა იყოს მოქნილი და მასთან მოძრავი და უნარი უნდა ჰქონდეს დაუბრკოლებლივ შეასრულოს ცენტრის ყველა დავალება. ამავე დროს მისი შტატი მინიმალური უნდა იყოს და ზედნადებ ხარჯებიც შემცირებული.

4) თითო კოოპერატივზე აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ მოდის საკუთარი თანხა საპაიოსთან ერთად 9.700 მ., ხოლო გარეშე პირთა და ორგანიზაციათა თანხები დაბანდებული 19.232 მ.. დასავლეთ საქართველოში საკუთარი თანხა 6.700 მ.. უდრის, ხოლო დანარჩენი-კი 18.200 მ. ცხადია, კოოპერაციას უხდება მუშაობა უმთავრესად არა საკუთარი საშუალებით და ამიტომ იძულებულია, კრედიტი აიღოს სახელმწიფო მრეწველობისაგან, რომელიც საქონელს იძლევა იმ პირობით, რომ მოკლეთ იყოს გადახდილი თამასუქით ვალის [illegible]; ამ პირობის შეუსრულებლობა ხელს უწყობს [illegible] და, მაშასადამე, კრიზისს იწვევს თვით მრეწველობაში. ამიტომ მთელი ფული, რომელიც შემოუვა კოოპერატივს ნისიად მიღებულ საქონლის გაყიდვისაგან, უწინარეს ყოვლისა უნდა მოხმარდეს ვალის გადახდას.

5) საქონლის ნისიად გაცემა როგორც წევრებზე, ისე არა წევრებზე, ჩაითვალოს სრულიად დაუშვებლად.

6) საჭირო არის სასწრაფო ზომების მიღება, რათა მოზიდულ იქნას საპაიო თანხები მომხმარებლების კოოპერატიულ მუშაობით დაინტერესებით. ამასთან ერთად შესაძლებლად ჩაითვალოს საპაიო გადასახადის ნატურით მიღება მოსახლეობის იმ წრეებისაგან, რომელნიც ფულის ნიშნების სიმცირეს განიცდიან.

7) დაუშვებლად ჩაითვალოს ადმინისტრატიულ ორგანოთა მიერ კოოპერაციის შინაურ საქმეებში უშუალო ჩარევა.

აგრეთვე აღიარებულ იქნას კოოპერაციის საქმის დამღუპველად საქონლის ნისიად გაცემა საბჭოთა თუ პარტიულ ორგანოთა ბრძანებით.

8) გლეხთა შორის კოოპერაციის ავტორიტეტის გაძლიერების მიზნით აუცილებლად საჭიროდ და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს საზოგადოების უპარტიო წევრთა არჩევა სამომხმარებლო და საწარმოო კოოპერატივთა ხელმძღვანელ ორგანოებში.

9) უაღრესად საჭიროდ და სასარგებლოდ ჩაითვალოს კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრების მოწვევა სამ თვეში ერთხელ მაინც.

ამ კრებაზე კოოპერატივის ყველა [illegible] წევრს უნდა ჰქონდეს [illegible]—კრიტიკა გაუკეთოს გამგეობის მთელ შემადგენლობის და სარევიზიო ორგანოების მოღვაწეობას.

ეს გარემოება შეძლებას მისცემს სოფლის პარტიულ უჯრედს—გამოარკვიოს მთელი ნაკლულევანება კოოპერატიულ საქმეში და შეიმუშაოს ზომები ამ ნაკლის ასაცილებლად.

10) პარტიული უჯრედი უნდა ხელმძღვანელობდეს კოოპერატიულ მუშაობას, მხოლოდ ეს ხელმძღვანელობა არ უნდა ღებულობდეს კოოპერაციის შინაურ საქმეში პირდაპირ ჩარევის ფორმას. გამგეობის წევრებს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რათა გამოიჩინონ საკუთარი თაოსნობა კოოპერაციის აპარატის ჯანსაღების და გაუმჯობესების საქმეში.

ამავე დროს კომუჯრედის ხელმძღვანელობა უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ კოოპერაციაში მომუშავე ამხანაგებთან მჭიდრო კავშირი დაიჭიროს, მათგან დროგამოშვებით მოხსენებანი მოისმინოს და თავის დროზე მიიღოს ზომები ნაკლის თავიდან ასაცილებლათ.

11) გამგეობის ხშირი შეცვლა მეტად არასასურველად ჩაითვალოს, ვინაიდან ეს საშუალებას არ აძლევს ჩვენს ამხანაგებს—კოოპერაციის პრაქტიკულ მომუშავეებს,—რომ ახლოს გაეცნონ საქმეს და შეითვისონ როგორც კოოპერატიულ ვაჭრობის მეთოდები, ისე კოოპერაციის პრინციპები.

12) დაარსებულ იქნან კოოპერატიული წრეები თვითეულ კოოპერატივის სამოქმედო რაიონში კოოპერაციის ძირითად იდეის მოსახლეობისათვის გასაცნობლად და კოოპერატიულ ცოდნათა გასავრცელებლად ადგილობრივ მოსახლეობის შორის.

ეს საკითხი თვითეულ ცალკე შემთხვევაში უნდა სწყდებოდეს კოოპერაციის ინსტრუქტორთან შეთანხმებით.

13) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალების ჩაბმას კოოპერატიულ მუშაობაში.

14) მიენიჭოთ კოოპერატივის იმ წევრებს, რომელთაც შეტანილი აქვთ საზოგადო კრების მიერ განსაზღვრული საპაიო გადასახადი, უპირატესობანი სხვა წევრთა წინაშე ზოგიერთ საქონლის დაკლებულ პროცენტში მიცემით.

15) გაძლიერებულ იქნას მეთვალყურეობა კერძო ორგანიზაციებზე, აგრეთვე კოოპერატივებზე იმ მიზნით, რომ მათ შეასრულონ მთავრობის ყველა განკარგულება მინავაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასების დაცვის შესახებ.

16) ყურადღება მიექცეს იმას, რომ სოფლის კოოპერატივებში იყოს იმ საქონლის საჭირო რაოდენობა, რომელიც გლეხთათვის პირველ საჭიროების საგნებს შეადგენს როგორც სამომხმარებლო, ისე საწარმოო მიზნებისათვის.

აქედან არჩეულ უნდა იქნას ისეთი ასორტიმენტი, რომელიც შეეფერება სოფლის საჭიროებას.

17) სოფლის კოოპერატივის გამგეობამ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გასაღების საქმეში უნდა გამოსძებნოს ღონისძიებანი გლეხის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად იმ მხრივ, რომ კავშირი უნდა დაიჭიროს ამ ნაწარმოებთა დამამზადებელ ორგანიზაციებთან.

ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რათა გლეხებს ისეთი დაპირებანი არ მიეცეს, რომელთაც ასრულებაც საკმაოდ უზრუნველყოფილი არ იქნება.

18) დაუშვებლად ჩაითვალოს ახალ კოოპერატივების შექმნა, თუ საქონლის შესაძენად საჭირო საშუალებანი არ იქნება.

ახალ კოოპერატივის დაარსება ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა სწარმოებდეს კოოპერაციის ინსტრუქტორთან შეთანხმებით.

ა. ერქომაიშვილი.

---

*) დასასრული.

მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა

(13 იანვრის დილის სხდომა*)

კამათი რიკოვის მოხსენების გამო

მოსკოვი, 14 იანვ. 13 იანვარს დილის სხდომაზე წითელი ცხენოსანი რაზმის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ბუდიონიმ. შემდეგ გაიმართა კამათი რიკოვის მოხსენების გამო.

პირველად ლაპარაკობს **კაპუსტინი** (იაროსლავის გუბ.), რომელიც აღნიშნავს, რომ თუ ცენტრის მხრივ მიღებული იქნება ზომები, რათა ღარიბ გლეხობის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, მასწავლებლობის კულტურული მუშაობას სოფლად მოჰყვება უფრო მეტი შედეგები და მაშინ იგი კომუნისტურ პარტიასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად შექმნის ახალ სოფელს სოციალისტურ საფუძველზე.

შემდეგ სიტყვას ამბობს ბაშკირეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი ტროიცკი, რომელიც ამბობს: „მასწავლებლობა მეფობის დროს რევოლუციონური იყო, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის დღეებში გზა-ჯვარედინზე აღმოჩნდა. ამის მიზეზი ის არის, რომ მასწავლებლობა, რომელიც გლეხობის გვერდით ცხოვრობდა, იცნობდა რევოლუციამდე მხოლოდ ერთ ესერების პარტიას და მხარს უჭერდა ამ პარტიას. **მაგრამ, თუ ჩვენ გვიან მოვედით, მოვედით სრულის შეგნებით.** ბაშკირეთის მასწავლებლობის სახელით მე უნდა ვსთქვა, რომ ყოველგვარ მუხანათურ შეთქმულობაზე ჩვენ უპასუხებთ გამარჯვებით მესამე კულტურულ ფრონტზე, შრომის ნაყოფიერების აწევით და ჩვენი სასოფლო-მეურნეობის აღდგენით. ეს იქნება საუკეთესო დამამტკიცებელი იმისა, რომ ჩვენ ძლიერები ვართ და რომ ვერავითარი შეთქმულებანი, ვერავითარი იუზები ჩვენ ვერასოდეს ვერაფერს დაგვაკლებენ".

კრუპსკაიამ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მასწავლებლების ყველა წერილები და ყრილობის დელეგატებთან საუბარი მიგვითითებენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სოფლის სკოლის გაფართოებას და განმტკიცებას, და ამას აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. ყველანი აღნიშნავენ, რომ წელს დიდძალი ბავშვები შედიან სკოლაში და რომ გლეხები დიდ ინტერესს იჩენენ სკოლისადმი. ამავე დროს მცხოვრებთა მოთხოვნა — გაფართოებული იქნას სკოლების ქსელი, აიძულებენ სახალხო განათლების განყოფილებებს შეამცირონ საბავშვო სახლების რიცხვი. ამიტომ მე საჭიროთ მიმაჩნია სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე წამოვაყენოთ პრობლემა, რათა **გამონახული იქნას რამე წყარო საბავშვო სახლების შესანახად.** სანამ ეს წყარო არაა გამონახული ძალიან საშიში და არა სასურველია საბავშვო სახლების რიცხვის შემცირება.

უკრაინის წარმომადგენელი მასწავლებელი **ხალატკინი** აცხადებს თავის სიტყვაში: „როდესაც ამ ყრილობაზე მოდიოდნენ უკრაინის მიყრუებული სოფლების დელეგატები არ მოელოდნენ ასეთ კარგ მოპყრობას მასწავლებლობის საჭიროებებისადმი და ასეთ ამხანაგურ მიდგომას მიყრუებულ მასწავლებლობის ფართო მასისადმი, როგორიც მათ დაინახეს ამ ყრილობაზე.

შუა აზიის წარმომადგენელმა ბაბაევმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საუკუნოებით ჩაგრულმა გლეხობამ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო არსებობის უფლება. შემდეგ ბაბაევმა აღნიშნა, რომ მასწავლებლობის მუშაობას აფერხებს მცხოვრებთა კულტურული და პოლიტიკური გაუნათლებლობა და ეროვნული გაზეთის უქონლობა, რადგან ეროვნული უმცირესობათა მასწავლებლებს არ შეუძლიათ ისარგებლონ რუსული გაზეთით.

საქართველოს წარმომადგენელი ჯაკობია აღნიშნავს, რომ ქართველი მასწავლებლობა როგორც წარსულში, ისე დღესაც რევოლუციონურია და რომ იმ დროში, როდესაც ამ მასწავლებლობის [illegible] ეწერა [illegible] მუშათა მოძრაობის ლოზუნგებთან ერთად ეწერა ყველა ხალხთა ეროვნული განთავისუფლების ლოზუნგებიც. ოქტომბრის რევოლუციის მიღწევანი იმაში მდგომარეობს, რომ მაგალითად **წინად ჩაგრულ ქართველ ერს დღეს სხვა ერებთან ერთად შეუძლია გადასწყვიტოს ყველა საკავშირო საკითხი, როგორც თანასწორმა დანარჩენ რესპუბლიკებს შორის.**

სულ გამოვიდა დაახლოვებით 20 ორატორი. შემდეგი გამომსვლელები შეწყვეტილი იქნა ყრილობის დადგენილებით, თუმცა ჩაწერილი იყო 500 კაცზე მეტი.

რიკოვის პასუხი

შემდეგ სიტყვა ეძლევა რიკოვს წერილობით შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. თავის სიტყვაში რიკოვმა აღნიშნა, რომ ამ შეკითხვების საერთო შინაარსიდან მან მიიღო ისეთი შთაბეჭდილება, რომ მასწავლებელთა საკავშირო პირველი ყრილობა დაინტერესებულია ყველა საკითხებით, რომლებიც უნდა იქნას დასმული სასოფლო და სათემო საბჭოების წარმომადგენელთა საკავშირო ყრილობაზე. „ეს არაა ცუდი,—აცხადებს რიკოვი,—რადგან მოწმობს იმას შესახებ, რომ მასწავლებლობას აქვს საერთო ინტერესები გლეხობასთან".

შემდეგ რიკოვი უპასუხებს იმ შეკითხვებზე, რომლებიც ეხება დამოკიდებულებას გლეხობისადმი, კოოპერაციის საკითხებს, ერთიან გადასახადს და სხვას.

სამრეწველო მუშათა მისალმებანი

რიკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობას ესალმებიან მთელი რიგ ფაბრიკა-ქარხნების მუშები.

ვლადიმირის გუბერნიის საფეიქრო ფაბრიკის მუშათა სახელით ყრილობას გადაეცა ვლადიმირ ილიჩის 1.000 სურათი, რომელიც მოქარგული იყო ვლადიმირის გუბერნიის ფაბრიკებში ყრილობის დელეგატებისათვის დასარიგებლად.

სოკოლნიკოვის რაიონის მუშები უძღვნიან ყრილობას სემაფორის მოდელს.

ახალი ძალა

საპასუხო სიტყვას, მასწავლებლობის სახელით ამბობს ამხ. გრიგორიევი, რომელიც მადლობას აცხადებს მისალმებისათვის და ამბობს: **„ჩვენს ქვეყანაში ორ მომქმედ ძალას—მუშებს და გლეხებს, ამიერიდან ემატება ახალი ძალა— საბჭოთა კავშირის მასწავლებლობა. მუშათა კლასი, გლეხობა და მასწავლებლობა—სამმაგი დასაყრდენია საბჭოთა კავშირისათვის, საიმედოა მისი აყვავება. მასწავლებლობის სახელით ვაცხადებ, რომ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა სურვილები, რომლებიც სავსებით ეთანხმება მასწავლებლობის სურვილებს, სავსებით იქნება განხორციელებული ჩვენ მიერ."**

---

*) 13 იანვრის საღამოს სხდომის ანგარიში და ამხ. რიკოვის მიერ ამ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა რედაქციას არ მიუღია.

თათბირი მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის შესახებ

ამხ. კრუპსკაის სიტყვა

მოსკოვი. 11 იანვ. 9 იანვ. მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის შესახებ გამართული თათბირის საღამოს სხდომაზე ამხ. კრუპსკაიამ გააკეთა მოხსენება გლეხ-ქალთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ.

„სოფელი ჩამოშორებულია ქალაქს, მოწყვეტილია საერთო ცხოვრებას და სცხოვრობს ხმებით, სთქვა მან. მოწინავე ქალები, რომლებიც ამ ზაფხულზე გაემგზავრნენ სოფლად სამუშაოთ საბავშვო ბაღებში, მოგვითხრობდნენ, რომ მშობლებს ეშინოდათ ბავშვების მიბარება ბაღებში და ეგონათ, რომ მათ წაიყვანდნენ წითელ არმიაში. ასეთი სიბნელითაა მოცული რუსული სოფელი".

კრუპსკაია აღნიშნავს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე ძალიან ნელა მიმდინარეობს და რომ სკოლების ქსელი მცირეა. ამავე დროს წელს სკოლებში შევიდნენ დიდძალი ბავშვები.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს რომ საჭიროა გლეხ-ქალებს განემარტოს, რათა მათ გაგზავნონ სკოლებში არა მარტო ვაჟები, არამედ ქალებიც

სახელმწიფო გამომცემლობამ დაამზადა 350.000 ანბანი სოფლებში დასაგზავნად. 100.000 ანბანი დაგზავნა კოოპერაციამ, 200.000 მიწატყის მუშაკთა კავშირმა. საერთოთ სოფელში გაიგზავნება ერთ მილიონზე მეტი ანბანი.

წითელმა არმიელებმა დაგზავნეს 200.000 ანბანი. ყოველი წითელი არმიელი ანბანთან ერთად აგზავნის წერილს, რომელშიაც მოუთხრობს, თუ როგორ უნდა მოეპყრან მას. მაგრამ ყველაფერი ეს წვეთია ზღვაში, ამავე დროს, წერა-კითხვის უცოდინარობის დროს გაზეთის კითხვა შეუძლებელია და სოფელი ყოველთვის ჩამორჩენილი იქნება საერთო ცხოვრებას.

„ჩვენ გადავსწყვიტეთ, შევადგინოთ განსაკუთრებული ქრესტომატია, რომელიც გააშუქებს სხვადასხვა საკითხებს. სახელმწიფო გამომცემლობა მზადაა გამოსცეს „სამშობლო ბიბლიოთეკა".

კამათის შემდეგ კრუპსკაია ამბობს საბოლოო სიტყვას.

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ვლადიმირ ილიჩის ხსოვნას.

თათბირის რეზოლიუცია

მოსკოვი. 13 იანვარი. გლეხ-ქალთა შორის მუშაობის შესახებ გამართულ თათბირის სხდომაზე მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„თათბირი სთხოვს ცეკას პლენუმს მიაქციოს ყურადღება იმას, რათა 13-ე ყრილობის მიერ აღნიშნული კურსი მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებათა მუშაობის საერთო პარტიულ მუშაობაში მოქცევისაკენ, გაღრმავებული იქნას და გავრცელდეს დაბალ-[illegible] სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებზე, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის განაპირა კუთხეებში და რათა ყველა დირექტივები ტარდებოდეს საგუბერნიო, სამაზრო კომიტეტების და იაჩეიკების საშუალებით.

თათბირი სთხოვს პლენუმს მიაქციოს ყურადღება ქალთა განყოფილების მუშაკთა მომზადებას სოფლად, და მათ ჩაბმას საბჭოთა პარტიულ სკოლებში, რ. კ. პ. ცეკასთან არსებულ სამაზრო მუშაკთა სკოლაში და სათემო ორგანიზატორთა სპეციალურ კურსების ორგანიზაციაში.

თათბირი მხარს უჭერს სათემო ორგანიზატორთა რიცხვის გადიდებას (თუნდაც ათასამდე) და სთხოვს დაავალოს საგუბერნიო კომიტეტებს მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს სათემო ორგანიზატორთა ფაქტიურ შტატს ადგილობრივ საშუალებებიდან.

ვინაიდან პარტიაში ჩაბმული არიან ძალიან ცოტა გლეხი ქალები და დაქირავებული მუშა-ქალები, თათბირი სთხოვს ცეკას მიიღოს ზომები, რათა უფრო ენერგიულად იქნან მიღებული პარტიაში გლეხ-ქალები—აქტივისტები, რომელნიც დაწინაურდნენ საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობაში; და ეს მიღება მოხდეს მუშა ქალის საერთაშორისო დღეს—3 მარტს".

პროვოკატორ ოკლადსკის პროცესი

13 იანვრის დილის სხდომა

ექსპერტ შჩეგოლევის ჩვენება

ექსპერტი-პროფესორი **შჩეგოლევი** ამტკიცებს, რომ ოკლადსკიზე ჟანდარმერიას არავითარი ძალ-დატანება არ უხმარია და თავისი საკუთარი ნება-სურვილით შეუდგა გამცემლობასა და მოღალატეობას. ოკლადსკის უნდოდა თავისი თავი გადაერჩინა ამ გზით და ეს კიდევაც მოახერხა მან.

ოკლადსკის მიერ უარყოფას ფაქტებისას არავითარი გავლენა არა აქვს მის წინააღმდეგ წამოყენებულ მძიმე საბუთების ძალაზე. არც ერთი პროვოკატორ-ჯაშუში არ ემსახურებოდა მეფის მთავრობას ისეთი გულწრფელობით და ერთგულობით, როგორც ოკლადსკი.

კრილენკოს სიტყვა

შემდეგ ბრალმდებელი კრილენკო კითხულობს 1923 წელში ოკლადსკის მიერ შედგენილ შავრაზმულ პროკლამაციას, რომლითაც ხალხს მოუწოდებს კომუნისტების დასამხობათ.

ოკლადსკი წარბშეუხრელად უარჰყოფს ამას და ამბობს, რომ იგი გადმობეჭდილია საზღვარ-გარეთელ შავრაზმელ გაზეთ „რულიდან".

ოკლადსკი აგრეთვე უარჰყოფს ამ პროკლამაციის თავის ხელით დაწერას და ამას აბრალებს ყოფილ მინისტრ ტურნოვის ქალიშვილს, რომელიც ეხლა მზარეულათ მსახურობს რომელიღაც სასადილოში.

ამითი აშკარად მტკიცდება, რომ ოკლადსკი საბჭოთა ხელისუფლების დროსაც გაუსწორებელი შავრაზმელი ყოფილა და შარშან კიდევ სცდილობდა რამე კავშირის აღდგენას რეაქციის ძველ მსახურებთან.

შემდეგ კითხულობენ ოკლადსკის ძველ ანკეტას ერიქსონის ქარხანაში მუშაობის დროს ჩამორთმეულს. იქ პარტიულობის შეკითხვაზე ოკლადსკის უწერია: „ყოფილი წევრი ნაროდნაია ვოლიასი".

ამის გაგონებაზე ბრალდებულმა წამოიძახა:

— ეგ იყო ჩემი გაუფრთხილებლობა, რომელმაც მომიყვანა ამ საბრალდებლო სკამზე.

სასამართლოს გამოძიება დასრულებულია. დაიწყო მხარეთა კამათი.

საღამოს სხდომა

საზოგადო ბრალმდებლის ფელიქს კონის სიტყვაში არა სჩანს ბოროტების შხამი, მაგრამ მისი ყოველი მხილება ბრალდების მძიმე ლოდებათ აწვება ოკლადსკის თავზე.

ბრალმდებელი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ოკლადსკი პროლეტარულ სასამართლოში შემოსვლისას განა თუ გულწრფელად ინანიებს თავის გამოუსყიდავ მოღალატეობას, არამედ იმდენი თავხედობაც ყოფნია, რომ უტიფრად უარი სთქვას ყოველმხრივ დამტკიცებულ ბრალდებებზე. ამას არ კმარობს იგი და სცდილობს ჩირქი მოსცხოს ისეთ რევოლუციონერ გმირს, როგორც ჟელიაბოვი, რომლის სახელიც უკვდავ დარჩება მრავალ და მრავალ თაობათა შორის.

არ ამტკიცებს, რომ ოკლადსკის მოღალატეობა დაიწყო ბევრათ უფრო ადრე ვიდრე „თექვსმეტთა პროცესი". ამ პროცესზე წარმოთქმული მისი მკვახე რევოლუციური სიტყვა კი—ეს ჟანდარმებისაგან იყო ნაკარნახევი.

კონი უარყოფს აგრეთვე ოკლადსკის წამებას ციხეებში და ამტკიცებს, რომ იგი თავის ნებით გახდა პროვოკატორათ.

ბრალმდებელი გადაწყვეტით არ მოითხოვს რაიმე სასჯელს. ამას მიანდობს რევოლუციისა და პროლეტარიატის ინტერესების სადარაჯოზე მდგომ სასამართლოს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ცენტრალური მუშათა კლუბი ბათომში.

ბათომი, 13 იანვარი. ბოლო ხანში ძალიან გაცხოველდა მუშაობა ბათომის ცენტრალურ მუშათა კლუბში. კლუბთან მუშაობს 13 წრე რომელთაგან ბევრი შეერთდა პარტიულ კლუბის წრეებს. მოწყობილია მუშებისათვის ხელმისაწვდომი კინო. ყოველდღიურად კლუბში დადის საშუალოდ 200 კაცი.

სომხეთი

ამხ. კარაპეტიანის მკვლელის გამო.

ერევანი. 13 იანვარი. ელენოვკიდან გამოგზავნიან დაწვრილებით ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ მოჰკლეს სათემო აღმასკომის თავმჯდომარე. ერვანდა კარაპეტიანი.

8 იანვარს შესდგა თათბირი „არმენტორგ"-ის ადგილობრივ განყოფილებასთან. თათბირის დამსწრენი, მათ შორის კარაპეტიანიც, „არმენტორგი"-ს მოანგარიშემ მიიპატიჟა ჩაიზე. იქ ისინი დარჩნენ ღამის 12 საათამდე. კარაპეტიანი სახლში წავიდა „არმენტორგი"-ის რწმუნებულთან ერთად, რომელიც მის მეზობლად ცხოვრობდა. კარებში შესვლისას კარაპეტიანს ესროლეს და იგი დაეცა სასიკვდილოდ დაჭრილი. კარაპეტიანის ცოლი, რომელიც გამოვარდა ოთახიდან თოფის ხმაზე, მოკლულ იქნა მეორე ტყვიით. სროლის ხმაზე შეიკრიბა მთელი სოფელი.

იჭვით მკვლელობისათვის დაპატიმრებულია 5 კაცი, მათ შორის, „არმენტორგი"-ს რწმუნებული ტირამკრტჩიანი და სათემო აღმასკომის საქმის მწარმოებელი, რომელიც ამ ღამის შეიარაღებული უნახავთ. მკვლელობის მოხდენის ადგილზე გაემგზავრნენ სომხეთის ცაკის მდივანი, რესპუბლიკის პროკურორი და სარქისიანი, რომელიც ეხლა დაინიშნა ნოვო-ბაიაზეთის სამზრო აღმასკომის თავმჯდომარეთ. სწარმოებს შემდეგი გამოძიება.

სომხეთის მონაწილეობა პარიზის სამხატვრო გამოფენაში.

ერევანი. 13 იანვ. ეკონომიურმა თათბირმა გამოჰყო სპეციალური კომისია მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლათ, რათა მონაწილეობა მიიღოს სამხატვრო გამოფენაზე პარიზში.

მოგონებათა საღამოები ლენინის გარდაცვალების წლის თავზე.

ერევანი. 13 იანვ. სომხეთის კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილება ლენინის გარდაცვალების წლის თავზე აწყობს მოგონებათა საღამოებს მუშა და გლეხ-ქალთათვის.

გლეხის სახლი გორისში.

ერევანი. 10 იანვ. ზანგეზურის სამაზრო აღმასკომის დადგენილებით გორისში შენდება გლეხის სახლი.

საბჭოთა სომხეთის დღესასწაულები.

ერევანი, 13 იანვარი. სომხეთის შრომის კომისარიატმა გამოიმუშავა დასვენების დღეების სია 1925 წ-ისათვის. გარდა შრომის კანონების კოდექსით გათვალისწინებულ დღესასწაულებისა, კიდევ წესდება შემდეგი დასვენების დღე:

10 მაისი—1920 წ. ლენინაკანში მომხდარ აჯანყების დღე, 20 სექტემბერი—26 კომისარის დღე, 29 ნოემბერი—სომხეთის გასაბჭოების დღე, დანარჩენი 5 დღე მოდის ზაფხულზე და დაწესებული იქნება სომხეთის პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

დასვენების დღეებიდან გამორიცხულია ყველა საეკლესიო დღესასწაულები.

სომხეთის კოოპერაციის მუშაკთა თათბირი

ერევანი, 13 იანვარი. კოოპერაციის ადგილობრივ მუშაკების თათბირმა, რომელიც მოწვეული იქნა სომხეთის კოოპერატივების კავშირის მიერ, დაადგინა: 1) შემცირებულ იქნეს სამეურნეო ორგანოების წარმოებიდან კოოპერაციის საბრუნავ საშუალებათა ხელოვნური ზრდა, გაჩაღებულ იქნეს კომერციული ოპერაციები,—კოოპერაციის საკუთარ საშუალებებთან შეფარდებით. 2) გაძლიერებულ იქნეს კოოპერაციის საშუალებანი საწევრო გამოსაღების შეგროვების და სავაჭრო ბრუნვის გაცხოველების გზით. 3) შემცირებულ იქნეს საქონლის ასორტიმენტი და გაყიდოს უმთავრესად, პირველი მოთხოვნილების საგნები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კოოპერატივების წევრთა პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საქონლით.

სომხეთის კოოპერატიული კავშირი

ერევანი. 13 იანვარი. სომხეთის კოოპერატიული კავშირის გამგეობამ დაადგინა შემცირდეს საქონლის ნისიათ გაშვება. შაქარი, ნავთი, მარილი, ფქვილი, გაცემული იქნება ნაღდ ფულზე, დანარჩენი საქონელი გაიცემა ნისიათ 50 პროცენტის რაოდენობით 1 ნახ. თვის ვადით.

კატრის ქარხნების აღსადგენათ.

მოსკოვი, 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა შრომის და თავდაცვის საბჭოს წინაშე, რომ სასწრაფოდ მიეცეს სომხეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 140,000 მანეთი კატრის ქარხნების და მაღაროების აღსადგენათ ზანგეზურის რაიონში, სომხეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ანგარიშით ქარხნების აღდგენა და მოწყობას დასჭირდება 860,000 მანეთი. მუშაობას უკვე შეუდგენ.

ამ საჭიროებისათვის ადგილობრივად მიღებულია 450,000 მანეთი.

სპარსეთი და საბჭოთა კავშირი

საუბარი სპარსეთის გენერალურ კონსულთან ტფილისში—მოჭ. მოვატე-ულ-მულქთან

ტფილისში ჩამოვიდა სპარსეთის გენერალური კონსული მოვატე-ულ-მულქი, რომელიც წინეთ სპარსეთის გენერალურ კონსულათ იყო ბაღდადში. ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს მან შემდეგი მოსაზრება გამოსთქვა მეგობრული ურთიერთობის აღდგენის შესახებ სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

— პირადათ ჩემი და ჩემი მთავრობის აზრი, აგრეთვე თვითეული თავისი ქვეყნის მოსიყვარულე სპარსელის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა უკვე არსებული მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. მე ვფიქრობ, რომ საჭიროა ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული იმისათვის, რომ ორივე მეგობრულ ხალხთა მასებში შევიტანოთ ამ მეგობრობის სარგებლიანობის შეგნება.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ექნება ეკონომიური ურთიერთობის აღდგენას სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, კონსულმა განაცხადა:

— მრავალი ფაქტორების არსებობა გვიკარნახებს ჩვენს სავაჭრო ურთიერთობას რაც შეიძლება ფართოთ განვითარებას საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის. ორივე ქვეყნის მეზობლობა და აქედან გამომდინარე ფრახტის სიიაფე, და ბოლოს, ის გარემოება, რომ სპარსეთის მოსახლეობა შეჩვეია რუსეთის ფაბრიკატებს, რომლებმაც დიდი ხანია უკვე დაიპყრეს სიმპატიები სპარსეთში,—ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმის სასარგებლოთ, რომ სხვა სახელმწიფოების კონკურენციას, სანამ საქმე ისეთ მდგომარეობაში იქნება, როგორც მე აღვნიშნე, არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სპარსეთის და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ოპერაციებზე, რომელიც რაც დრო გადის, თანდათან უფრო ფართოვდება. მეორეს მხრივ, სპარსეთის ნედლი მასალა ყოველთვის საღდებოდა და საღდება საბჭოთა კავშირში, რამდენათაც ეს მას ესაჭიროება.

რაც შეეხება სპარსეთის და საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას, რომელსაც უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, მე ვფიქრობ, რომ მისი განხილვა ჩვენს პარლამენტში დაიწყება მთელ რიგ გადაუდებელ სახელმწიფო საკითხების განხილვის შემდეგ—მარტის ბოლო რიცხვებში, ე. ი. სპარსელების ახალი წლის დამდეგს. ზოგიერთი დაბრკოლებების დაძლევის და სპარსეთის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის ჩამოყალიბების შემდეგ, ეს ურთიერთობა თავის ნამდვილ განვითარებას მიიღებს.

შეეხო რა ტრანზიტის საკითხს, გენერალურმა კონსულმა განაცხადა, რომ ეს მეტად საარსებო საკითხია სპარსეთისათვის.

— მე ვფიქრობ, სთქვა მან, რომ ამას გრძნობს საბჭოთა კავშირის მთავრობაც. მე იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი სპარსეთის სასარგებლოთ იქნება გადაწყვეტილი. სპარსეთის მთავრობამ გადასწყვიტა გააძლიეროს გზების გაყვანა სპარსეთში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ტრანზიტის საკითხის გადაწყვეტისათვის.

შეიხ ხეიზალის აჯანყების შესახებ, რომელსაც ამას წინათ ჰქონდა ადგილი, კონსულმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

— სპარსეთში, როგორც უკვე ცნობილია, უკანასკნელ დრომდე ფაქტიურათ ფეოდალური სისტემა არსებობდა. მემამულეებს ყავდათ თავისი ჯარები და ისინი ხშირათ ანგარიშს არ უწევდენ სპარსეთის ცენტრალურ მთავრობის განკარგულებებს. თავისი ასეთი მოქმედებებით მემამულეებს ზიანი მოჰქონდათ სპარსეთის ხალხისათვის და ისინი მხოლოდ თავისი საკუთარი ინტერესების სასარგებლოთ მოქმედობდნენ. სპარსეთის მთავრობის თავმჯდომარემ რიზა-ხანმა, რომელიც თანდათანობით ატარებდა ცენტრალიზაციის პრინციპს, მიაღწია იმას, რომ დამორჩილა ყველა ფეოდალები; წინანდებურათ განაგრძობდა ურჩობას მხოლოდ შეიხ ხეიზალი. ამას წინათ მომხდარ აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ შეიძლება თამამათ ითქვას, რომ სპარსეთში დამყარდა ერთი მტკიცე ხელისუფლება, რომლის გადაწყვეტილება სავალდებულოა ქვეყნის ყველა კუთხეებისათვის. ამან, რასაკვირველია, გააძლიერა რიზა-ხანის ავტორიტეტი.

დასასრულ გენერალურმა კონსულმა სთქვა: მე ოპტიმისტურათ უყურებ საკითხს ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცების შესახებ საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის და შემიძლია წინასწარ ვთქვა, რომ ეს ურთიერთობა დღითი დღე განვითარდება ორივე ქვეყნის სასარგებლოთ, რომელნიც მრავალი მიზეზების გამო დაკავშირებული არიან ერთმანეთთან.

დიდი თოვლი აჭარაში

მთელ აჭარისტანში ისეთი დიდი თოვლი დასდო, რომ მოხუცებსაც კი არ ახსოვთ მის მსგავსი რამ.

მაღალი სოფლები და დაბები თოვლ ქვეშ არის მოქცეული, საშუალოთ თოვლის სიმაღლე აღწევს 5-6 არშინს, ზოგიერთ ადგილას კი თოვლის ზვინები სამ საჟენსაც ასცდება, როგორც მაგალითად ხულოში.

მისვლა-მოსვლა თითქმის სულ შეწყვეტილია, როგორც სოფელსა და სოფელს შუა, აგრეთვე ბათუმთანაც.

ტელეფონის ქსელიც ბევრგან დაწყვეტილია და თუ რამე ცნობა მოდის ბათომში—ეს მხოლოდ შემთხვევით ჩამოსულ ამხანაგების წყალობით.

მაინც ყველაზე დიდი თოვლი მოვიდა ხულოს რაიონში.

დიდი თოვლის გამო ბევრი წისქვილები დანგრეულია, ბევრი კი შეჩერებული. ამიტომ ფქვილის შოვნა გასჭირდა და ხალხი მოხარშული სიმინდით იკვებება.

სადაც კი რამეს გააწყობს, ადგილობრივი ხელისუფლება ყოველივეს ღონებს, რომ დახმარება გაუწიოს ზოგს სურსათით, ზოგს სახლებიდან თოვლის ჩამოწმენდით და სხვა.

ამ არაჩვეულებრივმა თოვლმა ბევრგან მსხვერპლიც მოიტანა:

ზემო აჭარაში დაღუპულა დიდძალი საქონელი. ბევრი კიდევ გაჭირვებაშია ჩავარდნილი საკვების უქონლობის გამო.

სოფ. ხიჭორში ზვავისაგან დანგრეულა სახლი და ქვეშ მოჰყოლია გლეხი ხასან ტაკიძე თავისი მეუღლით.

სოფ. ზოდში დაღუპულა ალიბა ქოჩორ-ოღლი, სოფ. ჩაკურაში—ასლან ტაკიძე.

სოფ. ალმეში დანგრეულა სკოლა სხვა საზოგადო შენობებს ზარალი არ მოსვლიათ.

ბოლო კვირაში თოვლმა რამდენიმეთ დაიწია და გაიყინა ეს გაყინვა კი ძალიან აფერხებს გზების გაწმენდას, რაც დაუყონებლივ საჭიროებას წარმოადგენს მისვლა-მოსვლის გასაახლებლათ.

პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის დაყენების შესახებ სოფლად

(თეზისები)

1 პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის შინაარსი სოფლად დამყარებული უნდა იქნეს შემდეგ ამოცანაზე: საჭიროა, რომ პოლიტიკურ-განმანათლებელი დაწესებულებები გახდენ ჩვენი საერთო პოლიტიკის მუდმივ, ყოველდღიურ, მასიურ გამტარებლებათ სოფლად.

2. კულტურული მუშაობის როლს და მნიშვნელობას სოფლად იმ სახით, როგორც ეს აღნიშნულია მე-13 პარტიული ყრილობის დირექტივებში და დადგენილებებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ ამიერ-კავკასიის სინამდვილის პირობებში. მუშაობის ძირითადი სიძნელენი: მრავალი სხვადასხვა ერები, მრავალი ენა-კილოკავები, მოსახლეობის დაქსაქსულობა, ძველი დახავსებული ჩვეულებანი და ყოფა-ცხოვრება, ქალების მძიმე მდგომარეობა, წერა-კითხვის სრული უცოდინარობა მთელ რიგ მნიშვნელოვან რაიონებში, ანბანის უქონლობა ზოგიერთ ერებს შორის. პარტიული ორგანიზაციები და საბჭოთა აპარატი სოფლათ ჯერ კიდევ ვერ არის საკმაოთ განმტკიცებული მუშაკების სათანადო კადრის უყოლობისა და ქალაქთან სუსტი კავშირის გამო. პოლიტიკურ-განმანათლებელი დაწესებულებების ქსელი სოფლად მეტად სუსტია, სუსტათ მოწყობილი ქოხ-სამკითხველოები, სახალხო სახლები, ბიბლიოთეკები. მუდმივი პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაკებით ამიერ-კავკასიაში ჩვენ თითქმის არა გვაქვს. ჩვენ ცოტა გვყავს სამაზრო პოლიტიკური განათლების მმართველობის გამგეებათ გამოსადეგი პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაკები და ინსტრუქტორები; განსაკუთრებით სუსტია როგორც ღირსების, ისე რაოდენობის მხრივ პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაკების შემადგენლობა სოფლათ. სუსტათ ხდება ფინანსების მიწოდება პოლიტიკური განათლების საქმისათვის—არ არის მტკიცე ბიუჯეტი. თითქმის სულ არ არის ადგილობრივი საშუალებები.

3. სოფლის პოლიტიკურ-განმანათლებელი დაწესებულებები თითქმის სავსებით მოწყვეტილი არიან სამაზრო ცენტრებს, მათ სუსტი კავშირი აქვთ დამყარებული მოსახლეობასთან, კერძოთ, გლეხების იმ ფენებთან, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე არიან.

სოფლის პოლიტიკურ-განმანათლებელ დაწესებულებებში ძალიან ცოტაა წიგნები და სამოსწავლო-საჩვენებელი ინვენტარი; სუსტათ არის დამუშავებული სოფლათ პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის მეთოდები ადგილობრივ ენებზე.

4. ჩვენ მომავალში ველარ შევურიგდებით პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის ასეთ მდგომარეობას სოფლად ამიერ-კავკასიის პირობებში. მხედველობაში ვიღებთ რა მე-13 პარტიული ყრილობის დადგენილებებს და დირექტივებს და ანგარიშს ვუწევთ რა თვითეული რესპუბლიკის ადგილობრივ პირობებს, აუცილებელია გამომუშავებული იქნეს გეგმაშეწონილი მუშაობა და დაუყოვნებლივ შეუდგეთ მის გატარებას.

5. საჭიროა შექმნილი იქნეს სოფლათ ერთიანი პოლიტიკურ განმანათლებელი ცენტრი, რომლის გარშემო უნდა გაერთიანდეს პარტიის, კომკავშირის და სხვა ორგანიზაციების მუშაობა. რუსეთში ასეთი სათემო ცენტრია ქოხ-სამკითხველო. ჩვენ უნდა წამოვაყენოთ იდეა სათემო, სასოფლო ქოხ-სამკითხველოების მოწყობის შესახებ, სამაზრო ცენტრებში კი უნდა მოეწყოს გლეხის სახლები.

6. გლეხთა სახლებს და ქოხ-სამკითხველოებს აუცილებლათ უნდა ყავდეთ მუდმივი გამგე—პარტიული ამხანაგი, რომელიც საკმაო ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს მოსახლეობაში, ამ თანამდებობებზე, შეძლებისდაგვარათ არჩეული უნდა იქნენ ისეთი პარტიული ამხანაგები, რომელთაც აქვთ კულტურული მუშაობის სტაჟი.

7. საზოგადოებრივ ძალებიდან გლეხთა სახლების და ქოხ-სამკითხველოების მუშაობაში დიდ როლი ითამაშებს მასწავლებელი. მას შეუძლია სახლებში და ქოხ-სამკითხველოებთან მოაწყოს წრეები, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი, სკოლა მოზრდილთათვის, ბიბლიოთეკა. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა გაერთიანება გლეხთა სახლის და ქოხ-სამკითხველოების გარშემო, მათი საშუალებით შეუძლიან დაუკავშირდეს მოსახლეობას; ამასთანავე მას შეუძლია ახალგაზრდობას შეასწავლოს გაზეთების კითხვა, ჩააბას ისინი დღესასწაულების მოწყობის საქმეში და სხვა.

8 განსაკუთრებულ როლს ითამაშებს ქოხ-სამკითხველოებთან აგრონომი; მას შეუძლია საჩვენებელი მიწდორის და აგრონომიული პუნქტის მუშაობა მჭიდროთ დაუკავშიროს ქოხ-სამკითხველოს მუშაობას. ქოხ-სამკითხველოების საშუალებით შეიძლება ექსკურსიების მოწყობა საუკეთესო მეურნეობებში, სახალხო მამულებში. ქოხ-სამკითხველოებში შეიძლება მოწყობილი იქნეს სხვადასხვაგვარი მოკლე ვადიანი სასოფლო-სამეურნეო წრეები.

9. ქოხ-სამკითხველოები გამოყენებული უნდა იქნეს კოოპერატიული პროპაგანდისათვის; ქოხ-სამკითხველოებმა გლეხებს უნდა მიაწოდონ აუცილებელი ცნობები, მათ უნდა შეარჩიონ სათანადო წიგნები კოოპერატიული მუშაობის დარგში, ამასთანავე უნდა წაუკითხონ და განუმარტონ გლეხებს სათანადო წერილები. სამაგიეროთ კოოპერაცია უნდა დაეხმაროს ქოხ-სამკითხველოებს მატერიალური საშუალებებით უკვე არსებულ დადგენილების ფარგლებში ნახევარ პროც. რაოდენობით.

10. გლეხის სახლი და ქოხ-სამკითხველო დიდ სამსახურს გაუწევს გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტებს. მათი საშუალებით გლეხკომებს შეუძლიათ ყოველგვარი ცნობების მიღება. გლეხის სახლს და ქოხ-სამკითხველოს შეუძლიათ დახმარების აღმოჩენა კომიტეტებისათვის, შეუძლიათ გააცნონ მათ სხვა გლეხკომების მუშაობა, გააცნონ მოსახლეობის კოლექტიური ურთიერთ დახმარების სხვადასხვა ფორმები და სხ.

11. სამაზრო, სათემო, რაიონულ და საუბნო აღმასკომებს შეუძლიათ გამოიყენონ გლეხის სახლები და ქოხ-სამკითხველოები დეკრეტების, განკარგულებების განსამარტავად, საბჭოთა კანონმდებლობის გასაცნობად.

12. განსაკუთრებულ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პოლიტ-განათლების მუშაკის მიცემა სოფლისათვის ყოველ დ უმნიშვნელო ხელფასის (ზოგჯერ ყოველგვარი ხელფასის მიუღებლობის) გამო, პოლიტ-განათლების მუშაკები სოფლიდან გამორბიან ქალაქში. ყველა საბჭოთა-პარტიული სკოლები პირველ ყოვლისა უნდა ამზადებდენ პოლიტ-განათლების მუშაკებს სოფლისათვის. აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს არსებულ მუშაკების გადამზადების და მათი კვალიფიკაციის გადიდებას სპეციალური კურსების, თათბირების და კონფერენციების შემწეობით, აგრეთვე მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

13. სოფლის პოლიტ-განმანათლებელ დაწესებულებების შრომის უნარიანობის უმთავრესი პირობა—ეს არის მოსახლეობისათვის მასიურ პოპულიარულ წიგნაკების, პლაკატების, მოძრავი კინოების, კარტოგრამების მიწოდება მშობლიურ ენაზე. ქოხ-სამკითხველოებთან, განსაკუთრებით კოოპერატივებთან აუცილებლად მოწყობილი უნდა იქნენ წიგნების კიოსკები, სადაც უნდა იყიდებოდეს სოფლისათვის საჭირო იაფფასიანი წიგნები. სამაზრო ცენტრალურ წიგნთსაცავების ამოცანაა მიაწოდოს სოფელს სათემო წიგნთსაცავების ან ქოხ-სამკითხველოების საშუალებით.

მოძრავი კინოები.

14. პოლიტ-განმანათლებელი მუშაობის გასაძლიერებლად სოფლად აუცილებლად უნდა არსებობდეს მოძრავი კინოები, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა როგორც აგიტაციის საშუალებას; მოძრავ კინოებს უნდა ჰქონდეთ სოფლის პირობებისათვის შესაფერი სურათები (ყოფა-ცხოვრების, მეცნიერული, რევოლუციონური ხასიათის), გეგმიანი ხელმძღვანელობის და მეტი ნაყოფიერების გამოჩენის მიზნით, მოძრავ კინოებს უშუალოდ უნდა განაგებდენ პოლიტ-განათლების განყოფილებები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სოფლად მთელს პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას; სახელმწიფო კინო-მრეწველობას დაევალოს, რომ მან თვითეულ კინო-ფილმიდან თითო ცალი კინო-ლენტი დაუთმოს პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს „პლიონკის" ფასად. ადგილობრივ აღმასკომებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ თითო მოძრავი კინო, ამის განხორციელება უნდა დაეკისროს პოლიტ-განათლების მთავარ სამართველოს.

15. ყველა პოლიტ-განმანათლებელი დაწესებულებები სოფლად გამოუკლებლივ უნდა გახდენ ჩვენ გაზეთებზე ხელის მოწერის გამავრცელებელ აგენტებად. ბოლოს და ბოლოს ჩვენი პროპაგანდის იარაღი სოფლად,—ეს ჩვენი საგლეხო გაზეთია. მასზე ხელისმომწერთა (ინდივიდუალურად და კოლექტიურად) კადრის შექმნა ერთად ერთი უტყუარი საშუალებაა იმისათვის, რომ გლეხობა გაეცნოს სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანებს. პოლიტ-განათლების დაწესებულებებმა უნდა იზრუნონ გლეხ კორესპონდენტთა ინსტიტუტის შექმნაზე.

16. უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ-კავკასიის პრესა ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს კულტურული აღმშენებლობის საკითხებს და კერძოდ სოფლად მუშაობას. გაზ. „პრავდა"-ს მაგალითის მიხედვით, ყველა ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ცალკე გვერდი „განათლების ფრონტზე", სადაც სადირექტივო წერილებთან ერთად გაშუქებული უნდა იქნეს მუშაობა ადგილებზე, გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი გამოცდილება, მათ უნდა ჰყავდეთ მუდმივი კორესპონდენტები — მასწავლებლები, პოლიტ-განმანათლებელ დაწესებულებათა მუშაკები.

17. აუცილებლად იქნეს ცნობილი პოლიტ-განათლების განყოფილების მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერება და გაღრმავება რესპუბლიკების ეროვნულ უმცირესობათა შორის, მათ უნდა დაეთმოთ მეტი საშუალებები და ძალები, გათვალისწინებული იქნეს მათი მოთხოვნილებები და ყოველმხრივ მათ ხელი უნდა გაეუწოდოთ.

18. სამაზრო პოლიტგანათლების აპარატები უნდა იმყოფებოდენ სამაზრო აღმასკომის გამგებლობაში. ამასთან საჭიროა გადიდებულ იქნეს სამაზრო ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც ხმარდება სოფლის პოლიტიკურ განათლებას. აგრეთვე სამაზრო ბიუჯეტში ნაანგარიშები უნდა იყვეს ქოხ-სამკითხველოების და გლეხთა სახლების შესანახი ხარჯები და მათი გამგეების ჯამაგირები. პოლიტგანათლების მუშაკნი მაზრებში [illegible] გზით არ უნდა იცვლებოდენ ჩქარ-ჩქარ. სხვა ადგილზე გადაყვანა კი უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ მის სანაცვლოდ დაყენებულ იქნება სწორეთ იმნაირივე ღირსების მუშაკი.

19. რადგან გლეხ-ქალთა მასსები ძალიან ჩამორჩენილი არიან ყოფა-ცხოვრებით, კულტურულათ და პოლიტიკურათ, ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მათ მიზიდვას წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის სკოლებში. აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მათ პოლიტიკურ განათლებას და ამ მოსაზრებით ყველაზე ჩამორჩენილ ადგილებში მოწყობილი უნდა იქნეს ქალების საგანგებო სკოლები და წრეები. ამას გარდა მუშაობა გლეხ-ქალთა შორის უნდა სწარმოებდეს „გლეხ-ქალთა კუთხეებში", თურქ ქალთა კლუბებში და კომკავშირელთა კლუბებში, სადაც აგრეთვე უნდა იყვნენ გამოყოფილი „კუთხეები". გარდა დელეგატთა კრებისა გლეხ-ქალთა გათვითცნობიერებაში დიდი როლი უნდა ითამაშოს „გლეხ ქალთა კუთხეებმა". ეს კუთხე უნდა წარმოადგენდეს ერთ ან ორ ოთახს, სადაც მოწყობილია საანბანო სკოლა, სამკითხველო, იურიდიული და საექიმო დახმარება თუ შესაძლებელია—საწარმოო არტელებიც. საჭიროა სისტემატიურათ განვავითაროთ და განვამტკიცოთ გლეხ-ქალების დელეგატთა კრება, ხელი უნდა შევუწყოთ მათ წამოყენებას სხვადასხვა საარჩევნო ადგილებზე: (საბჭოთა და კოოპერატივებში). აგრეთვე უნდა შევუწყოთ ხელი მათში საზოგადოებრივ საქმით დაინტერესებას: (გლეხკომები, სასკოლო საბჭოები, სანიტარული სამეულები და სხვა).

20. პოლიტ-განათლების საქმეში სოფლად ჩაბმულ უნდა იყვენ ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წევრები, რომელთა მუშაობაც უნდა დატრიალდეს ქოხ-სამკითხველოების გარშემო. საჭიროთ უნდა იყოს ცნობილი ქოხ-სამკითხველოებში სასოფლო-სამეურნეო და სხვა წრეების მოწყობა, რომელიც უნდა შესდგებოდეს ახალგაზრდობიდან. სხვადასხვა წრეებში, სკოლებში და კურსებზე დასამზადებელი მუშაკები უნდა გამოძებნილ იყვნენ უმთავრესად ახალგაზრდა კომკავშირელთა წრიდან პოლიტგანათლების დაწესებულებათა დახმარება ახ. კომკავშირისადმი სოფლად მუშაობის წარმოებისათვის უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში:

1. წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის გეგმაში პირველი ადგილი უნდა დაეთმოს — კომკავშირელთა შორის წ.-კ. უცოდინარობის მოსპობას.
2. უნდა გამოიცეს და გავრცელდეს სახალხო ლიტერატურა სოფლის ახალგაზრდობის შორის.

პოლიტგანათლების ყოველგვარ საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებს ახ. კომკავშირი და უწევს მას ყოველნაირ დახმარებას.

ა.-კ. ხ. კ. სააგ.-საპ. განყოფილება.

პარტიული ცხოვრება

ლენინგრადის მუშა-ქალთა მადლობა

ს. კ. პ. ცეკას ქალთა განყოფილებამ ლენინგრადის მუშა და გლეხ ქალებიდან მიიღო შემდეგი წერილი:

საქართველოს მშრომელ ქალებს

ძვირფასო ამხანაგებო

გიგზავნით ჩვენს პროლეტარულ მხურვალე სალამს. უდიდესი სიხარულის და ზეიმის გრძნობით მივიღეთ თქვენგან დროშა ოქტომბრის რევოლიუციის მე-7 წლის თავის დღეს. ამ დროშამ მოგვითხრო ჩვენ ამ უდიდესი გამარჯვების შესახებ, რომელიც მივიღეთ ჩვენ ოქტომბერში.

დიდი ხანი არ არის რაც ჩვენ ვიყავით მეფის და მისი მოადგილეების მონები. დიდი ხანი არ არის, რაც ხელოვნურად მწვავდებოდა სიძულვილი მეფის რუსეთის მშრომელთა და მის მიერ დამონავებულ ეროვნებათა შორის. ეხლა კი ჩვენ ჩამოვაგდეთ მეფე, თავადები, მემამულეები და გადავისროლეთ ისტორიის სანაგვე ყუთში, გაერთიანებულ ძალღონით ჩავიგდეთ ხელში ხელისუფლება, ვაშენებთ ახალ ცხოვრებას, გავერთიანდით ძლიერი საბჭოთა რესპუბლიკის კავშირში.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მშრომელი ქალი იყო უუფლებო და მივიწყებულ არსებად. ეხლა კი ქართველი მშრომელი ქალები განთავისუფლდნენ საუკუნოების მონურ უღლისაგან, ფართოდ ჩაებნენ სოციალისტურ აღმშენებლობაში, მტკიცე ნაბიჯებით მიდიან წინ ლენინის პარტიის დროშის ქვეშ. ისინი იკრიბებიან თავიანთ ყრილობებზე, არჩევენ თანამედროვე უმთავრეს კითხვებს.

საბჭოთა რესპუბლიკების მუშების და გლეხების, ლენინიზმი ამ ჟამად მომართულია რესპუბლიკის მეურნეობის გამაგრებისაკენ, ქალაქის და სოფლის კავშირის განმტკიცებისაკენ, შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ, მუშა ქალები და გლეხი-ქალები საერთო ფრონტის რიგებში კომპარტიის აქტიური ხელმძღვანელობით მონაწილეობენ ამ ამოცანების განხორციელებაში.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი უძლეველი ციხეა. მას იცავენ ყველა მშრომელები განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა.

საქართველოში აგვისტოში მომხდარ ამბებმა აშკარა გახადეს საბჭოთა ხელისუფლების შეუდრეკელი სიმაგრე, ბურჟუაზიის დამქაშები, ქართველი მენშევიკები შეეცადნენ საქართველოს მშრომელების აჯანყებას მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ. მათი საზრალო განზრახვანი ჩაფლავდნენ და ერთხელ კიდევ დაამტკიცეს მეორე ინტერნაციონალის, სოციალ-დემოკრატიის საზიზღარი როლი, როგორც კაპიტალის ლაქიებისა. საქართველოს მშრომელებმა ორგანიზაციულად უკუაგდეს ეს ახალი გამცემლობა.

დიდ ოქტომბრის წლის თავის დღეს, როდესაც გადავავლებთ თვალს გავლილ გზას და შევხედავთ თანამედროვე მდგომარეობას, ჩვენ ვიტყვით არა და არ იქნება არასოდეს, რომ წარსულს დავუბრუნდეთ, არ არის მსოფლიოში ძალა, რომელიც შესძლებს ისტორიის უკან დაბრუნებას. იმას, რაც ბრძოლით მოპოვებულია, ჩვენ არ დავთმობთ, ის რაც ჯერ კიდევ არ დაგვიპყრია, ჩვენ მას მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად დავიპყრობთ.

საქართველოს მშრომელი ქალები თავიანთ მაგალითზე უჩვენებენ განთავისუფლების გზას მსოფლიოს აღმოსავლეთის ქალებისათვის.

კომინტერნის დროშის ქვეშ ერთდებიან ყველა ქვეყნის დამონებულნი უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლისათვის. აჯანყების ალში იბადება მსოფლიო ოქტომბერი. და მის მოწოდებაზე ჩვენ, საბჭოთა კავშირის მუშა ქალები და გლეხი ქალები ვაცხადებთ, რომ მუდამ მზადა ვართ.

გაუმარჯოს კომინტერნს.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

ლენინგრადის საგუბერნიო მუშა ქალთა და გლეხ-ქალთა ქვე განყოფილების გამგე **ბოგდანოვა.**

ელექტრო-მექანიკური ქარხნის კომ-უჯრედში

„თემქის" კომუჯრედში წევრთა რიცხვი აღწევს 34 კაცამდე, მათ შორის 20 კაცი ადგილობრივად ქარხანაში მომუშავენია და დანარჩენები კი მომაგრებულები არიან სხვადასხვა დაწესებულებებთან. მთელ უჯრედში პარტიის წევრი 13 კაცია, დანარჩენები კი ლენინელები. უჯრედის წევრები კრებებს სისტემატიურად ესწრებიან. რაიკომიდან არის ინსტრუქტორათ დანიშნული უჯრედში ამხ. რაბინოვიჩი, პასუხისმგებელ მომუშავედ ამხ. რუხაძე. უჯრედის ბიურო შესდგება 5 წევრისაგან. ყველა წევრებს დავალებული აქვთ რაიმე მუშაობა; ზოგი საშეფო კომისიაში მუშაობს, ზოგი კულტკომისიაში, „რემედასში" და სხვა. თემქის უჯრედს აქვს საშეფოდ სოფელი ქვემო-ჭალა, სადაც მუშაობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. თემქის უჯრედს აქვს კავშირი აგრეთვე სამხედრო ნაწილთან (მომარაგების ნაწილთან) (отдел снабжения) და საკავშირო ასეულთან. კომუჯრედს ყავს ორი ამხანაგი გამოყოფილი კომკავშირში რომლებიც სისტემატიურად ესწრებიან კომკავშირის უჯრედის კრებებს. კავშირი კომუჯრედისა და კომკავშირის შორის კარგია. თითქმის ყველა კრებები კომუჯრედისა იმართება კომკავშირთან ერთად. კომუჯრედს ჰყავს აგრეთვე გამოყოფილი ორი კორესპონდენტი. ყველა წევრები იწერავენ გაზეთებს.

ვ. მეუნარგია.

თურქ ქალთა კლუბების წარმომადგენელთა კონფერენცია

ბაქო. 14 იან. გუშინ გაიხსნა ამიერ-კავკასიის ფედერაციის თურქ ქალთა კლუბებში მომუშავე ქალების კონფერენცია. კონფერენციას მიესალმენ აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას, პოლიტგანათლების მთავარ სამართველოს, ა.-კ. საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილებების, საქართველოს კომპარტიის ცეკას, სომხეთის კომპარტიის ცეკას, ალი ბაირამოვის სახელობის კლუბის და სხვ. წარმომადგენლები.

პრეზიდიუმის საპატიო წევრებად არჩეული არიან: ცეტკინი, კრუპსკაია, ცეიტლინი, ნიკოლაევა და კასპაროვა. კონფერენციამ დაადგინა აღნიშნულ ამხანაგებს გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშები.

დღის წესრიგი: ანგარიშები ადგილებიდან, ქალთა კლუბებში მუშაობის მეთოდები, კლუბების ამოცანები ახალგაზრდობის და ბავშვთა მოძრაობაში, კოოპერაცია და ქალთა არტელები.

მისალმებების დროს ორატორები აღნიშნავდნენ, რომ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა აქვს კლუბის მუშაობისათვის ჯამის გაკეთების და მუშაობის საერთო გეგმის შესამუშავებლათ.

მომხსენებელმა ალი ბაირამოვის სახელობის კლუბის მუშაობის შესახებ აღნიშნა, რომ კლუბის ნამდვილ წევრთა რაოდენობა უდრის 800 კაცს, მაგრამ მასში გაერთიანებულია ბაქოელ თურქ ქალების გაცილებით უფრო მეტი რაოდენობა. კლუბის მარტო პროფესიონალურ კურსებზე სწავლობს 400 ქალი. არის აგრეთვე საბებიო, მომვლელი ქალების, ტელეფონზე მომუშავეების და მემანქანეების კურსები; არის აგრეთვე საბავშვო ბაღები. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლეში სწავლობს 42 ქალი. ახალგაზრდობის სექციაში გაერთიანებულია 360 ქალიშვილი, ახალგაზრდობის კომკავშირის სექციაში — 106 პიონერთა, [illegible] 56 ქალიშვილი. გახსნილია მაზრებიდან ჩამომსვლელთათვის საერთო საცხოვრებელი [illegible] გლეხის სახლი. კლუბმა ბაქოს საბჭოში გაიყვანა 11 ქალი.

ქალთა კლუბების 4 წლის მუშაობამ აზერბეიჯანში გაამართლა მათი დანიშნულება. თურქი ქალი ეზიარა კულტურას და გამოვიდა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე იმ კლუბების საშუალებით, რომელთა რიცხვი უდრის 21-ს და რომელშიაც გაერთიანებულია 21.000 თურქი ქალი.

მოხსენებები ადგილებიდან.

ბაქო. 14 იან. მოხსენებებით ადგილებიდან გამოვიდენ 40 კლუბის წარმომადგენლები, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ყოველი კუთხიდან. მოხსენებებიდან გამოირკვა: კლუბებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თურქი ქალების კულტურულ გათვითცნობიერებისათვის და მათი განთავისუფლებისათვის; საგრძნობია თურქ ქალების განათლების გაფართოება, ხდება თურქ ქალების მუშაობაში ჩაბმა პროფესიონალურ სკოლების, სახელოსნოების და თეატრების მოწყობის გზით, სათანადო მეთვალყურეობას ვერ უწევენ ამ მუშაობას ადგილობრივი პოლიტგანათლების განყოფილებები, არ არის სათანადო თანხები, ლიტერატურა, ნაკლებია საკლუბო საქმიანობისათვის მომზადებული ქალების რიცხვი.

სალამი საბჭოთა კავშირის მოწინავე გლეხ-ქალებს

ბაქო. 14 იანვარი. კონფერენციამ დაადგინა გაუგზავნოს გლეხ-ქალთა შორის მუშაობის მომწესრიგებელ საკავშირო თათბირს შემდეგი დეპეშა: „თურქ მუშა ქალთა ამიერ-კავკასიის კონფერენცია ესალმება საბჭოთა კავშირის მოწინავე გლეხ-ქალებს, რომლებიც ჩაბმული არიან საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში. ჩამორჩენილი თურქი ქალი ძველი ცხოვრების საფუძვლების დანგრევის გზით მიდის თავის განთავისუფლებისაკენ. ამ გზაზე დასაყრდენს წარმოადგენენ კლუბები და ლენინის კუთხეები. კონფერენცია უსურვებს თათბირს ნაყოფიერ მუშაობას".

შეფები ეხმარებიან სოფელს

(შინაგან საქმეთა კომისარიატის კომუჯრედი)

შინ. საქმეთა სახ. კომისარიატში შესდგა კომუჯრედის ღია სხდომა 7 იანვარს საღამოს 6 საათზე, კრებას დაესწრო თანამშრომლების უმრავლესობა.

კრება გახსნა ამხ. შ. ხამაშურიძემ. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) „რემედასის" მნიშვნელობა, 2) საშეფო კომისიის მუშაობის და 3) პოლიტმეცადინეობის შესახებ.

„რემედასის" შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შ. გეგენავამ, რომელმაც ვრცლად გააშუქა მისი წარმოშობის ისტორია და მნიშვნელობა, მიმართა კრებას მოწოდებით ჩაეწერონ ხსენებულ საზოგადოების წევრათ. კრებამ ერთხმად გამოსთქვა წევრათ ჩარიცხვის სურვილი.

საშეფო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საშეფო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ი. თაზიშვილმა. მან აღნიშნა კომისიის ნაყოფიერი მუშაობა, რომელმაც დიდი ენერგია და ინიციატივა გამოიჩინა საშეფო სოფელში ქვემო-გომის (გორის მაზრა) კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებაში, რაც გამოიხატა სკოლისათვის დიდი შენობის აგებით, რომელიც თავის დანიშნულებით პირველი იქნება აღმოსავლეთ საქართველოში.

ეს შენობა თითქმის დასრულებულია. გარდა ამისა, კომისიამ აიღო ინიციატივა ხიდის აგებისა მდინარე მტკვარზე და ელსადგურის აშენება, რის განსახორციელებლათ უკვე წინასწარი მუშაობა შესრულებულია.

ყოველივე ამ ხარჯებს (ფულად) ეწევა კომისია, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდან შოულობს მას, მაგ. წარმოდგენის გამართვით, ლატარიით და სხვა, სოფელს გარდა ფიზიკურად მუშაობისა, ნივთიერათ არაფერი არ დაუხარჯავს ამ გრანდიოზულ და სამაგალითო საქმეზე.

კრებას დაესწრნენ სოფელ ქვემო-გომის გლეხების წარმომადგენლები ამხ. გ. თათრიშვილი და ამხ. კაციაშვილი, რომლებმაც დაადასტურეს საშეფო კომისიის ენერგიული მუშაობა და მათი ინიციატივა და მადლობა გადაუხადეს კრებას. კრებამ გადასწყვიტა ხსენებულ სკოლისათვის შეიძინოს წიგნები და გადასცეს გლეხების წარმომადგენლებს.

პოლიტმეცადინეობის შესახებ ამხ. ხამაშურიძემ აცნობა დამსწრეთ, რომ შინ. საქ. სახ. კომისარიატში უკვე დაარსდა პოლიტწრე, სადაც თანამშრომელთ შეუძლიანთ მეცადინეობა.

პარტკორი ლ. მსხილაძე.

აღარ გვყავს დათიკო კაჭარავა

ჩვენი დათიკო გარდაიცვალა!

დავკარგეთ ამხანაგი, რომელმაც მთელი თავისი პირადი სიცოცხლე, მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მოანდომა საქართველოს კომკავშირისათვის საფუძვლების ჩაყრას, მის გამაგრებას და გაძლიერებას.

იმ დროს, როდესაც საქართველოს მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა სულს ღაფავდა მენშევიზმის სასტიკი შავი დიქტატურის ქვეშ, როდესაც მენშევიზმი მიისწრაფოდა მშრომელ ახალგაზრდობის გულში გაეღვივებინა ნაციონალისტურ-შოვინისტური გრძნობები, მოედუნებია მასში კლასობრივი თვითშეგნება, ჯერ კიდევ ნორჩი ჩვენი ამხანაგი დათიკო მტკიცე ნებისყოფით და რევოლიუციონური ენტუზიაზმით აღსავსე კრებდა საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობას თავის ირგვლივ, უხსნიდა მათ ბოლშევიზმის რაობას, რაზმავდა მათ ორგანიზაციაში. იმავე დროს ის სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ნაციონალისტურ-შოვინისტური პარტიების წინააღმდეგ.

რამდენჯერ დამდგარა მძიმე წუთები დათიკოს ცხოვრებაში არალეგალურ მუშაობის დროს, რამდენჯერ მოელოდა მას სიკვდილის საფრთხე. მაგრამ დათიკო ყოველთვის უშიშარი, იყო და არასოდეს არ ღალატობდა თავის რწმენას. 1919 წელში აბაშაში დათიკოსთვის თოკით დაუპირებიათ ჩამოხრჩობა იმ შემთხვევაში თუ იგი არ იტყოდა, თუ ვინ მისცა მას პროკლამაციები და საიდან „მიჰქონდა". დათიკომ უშიშრად უპასუხა: თქვენ შეგიძლიათ ჩამომახრჩოთ ეხლავე, პასუხს ჩემგან მაინც ვერ მიიღებთ, თქვენ ვერ მიაღწევთ თქვენ ბოროტ ზრახვებს".

მრავალი იყო ასეთი ფაქტები მის ცხოვრებაში...

1921 წლის შემდეგაც ამხანაგი დათიკო რჩება ხელმძღვანელათ საქართველოს კომკავშირში.

დღეს კი ჩვენ რიგებში დათიკო აღარ არის, ის დაიღუპა, მაგრამ, მუდამ იცოცხლებს ყოველ კომკავშირელის გულში.

ამხ. დათიკოს წარსული რევოლიუციონური ბრძოლის გამოცდილება უნდა გახდეს საქართველოს ახალგაზრდა კომკავშირის მასის და პიონერების შესწავლის საგანი.

ამხანაგო დათიკო! გაძლევთ სიტყვას, რომ მედგრათ ვივლით ლენინიზმის ჩირაღდნით ხელში მთელ მსოფლიოში მუშათა კლასის განთავისუფლების ბრძოლის გზაზე, რომლიდანაც მთელი შენი სიცოცხლე ყრმობიდან დაწყებული უკანასკნელ წლებამდე არ გადაგიხვევია.

ჩვენ გადავცემთ მთელ მოზარდ თაობას შენი რევოლიუციონური ბრძოლის გამოცდილებას და განვაგრძობთ იმ საქმეს, რომლისთვისაც იბრძოდი.

მშვიდობით ჩვენო დათიკო...

ელიოშა მდივანი.

ეკონომიური ცხოვრება

ს. მ. უ. ს. საამშენებლო მასალის ქარხნები

1-ლი ქსანის ქარხანა

ნაწვავი მასალა.

ფაბრიკატების გამოწვევისათვის სათბობ მასალად იხმარება ტყვიბულის ქვა-ნახშირის ნარჩენი. ქვა-ნახშირის ყოველთვიური ხარჯვა საშუალოდ უდრიდა 3600—4.000 ფუთს.

მთელი წლის განმავლობაში დახარჯულია 46.000 ფუთი ქვა-ნახშირი, ხოლო დამუშავებულია 1.300.000 ნაჭერი. ყოველ 1.000 ნაჭერზე დახარჯულია 33 ფუთი ნახშირი, ხოლო ომის წინა დროში ყოველ 1000 ფუთზე იხარჯებოდა 35—40 ფუთი ნახშირი.

ამავე წლის განმავლობაში დახარჯულია 5.697 ფუთი ნავთი. ნავთის ასეთი დიდი რაოდენობით ხარჯვა გამოწვეულია მანქანების გაცვეთით.

ნაყოფიერება.

ქარხნის მიერ საწარმოო პროგრამა შესრულებულია 126 პროცენტით. პროგრამით გაზრახული იყო 960.000 ერთეულის დამზადება, ხოლო დამუშავებული იქნა 1.197.651 ერთეული. ამ რიცხვიდან ფაბრიკატების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს აგური და კრამიტი, შემდეგ კერამიკული მილები და სხვა. გახმობის და გამოწვის დროს გაფუჭდა 15 პროცენტი.

კრამიტის რეალიზაცია.

ომამდე კრამიტის მთავარ მომხმარებლად ითვლებოდა დასავლეთ საქართველოს გლეხობა. კრამიტი იგზავნებოდა აგრეთვე ანატოლიაში. საანგარიშო წელს კრამიტის უმრავლესობა იყიდა „აზნეფტ"-მა, მხოლოდ 1924 წლის მეორე ნახევარში კრამიტის მოთხოვნილება გაიზარდა აგრეთვე გლეხობაშიც, საერთოდ მოთხოვნილებამ დაჭარბა მიწოდებას.

1.300.158 ნაჭერ ფაბრიკატიდან სახელმწიფო დაწესებულებებმა გაასაღეს თითქმის 855 პროცენტი, დანარჩენი 15 პროც. კერძო პირებმა. „აზნეფტ"-მა გაასაღა 481.100 ცალი კრამიტი. ცალი კრამიტი იყიდება 10 კაპიკათ.

მოთხოვნილება კრამიტზე თანდათან იზრდება და მუდმივი ხდება ქარხანას დღითი დღე ემატება შეკვეთები.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს არსებულ ქარხანათა სამმართველოს უწყებაში მყოფ ყველა ქარხნებს შორის თავისი მოწყობილობით და მუშათა რაოდენობით ყველაზე დიდი ქარხანა არის ქსანის აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც მდგომარეობს სადგურ ქსანთან მდ. მტკვარის ორივე ნაპირზე. მთ. ქარხანაში მთელი მუშაობა მექანიკურად სწარმოებს. ქარხნისათვის მიწოდება თიხისა, რომელიც წარმოების მთავარი მასალაა, ხდება ვაგონეტკებით. აგურ-კრამიტის გამოწვა სწარმოებს ჰოფმანის ღუმელში. ქარხანას აქვს თავისი საკუთარი მამოძრავებელი 50 ცხენის ძალისა ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზით ქარხანა უერთდება ა | კ. რკინიგზას.

მუშათა რაოდენობა

ამჟამად ქარხანაში მუშაობს 167 კაცი. 1924 წლის დასაწყისში კი იყო 140 კაცი. მუშათა რიცხვის გადიდება გამოწვეულია ერთის მხრივ კრამიტზე მოთხოვნილების გადიდებით და მეორე მხრივ ქარხნის ზოგიერთ ცეხში რიგრიგობით შეცვლის შემოღებით. ქარხანა მუშებს ნარდათ აძლევს სამუშაოს. მუშების უმრავლესობა ახლომახლო სოფლებიდან მოსული გლეხებია. მუშების საშუალო კვალიფიკაცია მე-5 კატეგორიის არ აღემატება ე. ი. უბრალო მიწის მთხრელი და მტვირთავნი არიან.

ხელფასი.

კოლექტიური ხელშეკრულებით დაწესებულია შეფარდება 1:8, პირველი კატეგორიისათვის 13 მან. 50 კ. მინიმუმით. 1924 სამეურნეო წელს მუშათა ხელფასზე დახარჯული იყო სულ 46,450 მან. 31 კაპ. მუშების სამუშაოზე მოცდენა 12 პროცენტიდან შემცირდა 2—3 პროცენტამდე.

ნედლი მასალა.

აგურის და კრამიტის დასამზადებელ ნედლ მასალას წარმოადგენს თიხა, რომელიც ქარხანაში იგზავნება მტკვრის გაღმა ნაპირიდან საჰაერო ხაზზე გაბმულ ვაგონეტკების საშუალებით. საშუალოდ ყოველთვიურად ქარხანას სჭირია 35 კუბ. საჟენი თიხა.

საბამბო კამპანიის შესახებ

სრულებით გასაგებია, რომ საბამბო კამპანია საერთო ინტერესს იწვევს როგორც პრესაში, ისე საზოგადოებაშიაც. ბამბის თესვის კამპანიის წარმატებით დასრულებისგან დამოკიდებულია ნაწილობრივად ჩვენი მომავალი ეკონომიკისა. აწმყოს გამოცდილებამ უნდა შეგვაძლებინოს, მომავალში მაინც, საბამბო საქმე მთელს კავშირში უფრო რაციონალურად დავაყენოთ.

და აი კიდეც ა | კ. საბამბო კომიტეტმა დაისახა მიზნად ჯერ პრესის საშუალებით და ალბათ მალე საქმითაც „ამა წლის გამოცდილებით გამოასწოროს საქმე მომავლისათვის მაინც". „Заря Востока"-ს ფურცლებზე არა ერთხელ იყო დაწუნებული ახ. საბამბო კომიტეტი.

ჯერი მიდგა საქართველოს კოოპერაციაზედაც.

„Заря Востока"-ს ფურცლებზე (№ 770 4 | 1) ამ სათაურით: „საბამბო კამპანიის კითხვები" ა | კ საბამბო კომიტეტის გამგეობის ყველა წევრი შეეცადა თითო წერილი დაეწერა.

საერთოდ, როგორც სჩანს ამხ. კლიმოვის წერილიდან, ა.-კ. საბამბო კომიტეტის საბამბო კამპანია წარმატებით ჩატარებულა. ამ საქმის პროგრამის 100 პროც. შესრულებულია. მასთან ბამბის მოკრეფა გრძელდება და მიაღწევს დასახულ რაოდენობის მთელ 100 პროც. (კლიმოვი). გამგეობის წევრთა ყველა წერილი ისეთ შთაბეჭდილებას იძლევა, თითქოს აზ. საბამბო კომიტეტი ცუდათ მუშაობდა და ქართული კოოპერაციაც „დამარცხდა". მაშ რანაირად მოხდა, რომ ა | კ. საბ. კომიტეტმა შეკრიფა მთელი 100 პროც., თუ დასახელებული ორგანოები ცუდად მუშაობდენ — ეს გაუგებარია.

თუ მომავალ წლისათვის ა | კ. საბ. კომიტეტს სურს შესცვალოს ბამბის წარმოების მეთოდი ამიერ-კავკასიაში — ეს შეიძლება სხვა გზით და არა ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობის [illegible] და არა საფუძვლიანი შეფასებით.

ავიღოთ ქართული კოოპერაცია ავიღოთ ქართული კოოპერაცია. განა მართალია, რომ მებამბეობა მისი საქმე არ იყო და მან ვერ შეასრულა ბამბის თესვის და მოკრეფის ამოცანები?

1924 წ. თებერვალში ბაქოს თათბირზე პრინციპიალურად გადაწყდა საბამბო კამპანია საქართველოში ჩატარებულ ყოფილიყო კოოპერაციის მეშვეობით. ეს დადგენილება დაამტკიცა ა.-კ. უმაღ. ეკონ. საბჭომ 7 მარტის სხდომაზე. სათეს ნორმათ საქართველოსათვის მიიღეს 4.000 დესეტინა. ცეკავშირმა 9 მარტის ხელშეკრულებით აიღო სათესად 1000 დეს. და 6 მაისის დამატებითი შეთანხმებით — 500 დეს., სულ 1500 დეს. და არა 1715 დეს., როგორც ეს ნახსენებია წერილში „ჯამი ერთი ცდისა" („Заря Вост." № 770). დაითესა მთელი რაოდენობა (1492 დ.). წარმოკავშირმა დათესა, ცნობების მიხედვით, 2443 დ. ეს ის ნათესებია, რომელთაც პირველად მთავარ საბამბო კომიტეტმა მისცა ავანსი, ხოლო შემდეგში ა.-კ. საბ. კომიტეტმა. აღნიშნულ სივრცის გარდა, საქართველოს კოოპერაციამ დათესა ბამბა დასავლეთ საქართველოში 2000 დესეტინამდე, რომლის შესახებ ა | კ. საბ. კომიტეტის მწერლები სდუმან. ან შეიძლება ის ბამბა, რომელიც კოოპერაციამ დათესა ა | კ. საბამბო კომიტეტის ყოველგვარი დახმარების გარეშე, საანგარიშო არ არის! რომელ წყაროდან ღებულობენ ა | კ. საბ. კომიტეტის აგენტები ბამბა ნედლეულს ცეკავშირისა და წარმოკავშირისგან სამტრედიასა და ქუთაისში?

მთლად საქართველოს კოოპერაციამ დათესა აღმოს. საქართველოში 3735 დეს. (ცეკავშირმა — 1492 დ. და წარმოკავშირმა 2.243 დ.) და დას. საქართველოში 2000 დ., სულ 5.735 დ., სათესის ნორმა-კი იყო 4000 დ., ე—ი საქართველოს კოოპერაციამ განახორციელა ამოცანა 143 პროცენტით. საქართველოს კოოპერაციამ, თანახმად კოოპერატიულ ცენტრებიან სპეციალური ხელშეკრულებისა, ა | კ. საბამბო კომიტეტისგან მიიღო ავანსი 3735 დეს. ნათესისათვის. კოოპერაციამ ამ რაოდენობის გარეშე დათესა საკუთარი საშუალებით 2000 დესეტინამდე ხელშეკრულების ძალით ა | კ. საბ. კომიტეტმა გასცა სათესი ავანსი არა უმეტეს 70 მანეთისა დესეტინაზე; კოოპერაციამ კი მისცა მთესველებს 90—110 მ. დესეტინაზე.

შემდეგ ვ—ვ სწერს: „მეტი წილი ნათესებისა აწარმოეს ძველმა კოოპერატივებმა კი არა, არამედ სპეციალურად ავანსის მისაღებად თესვის წინდღით შექმნილ სავლეხო ორგანიზაციებმა. ხოლო ცეკავშირიდან ქვემო ორგანიზაციებმა. გლეხობის ძალის გამოუანგარიშებლად აიღეს და ვერ შესძლეს განაწილებით დაახლოვებით 10 პროც. მიღებულ ვალდებულებათა". ასე გამოდის, თითქო კოოპერაციამ გამოაცხო ახალი ორგანიზაციები იმ მიზნით, რომ მიეღო ფული ა.-კ. საბამბო კომიტეტისგან. ჩვენ ვმუშაობთ ძველ კოოპერატიულ ორგანიზაციების მეშვეობით, ხოლო სადაც იგი არ იყო, სპეციალურ საგლეხო კავშირების საშუალებით. კოოპერაციის გამოჩენამდი (მარტი) ავანსი ეძლეოდა უშუალოდ გლეხებს თვით მთავარ საბამბო კომიტეტის განყოფილების მიერ მათი კომისრების მეშვეობით. ყველა ეს მოსავალი გადმოვიდა ჩვენს ხელში შემდეგ. დამახასიათებელია, რომ ყარაიას რაიონში ა.-კ. საბამბო კომიტეტის მიერ ავანსქმნილ 352 დესეტინიდან დაითესა მხოლოდ 172 დეს., 180 დეს. კი დარჩა დაუთესავი. და აი მართლა თუ არის 10 პროც. გლეხთა მიერ თავზე მიღებულ გაუმართლებელ ვალდებულებათა, ეს სწორეთ შედეგია თვით ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის წინამძღოლის მუშაობისა კამპანიის დასაწყისში.

ერთ-ერთ მიზეზად საქართველოში საბამბო საქმის თითქოს უხეირობისა წერილის ავტორი ხედავს კონკურენციას ცეკავშირსა და წარმოკავშირს შორის, და მხოლოდ ა | კ. საბ. კომიტეტის ჩარევამ აიძულა ისინი ტერიტორიალურად განსაზღვრულიყვნენ. მაგრამ აი იგერ თითქმის ერთი თვე გააჭიანურა მოქ. აგზნოემ (ყოფილი გამგე მთავარ საბ. კომიტეტის თბილისის განყოფილებისა) უკვე განაწილებულ ადგილების ცეკავშირზე გადაცემა; სულ ელოდებოდა, ვინ იცის [illegible] ნება დაერთოთ სოფელში უშუალოდ ემუშავნათ. ყოველ შემთხვევაში ა | კ. საბამბო კომიტეტის საქმე არ არის დავის გარჩევა კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის.

„ყველა რაიონის გლეხობა ჩივის უყურადღებობას ცენტრების მხრით, მიღების უვარგის ტექნიკას, რაც აგვიანებს ჩაბარებას, პროდუქტით და ფულით დაკმაყოფილების შეჩერებას. ამ საჩივრებმა იპოვეს გამოძახილი „Заря Востока"-ს გვერდებზე (№ 758)". ამხ. ვ—ვ. ვიცით ვინ სწერს ამ „საჩივრებს"! ამაზე საკმაოდ იყო ნათქვამი საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის თათბირზე (23 დეკ.), რომლის მასალებში თქვენ ნახავთ ცეკავშირის მოხსენებას ამ საკითხზე.

წარმოკავშირის მიერ ნედლეულის მოკრეფის შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული, ვინაიდან მიღება დაავიანდა ა | კ. საბამ. კომიტეტის მიზეზით (არ ისცეს ქარხანა), რაც შეეხება ცეკავშირს — შედეგი სრულებით გამორკვეულია:

1) ა | კ. საბამ. კომიტეტის „სპეციების" მოხსენებით ცეკავშირს ყარაიას რაიონში უნდა შეეკრიფა მხოლოდ 25—30.000 ფ. ნედლეული, ხოლო აკრეფილია უკვე 38.000 ფ.

2) ჩავაბარეთ ა | კ. საბამბ. კომიტეტს 15 გ. დაწმენდილი ბამბა.

3) სათესად მიღებულ 118,000 მ ავანსიდან ცეკავშირის მიერ გამართლებულია 78.600 მ. დარჩა 39.400 მ., რომელიც შეიძლება დაიფაროს დაწმენდილ ბამბის პირველ ჩაბარებისთანავე.

4) ა. | კ. საბ. კომიტეტის დაუხმარებლად ცეკავშირი აკმაყოფილებს და რაიონს ხორბლეულით თავის მარაგიდან.

5) მთესველებზე დარჩენილია მხოლოდ 20.000 მანეთამდე, ე. ი. 15 პროც., რომელი ფულიც იფარება აწ დროებით თანდათანობით. დაკარგული ავანსი დარიგებულ 140.000 მანეთიდან ჯერ მარტო 216 მანეთია.

6) იმერეთის რაიონში ხელშეკრულების ძალით ცეკავშირს უნდა მიეცა ა | კ. საბ. კომიტეტისათვის 10.000 ფ. ნედლეული, — დამზადებულია და ვაბარებთ 20.000 ფუთამდე ე—ი 200 პროცენტით დავალებისა.

მაშ რაშია საქმე? რატომ არ მოსწონს ვ—ვ-ს და კომპანიას „ჯამი ერთის ცდისა"?!

ა | კ. საბამბო კომიტეტს სურს იმუშაოს ახალი მეთოდით (ეს მეთოდია მოიშოროს კოოპერაცია), მაგრამ ეს მას ნებას არ აძლევს გააშავოს კოოპერაციის მუშაობა და პრესაში გამოაქვეყნოს ყალბი ცნობები.

იწერება ყველაფერი ადგილებიდან და ცენტრშიაც და ყოველივე სიმართლეა იმის დასამტკიცებლად, თითქო საქართველოს კოოპერატიულ ცენტრებს არ შეუძლიათ საბამბო მუშაობა. სწორედ ასეთ კამპანიას აწარმოებდა, სხვათაშორის კოოპერაციის მიმართ ამხანაგობა, „მატყლი"-ს თბ. განყოფილება, რომლის შედეგი ყველას მოეხსენება.

რომ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს ამას, საჭიროა შევაწუხოთ მ. და გლ. ინსპექცია ან რომელიმე სპეციალური კომისია „ქართულ ბამბაზე" ჭეშმარიტების დასამყარებლათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „ჯამი ერთი ცდისა" ქართულ კოოპერაციისთვის ხელსაყრელი იქნება.

ცეკავშირის გამგეობა.

ისევ ქაღალდის ქარხნის შესახებ

(პრაქტიკული წინადადება)

ჩემ წერილიდან: „ქაღალდის ქარხანა საქართველოში" (იხ. „კომუნისტი" № 258) მკითხველი დაინახავდა — თუ რა ხელსაყრელი პირობებია ჩვენში ხსენებულ ქარხნისათვის. გვგონია რომ ნათლადაა დამტკიცებული, სხვას რომ თავი დავანებოთ, თუ რა მომგებიანი საქმეა ქაღალდის წარმოება და რომ ამ საქმეს ვერ შეედრება ვერც ერთი საქმე, რაც არ უნდა იყოს იგი.

მაგალითისათვის გავიხსენოთ ჭიათურის შავი ქვა — ეს ყველაზედ ძლიერი წარმოება ჩვენში.

ამ საქმეს თავის განვითარების უმაღლეს წერტილამდე მიღწევისას მოუცია მხოლოდ ექვსი მილიონი მანეთი.

ერთი ქაღალდის ქარხანა იმ ზომისა, რომელსაც მე ვიხსენიებ ჩემს წერილში, მოგვცემს ხუთმეტ მილიონ მანეთს.

რა აძნელებს ქაღალდის ქარხნის დაარსების საქმეს?

უფულობა უთუოდ.

მაგრამ წლიურად ჩვენ ვხარჯავთ ქაღალდზედ (და მაინც სიმშილს განვიცდით) 3.000.000 მანეთს.

იმნაირი ქარხანა კი, რომელიც მოგვცემს 15.000.000 მანეთის ქაღალდს, როგორც გვქონდა გარკვეული, დაჯდება მხოლოდ 5.000.000 მანეთი.

15.000.000 მანეთის ქაღალდს დასჭირდება მხოლოდ 50.000 კუბიკური საჟენი შეშა.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ჩვენს ტყეში გაცილებით მეტი რაოდენობის ხე ლპება და უფრო მეტ რაოდენობისას კიდევ ვაჩანაგებთ, მივმართე იმნაირ ავტორიტეტს, როგორიცაა პროფესორი ქურდიანი.

მაგრამ ეხლა მოუსმინოთ მიწატყის მუშაკთა ყრილობაზედ მოქ. უბირის მოხსენებას:

საქართველოს ტყეებმა 1924 წელს მოგვცა 102.000 მანეთი წმინდა მოგება. საშუალო შემოსავალი დესიატინაზედ უდრიდა 30 კაპ., გასავალი 25 კაპ. (იხ. „კომუნისტი" № 290).

მაშასადამე, ყოველ დესიატინას მოუცია წმინდა მოგება ხუთი კაპ.

მაშინ, როდესაც ქაღალდის წარმოებისას ყოველი დესიატინა მოგვცემდა ათი-ათასობით მანეთს.

საშურად უნდა შევუდგეთ ქაღალდის წარმოებას ხისაგან.

და უთუოდ ხისაგან, რადგან ჩვრები ჩვენ არ მოგვეპოვება და, თუ მოგვეპოვება, ისეთი ცოტა რაოდენობის, რომ ქარხნის დაპურებას ვერ შევსძლებთ.

ამ მიზნის მიღწევა შეიძლება სხვა და სხვა გზით.

ერთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ საქმის კონცესიით გაცემა.

ევროპაში ამის მსურველნი მრავლად აღმოჩნდებიან.

მეორე გზად, რომელსაც შეუძლია გაგვიადვილოს ქარხნის დაარსება, გამოდგება ევროპის ბანკები, რომელთაც სესხის საგარანტიოდ შეიძლება განსაზღვრულ დროით გადაეცეს საექსპლოატაციოთ ჩვენი ტყის მცირე ნაწილი.

მაშინ წმინდა მოგებაც იმატებს და ტყეც მოიგებს, ვინაიდან დაიწყება მისი რაციონალური ექსპლოატაცია.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ევროპაში ამ ნაბიჯების გადამდგმელთ ვერ ვიშოვნით!

შემცდარი აზრი იქნება, ვინაიდგან ერთხელ და სამუდამოთ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ქაღალდის კრიზისს მსოფლიო მასშტაბით აქვს ადგილი.

და იქვე არ არის, რომ თუ კი ჩვენ მოვისურვებთ, ევროპაში ვიშოვნით მსურველთ ჩვენში ქაღალდის ქარხნის დაარსებისათვის?

უთუოდ შეიძლება მოიძებნოს სხვა გზებიც მაგრამ არ შეიძლია არ მივუთითოთ ერთ გამოსავალზე, რომელიც ყველაზედ უფრო მისაღები უნდა იყოს ჩვენთვის.

ეს არის შინაური მომგებიანი სესხი.

უნდა გამოიცეს 6.000.000 მანეთის ბილეთები-აქციები. ბილეთი-აქცია უნდა ღირდეს ათი მანეთი, მუშა-მოხელეთ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ბილეთის უმტკივნეულოდ შეძენისა; მათ უნდა ნება დაერთოთ თვიურად ორ-ორი მანეთის გადახდისა.

აქციის პატრონი, რასაკვირველია, დივიდენდშიაც იმდენად მიიღებს მონაწილეობას, რამდენი აქციაც ხელთ ექნება.

მომგებიან სესხში მეტის ხალისით მიიღებენ მონაწილეობას ყველანი, რადგან პირველი მოგება იქნება ასი ათასი მანეთი მაინც და ყველა მოგებათა დასაფარავად გადადებული იქნება ნახევარი მილიონი მანეთი (სულ უკანასკნელი).

მოგებულმა ბილეთმა არ უნდა დაჰკარგოს აქციის ძალა-უფლება.

ქარხნის ამუშავების ექვსი თვის შემდეგ აქციის პატრონს უფლება უნდა ჰქონდეს, თუ კი მოისურვებს უკან დაუბრუნოს მთავრობას აქცია-ბილეთი და მიიღოს მისი ღირებულება 10 პროცენტის (ან მეტის) მიმატებით.

ხოლო თუ ამას არ მოინდომებს, ყოველ ექვს თვეში უნდა მიიღოს დივიდენდი (რომელიც პირველ ექვს თვეშივე გაორდება) და ყველანი მალე დარწმუნდებიან — თუ რა მოსაგებ საქმეში მოთავსებულია მათი შრომის ფული და როგორ აიწევს აქციათა ფასი.

და, გვგონია, ეს საქმე სულ მალე ხორცს შეისხამს, თუ კი მის მნიშვნელობას სათანადო ორგანოები მიაქცევენ საჭირო ყურადღებას და დახარჯავენ საჭირო ენერგიას.

ფართე პროპაგანდის მეოხებით ყველა გაიგებს, თუ რა დადებითი შედეგები მოჰყვება ამ საქმეს და ეჭვს გარეშეა, ხალხი სიამოვნებით გაიღებს საჭირო თანხას.

ნოლ. ახვლედიანი.

გაერთიანებულ დემოკრატ. პარტიის ახალგაზრდობის დეკლარაცია

„რეალური პოლიტიკა მოითხოვს [illegible] დროზე გაგებას, დროზე თქმას და დროზე გაკეთებას."

„ახალი საქართველო" №1.

გატარებულა. მიუხედავად კონფერენციის მიერ დადგენილ პარტიის ლიკვიდაციისა, არალეგალურ ცეკას წევრების ნაწილი განაგრძობდა მუშაობას ძველი გზით, რაც მიზნად ისახავდა ეროვნულ და პარტიულ ძალების დარაზმვას საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის ახალგაზრდობა არ გაჰყვა ლიკვიდატორებს, ის მთლიანად იზიარებდა დარჩენილ ჯგუფის არალეგალურ პოზიციას და მთელი თავის ძალღონით მუშაობდა დასახულ მიზნით: — „საქართველოს განთავისუფლების მისაღწევად".

საქართველოს გასაბჭოება, ჩვენი პარტიის ახალგაზრდობამაც მიიღო, როგორც საქართველოს ოკუპაცია რუსის ჯარის მიერ და ის მტრულად შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენი პარტიის ახალგაზრდობაც იზიარებდა იმედებს ევროპის ჩარევისას საქართველოს საქმეებში, ემყარებოდა რა იმ ცნობებს, რომელსაც გვაწვდიდა საზღვარგარეთის ბიურო და რომელნიც თითქო შესაძლებლად ხდიდნენ ამას.

აგვისტოში მომხდარი აჯანყების შემდეგ ნათელი გახდა ყველასათვის, რომ ეს იმედები ყოველგვარ რეალურ საფუძველს იყო მოკლებული და რომ ძველი გზა ქართველ ერის ფიზიკურ განადგურების მეტს არას უქადდა. ამგვარად ცხადი გახდა, რომ ჩვენი პარტიის ახალგაზრდობა შეიქნა „პარიტეტულ კომიტეტის" ყალბი ინფორმაციისა და უნიადაგო ილუზიების მსხვერპლი. სწორედ ამ ქართველი ერის ინტერესების ცუდათ გაგებამ და საერთაშორისო ძალთა განწყობილების ყალბმა შეფასებამ ჩვენი პარტია მიიყვანა აჯანყებამდე, რამაც დიდი უბედურება დაატეხა ქართველ ერს და შეიწირა მთელი წყება ჩვენი საუკეთესო ამხანაგებისა.

1923 წელს ოქტომბერში გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის (ეროვ. დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ დემოკრატ. და უპარტიოთა კავშირი) კონფერენციამ დაადგინა პარტიის ლიკვიდაცია, მაგრამ აღნიშნული კონფერენციის დადგენილებები ცხოვრებაში სავსებით არ

აგვისტოს აჯანყება წარმოადგენს იმ მიჯნას, რომელიც ჩვენ სამუდამოდ გვაშორებს ძველ გზას და პოლიტიკას. მომავლისათვის ჩვენ აღარავის მივცემთ ნებას ქართველ ერზე ექსპერიმენტების მოხდენისას.

ჩვენთვის უკვე გამოაშკარავდა საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა. ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავათ დიდი გაჭირვებისა და შინაურ და საგარეო ხელის შემშლელ პირობებისა, საქართველო მიდის ეროვნულ აღორძინებისაკენ და ყოველი გასული წელიწადი მაჩვენებელია საქართველოს, როგორც კულტურულ ისე ეკონომიურ ფრონტზე, ახალი პოზიციების დაპყრობისა, რაც ბოლოს და ბოლოს ყველაზე უფრო კარგ პირობებს ქმნის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა საქართველოს სინამდვილე უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება სცდილობს საქართველოს ნამდვილ კულტურულ-ეკონომიურ აყვავებას.

დღეს ჩვენ საყოველთაოდ ვაღიარებთ, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობა არის ერთად ერთი კანონიერი მთავრობა და არა მარტო ვსცნობთ მას, არამედ მთელი ჩვენი ახალგაზრდული ენერგიით დავდგებით ამ რეალ საქართველოს, საბჭოთა საქართველოს სადარაჯოზე, და მომავალში არ მივცემთ ნებას არავითარ „პარიტეტულ კომიტეტებს" იმოქმედონ ქართველ ერის სახელით.

ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ თანამშრომლობით საბჭოთა ხელისუფლებასთან მივაღწევთ სასურველ პირობებს საქართველოს აღორძინებისა და განმტკიცებისათვის; ხაზს ვუსვამთ იმასაც, რომ ყოველი ქართველის ძალა ძვირფასია ამ ეროვნულ შემოქმედების სფეროში. ამიტომ მოუწოდებთ ჩვენ პარტიის ახალგაზრდობას დასდგეს საბჭოთა პლატფორმაზე და საქართველოს აღორძინებისათვის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას მოანდომოს მთელი თავისი ენერგია.

ამასთან გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის (ეროვნულ დემოკრატიული, ეროვნული რადიკალ-დემოკრატიული და უპარტიოთა კავშირი) ახალგაზრდობის ცეკა, თავისუფლებაში დარჩენილ წევრთა სახით, ახალგაზრდათა პარტიის აქტიური ძალებთან და მაზრების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისა და მათთან შეთანხმების შემდეგ **საბოლოოდ დაშლილად აცხადებს ჩვენი პარტიის ახალგაზრდობის ყოველგვარ არალეგალურ ორგანიზაციებს და მოითხოვს მათ ლიკვიდაციას.**

საინიციატივო ჯგუფი

ირაკლი რცხილაძე, გიორგი ტარასაშვილი, დათიკო ნადაშვილი, ირაკლი კიკნაძე, ლეო ახალშენაშვილი, მიხეილ კასრაძე, ალიპი მესხი.

ახალგაზრდათა ცენტრალურ კომიტეტის წევრნი:

სერაფიონ შარაბიძე, ილია ბოჭორიშვილი, ელიზბარ ჩხიკვაძე, გიორგი კახაბერი, ჯაფარიძე ნიკოლოზ, ალ. გაბესკირია.

მოწაფეთა კომიტეტის წევრნი:

ირაკლი მჭედლიშვილი, მიტო სინჯიკაშვილი, ალ. ფაშალიშვილი.

ორგანიზაციის წევრნი:

ალ. დალაქიშვილი, ალ. ბაკურაძე, მიხეილ წერეთელი, რევაზ მიქელაძე, ვლადიმერ გოგეზაშვილი, ალექსი ფულარია, ალექსანდრე კალანდარიშვილი, ალექ. კახაბერი, გ. ბოჭორიშვილი, ა. გარსიაშვილი,

⁂

ვიზიარებ და სავსებით მხარს უჭერ დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის დეკლარაციას.

გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის ყოფ. ლეგალურ ცეკას წევრი **ნ. დგებუაძე.**

უერთდები როგორც ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე და პარტიის არალეგალური მთავარი კომიტეტის წევრი **სიმონ ხოფერია.**

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

მისაბაძი მაგალითი

(შემოწირულებანი გლეხის ცენტრალურ სახლისათვის)

მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურნენ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი დაწესებულებანი და ორგანიზაციები და მუშა-მოსამსახურენი გლეხის ცენტრალური სახლის გახსნის დაჩქარების საქმეს.

გლეხის ცენტრალური სახლის მოწყობის წინადადება მოგვეცა ისეთ დროს, როდესაც სახელმწიფოს ყველა ხარჯთ-აღრიცხვები უკვე განხილული და დამტკიცებული იყო. ამასთან მთლიანათ ხაზინა ველარ იკისრებდა ამ დიდი საქმისათვის ყველა ხარჯების გაღებას,—ამის გამო ჩვენ იძულებული გავხდით მივმართა მოწოდებით დახმარებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის.

სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის მოსამსახურეთა ადგილკომმა ამ ერთი თვის წინეთ მიმართეს მოწოდებით სხვადასხვა ადგილკომებს გლეხის სასახლისათვის დახმარების აღმოსაჩენად, რამაც ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ამაზე ქვემოდ.

ეხლა კი შევჩერდებით იმის აღნუსხვაზე, თუ რომელმა კომისარიატმა ან დაწესებულებამ რითი გაგვიწია მატერიალური ან სხვა სახით დახმარება: 1) ქალაქის აღმასკომმა გადმოგვეცა გლეხის ცენტრალური სახლისათვის შესაფერი შენობა, ორსართულიანი, ვოლოდარის ქუჩაზე, სახლი № 11, ყოფილი სასტუმრო „ლონდონი“, 50 ოთახით ორივე სართულში; ამასთან აღმოგვიჩინა ფულით ერთდროული დახმარება—10.000 მანეთით 2) ჯანმრთელობის კომისარიატმა აიღო თავის ხარჯზე აბანოს და სადეზინფექციო კამერის მოწყობა, დადგმა „გელიოსის სისტემის“ აპარატისა,—რაც დაახლოვებით უნდა დაჯდეს 7.000 მანეთამდე, 3) უმაღლეს სამეურნეო საბჭომ ფულით შემოგვწირა 5.000 მანეთი, რომლის ანგარიშში იკისრა გრეხილი ავეჯის ფაბრიკაში დაგვიმზადოს საჭირო ავეჯეულება, 4) იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შემოგვწირა ერთი პატარა „ფორდის მარკის“ ავტომობილი, 1 დიდი წიგნთსაცავი შკაფი, 1 დიდი მაგიდა სამკითხველოს, ან კლუბისათვის, 1 პატარა მაგიდა, 1 მაგიდა ლექტორისათვის, 3 სავარძელი და 9 სკამი, 5) სასოფლო-სამეურნეო ბანკმა 2 დიდი შკაფი, 1 დიდი საწერი მაგიდა. 1 შვიდ არშინიანი კარგი მაგიდა სამკითხველოსათვის, 1 ხალიჩა, 6 სკამი, 1 კედლის საათი, 1 ბარომეტრი და ორი საანგარიშო „ჩოთქი“, 6) ფინსახკომის რწმუნებულმა ამხ. ღლონტმა 1 მაგიდა კანცელარიის და 2 სკამი, 7) ამხ. ათარბეგომა უსასყიდლოდ დაგვიდგა საში ტელეფონის აპარატი, ორი შეგვპირდა შემდეგისათვის, 8) საქართველოს საჰაერო-სამმართველომ ფულით 200 მანეთი, 9) მიწათ-მოქმედების კომისარიატის მოსამსახურეთა ადგილკომმა შეაგროვა და უკვე გადმოსცა გლეხის ცენტრალურ სახლს 60 მან. 30 კაპ. 10) ინვალიდების მესამე სახლმა თვისი დღიური ულუფის მესამედი, რომლის ღირებულება მანეთებში ჯერ არა გვაქვს გამორკვეული. აგრეთვე აწარმოებს ფულის შეგროვებას სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი.

ზემოდაღნიშნული შემოწირულებები ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად არის მომწიფებული გლეხის ცენტრალური სახლის საჭიროება. ეს გვაძლევს ჩვენ იმედს ვიყოთ სრულიად დარწმუნებული, რომ არ დარჩება არც ერთი ორგანიზაცია, რომელიც არ დაეხმარება გლეხის ცენტრალურ სახლის გახსნისათვის წარმოებულ საორგანიზაციო მუშაობას.

გლეხის სახლის გახსნის დროც მოახლოვდა. ჩვენი პარტიის ცეკას და ცაკის დადგენილების თანახმად, სახლი უნდა გაიხსნას საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავზე—25 თებერვალს, როდესაც არის მოწვეული საბჭოების მე-3-მე ყრილობა.

რასაკვირველია, ყველა ზემოდ აღნიშნული მატერიალური დახმარებანი ძლიერ მცირეა ამ დადგენილების სისრულეში მოყვანისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ცეკას დადგენილება სისრულეში იქნება მოყვანილი და ის თანხა—ორმოცი ათასი მანეთი, რომელიც საჭიროა სახლის მოწყობა-შენახვისათვის ერთი წლის განმავლობაში,—სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით განაწილებული იქნება სათანადო ორგანოებს შორის იმ ანგარიშით, რომ ისინი ამ ახლო ხანში გადაიხდიან მათზე გაწერილ თანხას ეს კი მოგვცემს ჩვენ სრულ საშუალებას ღირსეულად შევასრულოთ დაკისრებული მოვალეობა.

მოუწოდებთ ყველა ორგანიზაციებს და მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომებს მიბაძონ ზემოდაღნიშნულ ორგანოების მაგალითს. საორგანიზაციო მუშაობა დღეს სწარმოებს დაჩქარებული ტემპით და მისი შეფერხება ჩაითვლება დანაშაულად. მთელი შემოწირულება-დახმარება უშუალოდ უნდა გადაეცეს სახლის გამგეს შემდეგი მისამართით: ვოლოდარის ქუჩა № 11.

მიგვაჩნია საჭიროდ აქვე აღვნიშნოთ ერთი გარემოება: გლეხის ცენტრალურ სახლთან არსებობს, ცაკის დადგენილების თანახმად, სხვა და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარი ე. წ. „სახლის საბჭო“ რომლის პირველი სხდომა მოხდა შაბათს, 10 იანვარს. საბჭომ მოისმინა სახლის გამგის მოხსენება საორგანიზაციო მუშაობის შესახებ, მთლიანად მოიწონა ის და მრავალ სხვა დადგენილებათა შორის გამოიტანა ერთი დადგენილება, რომლის ძალით საბჭომ პროფესიონალურ კავშირების საბჭოს საშუალებით უნდა მიმართოს ყველა ადგილკომებს თხოვნით მუშა-მოსამსახურეთა შორის შემოწირულების შეკრების შესახებ. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ამხ. ყურულაშვილი, როგორც საორგანიზაციო მუშაობის ერთ-ერთი მონაწილე, ხელს შეუწყობს საბჭოს დადგენილების სისწრაფით განხორციელებას.

დ. ნახარიძე.

პროფკავშირებში

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში

სტამბის დაბრუნება.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების წინაშე, რათა პროფკავშირთა საბჭოს დაუბრუნდეს მისი ყოფილი სტამბა.

ეკონომიური მუშაობა.

პრეზიდიუმმა დაადგინა საქართველოს პროფკავშირთა ფრაქციის გაფართოვებულ სხდომაზე მოსმენილი იქნეს „ჩემოს“—ჭიათურის შავი ქვის სამმართველოს და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ.

საწარმოო კონფერენციები.

პრეზიდიუმის დადგენილებით, სხვადასხვა კავშირებში ჩატარებული უნდა იქნეს ჯგუფური საწარმოო კონფერენციები, რომლებზედაც კავშირების ცენტრალურმა გამგეობებმა უნდა მოისმინონ იმ წარმოებების მოხსენებები, რომლებსაც ისინი აერთიანებენ.

სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას წინადადება მიეცა კავშირებთან ერთად გამოიმუშაოს გეგმა იმის შესახებ, თუ რა წესით, ან როდის უნდა იქნეს ჩატარებული საწარმოო კონფერენციები.

კონფერენციებზე ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის წევრის დასწრება აუცილებლად არის ცნობილი.

კავშირების ფინანსიური მდგომარეობა.

კავშირების ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პროფსაბჭოს ბიუჯეტის გამომუშავება, გადაათვალიეროს პროფბიუროების, პროფსაბჭოების და კავშირების ცენტრალური გამგეობების ბიუჯეტები.

საბჭოთა სასამართლო

„კოოპერატორი“ ფლიტი

10 და 11 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ჩანგიშვილის თავმჯდომარეობით სახალხო მსაჯულების: ნუცუბიძის, ბახტაძის, წლიენის პაპაიანის მონაწილეობით გაარჩია მუშკოპის ცენტრალურ მაღაზიის ყოფილი გამგის ბორის ფლიტის საქმე.

საქმის შინაარსი ასეთია: ფლიტს მაღაზიის გამგეთ ყოფნის დროს, მისი ნოქრები ამჩნევდენ ხშირად, რომ მას მიჰქონდა მაღაზიიდან სხვადასხვა საქონელი თავის პირად საჭიროებისათვის ანგარიშში გაუტარებლად. როცა ამას სისტემატიური ხასიათი მიეცა, მაღაზიის ნოქრებმა: 1) რობაქიძემ, 2) აფამიანცმა, 3) ფოფხაძემ და 4) კორძახიამ წარუგინეს სარევიზიო კომისიას განცხადება, რომლშიაც მოითხოვდენ ყურადღების მიქცევას ამ ბოროტმოქმედებისათვის. რევიზიით გამოირკვა, რომ გაფლანგულია 2.361 მანეთი. შემდეგ დაინიშნა ახალი გამგე, რომელსაც უნდა ჩაებარებია მაღაზია აღწერით, აღწერის დროს გამოირკვა, რომ დაკლებული თანხა უდრის არა 2.361 მანეთს, არამედ 2,616 მანეთს და 66 კაპეიკს. მთელი ეს თანხა გაუფლანგავს მაღაზიის გამგეს ფლიტს. ამას გარდა ბორის ფლიტი არ ასრულებდა სამსახურის დროს საერთო სავალდებულო განკარგულებებს.

განაჩენი

სასამართლომ მოწმეების დაკითხვის, ექსპერტების და მხარეების კამათის შემდეგ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და დაადგინა: 108 და 109 მუხლების თანახმად ბორის ფლიტს მიესაჯოს ორი წლით დაპატიმრება გამასწორებელ სახლში, ხოლო უკანასკნელი ამნისტიის ძალით სასჯელის მოხდის ვადა შეუმცირდეს ერთი წლით, აგრეთვე დაკმაყოფილებული იქნეს სამოქალაქო ძიება და ფლიტს გადახდეს კოოპერატივის სასარგებლოდ 2. 616 მან. 66 კაპეიკი

ა.-კ. სტატისტიკოსთა თათბირი

13 იანვრის სხდომა

ა.-კ. სახელმწიფო სტატისტიკის საერთო საორგანიზაციო ამოცანები

(მომხსენებელი ამხ. გრიგორიანი)

მომხსენებელი ახასიათებს განვლილ სტატისტიკურ მუშაობას ცალკე რესპუბლიკებში. იგი ამ მუშაობას ყოფს ორ პერიოდათ, რომელთაგან პირველს უწოდებს შეკრებით სეპერატიულ პერიოდს, ხოლო მეორე ანალიტიურს. პირველ პერიოდში ცალკე რესპუბლიკების სამმართველოებს უხდებოდით ერთი მეორესგან დამოუკიდებლად და საერთო პროგრამის და გეგმის გარეშე მოქმედება. ამ პერიოდში განსაკუთრებით ვითარდება საუწყებო სტატისტიკა, გროვდება სტატისტიკური ფონდი. ამ პერიოდის შემდეგ იწყება პერიოდი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ანალიტური პერიოდი და რომელიც მოითხოვს რესპუბლიკების სტატისტიკურ მოქმედებათა გაერთიანებას და საერთო პროგრამას.

შემდეგ მომხსენებელი ემყარება რა სამი წლის გამოცდილებას, აყენებს დებულებებს ა.-კ სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების სტრუქტურის შესახებ. მომხსენებლის მიერ წამოყენებული დებულებით სახელმწიფო სტატისტიკის აპარატი უნდა აიგოს კონცენტრაციული გაფართოების პრინციპზე ცენტრიდან პერიფერიებისაკენ. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს სამაზრო სტატისტიკურ ბიუროების გამაგრებას და განმტკიცებას.

სახელმწიფო სტატისტიკის პროგრამა ერთიანია მთელ საბჭოთა კავშირში, ამიტომ ყველა საპროგრამო-საორგანიზაციო და აგრეთვე ოპერატიული ხასიათის საკითხების შესახებ, საბჭოთა კავშირის ცენტ. სტატისტიკურ სამმართველოს უშუალო დამოკიდებულება უნდა ექნეს ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტ. სამმართველოსთან—იმ შემთხვევათა გამოკლებით, რომელნიც სასწრაფო ხასიათის არიან. რესპუბლიკის სამმართველოები თავის მუშაობას აწარმოებენ საერთო პროგრამისა და გეგმის თანახმად, მაგრამ, მათ უფლება აქვთ აწარმოონ ადგილობრივი გამოკვლევებიც. სამაზრო მასშტაბით მუშაობის დაწყებამდე ცენტ. სამმართველოებმა გეგმა დასადასტურებლად უნდა წარუდგინონ ა | კ. ცენტ. სტ. სამმართველოს.

მიმდინარე სტატისტიკურ სამუშაოებს უნდა აწარმოებდეს როგორც აღწერის, ისე დამუშავების სტადიაში, რესპუბლიკის სამმართველოს ორგანოები.

საუწყებო სტატისტიკის სახელმწიფო სტატისტიკასთან შეთანხმების მიზნით, საუწყებო სტატისტიკის ხელმძღვანელნი უნდა მონაწილეობდენ ცენტ. სამმართველოს კოლეგიაში.

საბჭოთა მშენებლობის გეგმიანი ხასიათი ავალებს სახელმწიფო სტატისტიკას კონტაქტი და მჭიდრო ურთიერთობა იქონიოს საგეგმო ორგანოებთან. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე რესპუბლიკების სტატისტიკის გაეროვნებას, რისთვისაც უნდა შემუშავდეს ეროვნული ტერმინოლოგია და კურსების საშუალებით მომზადდეს სტატისტიკოსთა სათანადო კადრი. სტატისტიკურ ორგანოებში ჩაბმულ უნდა იქნენ აგრეთვე პარტიული ამხანაგები, რომელთა მეცნიერულად მომზადებისათვის უნდა მოეწყოს კურსები.

დასასრულ მომხსენებელს აძლევენ შეკითხვებს.

სათემო სტატისტიკა

(მომხსენებელი ამხ. ჩიგოგიძე)

სახელმწიფო სტატისტიკის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მოხალისე და დროებითი კორესპონდენტების ნაცვლად შეიქნეს მუდმივი ქვედა-აპარატი—სათემო სტატისტიკა.

თავის დებულებას მომხსენებელი შემდეგი მოსაზრებით ასაბუთებს. მოხალისე კორესპონდენტები ცენტრებს ვერ აწვდიან მასალებს სისტემატიურად და უმრავლეს შემთხვევაში მოწოდებას აქვს შემთხვევითი ხასიათი, რაც აბრკოლებს სტატისტიკურ მუშაობას. გარდა ამისა სხვადასხვა აღწერის დროს სოფლებში დაგზავნილ აღმწერლებს მოსახლეობა იმის შიშით, რომ ყოველ აღწერას მოჰყვება ახალი გადასახადები, მეტად უნდობლად ეპყრობა და უმრავლეს შემთხვევებში არ აძლევს ზედმიწევნით სწორ ცნობებს. მუდმივი სტატისტიკური აპარატის შექმნა კი მოსპობს ამ უნდობლობას გლეხთა შორის, უფრო დაიახლოვებს გლეხთა მასებს, უფრო ადვილად გაეცნობა და გაიგებს მათი სოფლის ცხოვრების ყოველგვარ მოვლენებს. შემდეგ მომხსენებელი ეხება სათემო სტატისტიკის პროგრამას, რომელშიაც უნდა შევიდეს: სასოფლო-მეურნეობათა აღწერა, ნათესების რეგისტრაცია, ნათესების მდგომარეობის აღწერა, მოსავლიანობის აღწერა, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა და სხვა.

ამავე სხდომაზე წაკითხული იქნა მოხსენება აჭარისტანის სტატისტიკურ სამმართველოს მუშაობის შესახებ.

სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს პლენუმი

პირველი სხდომა

12 იანვარს შესდგა სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს პლენუმის პირველი სხდომა ამხ. იაშვილის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში წამოყენებული იყო დამზღვევი საბჭოების გაცნობა, ბეჭვდითი გამომცემლობათაგან ასაკრეფი გადასახადის ტარიფი, პენსიების საკითხი და სხვა.

დამზღვევი საბჭოები.

დამზღვევი საბჭოების შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა თანახმათ, პლენუმი ადგენს მოწყობილ იქნეს ა | კ. სოციალურ მთავარ სამმართველოსთან დამზღვევი საბჭოები. რაც შეეხება რესპუბლიკანური საბჭოების მოწყობის საკითხს, იგი წინასწარ განხილულ უნდა იქნენ რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების და პროფსაბჭოების წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე.

ბეჭვდითი გამომცემლობიდან გადასახადების ტარიფის შესახებ.

პლენუმი ადგენს ბეჭვდითი გამომცემლობაზე და გადასახადის ტარიფად დაწესდეს 10 პროცენტი, ხოლო სტამბებიდან ასაკრები გადასახადის ტარიფი დარჩეს საერთო.

საერთო საკავშირო ფონდისათვის

საერთო საკავშირო ფონდისთვის გადადებული თანხიდან რესპუბლიკების სოციალური სამმართველოების ხელში რჩება 50 პროცენტი, რომელიც უნდა მოხმარდეს საკურორტო-სასანიტარო მშენებლობას.

პენსიონერების შესახებ

პენსიონერებისათვის დახმარების დარგში, პლენუმი ადგენს გაუქმებულ იქნეს რესპუბლიკის ზონებად დაყოფა და დახმარება პენსიონერებს მიეცეს უმაღლეს განაკვეთის თანახმად, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში.

მეორე სხდომა

რესპუბლიკის გარეთ მკურნალობის შესახებ

პლენუმის მეორე სხდომაზე გადაწყდა დაევალოს სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს გამოსცეს ცირკულიარი, რომლის მიხედვით არც ერთმა კასამ ნება არ უნდა დართოს დაზღვეულ ავადმყოფთ, რომ ისინი სამკურნალოდ გაეგზავრონ სხვა რესპუბლიკაში, თუ ამის შესახებ ნებართვა არ იქნება რესპუბლიკანურ სამმართველოსაგან.

საკონფლიქტო კომისია

იმ პირთა საჩივრების განსახილავათ, რომელნიც უკმაყოფილო არიან ა | კ. რკინის გზის დამზღვევ კასის დადგენილებებით (პენსიის დანიშვნის და დახმარების მიცემის შესახებ), პლენუმი ადგენს ა | კ. სოციალურ დამზღვევ მთავარ სამმართველოსთან დაარსდეს საკონფლიქტო კომისია, რომელშიდაც შევლენ სოციალურ დაზღვევის მთავარ სამმართველოს, ა | კ. პროფკავშირთა საბჭოს და რკინის გზის დამზღვევი კასის წარმომადგენელნი.

ერთეულ მშენებლებს დაზღვევა

პლენუმმა დაადგინა მშენებელ-ერთეულების დაზღვევა გატარდეს ტერიტორიალურ კასებში. დაზღვევის ტეხნიკა უნდა შემუშავებულ იქნეს რესპუბლიკანურ სამმართველოების და ა | კ. მთავარ სოციალურ სამმართველოს მიერ.

ანგარიშის წარმოების ახალი ფორმები.

პლენუმის დადგენილებით რესპუბლიკანურ სამმართველოებში შემოღებულ უნდა იქნეს ანგარიშის წარმოების ახალი ფორმები ბუღალტერიისა და სტატისტიკაში.

10 პროცენტიანი ტარიფი სასადილოებზე.

პლენუმმა გადასწყვიტა გაავრცელოს 10 პროცენტიანი ტარიფი კოოპერატიულ სასადილოებზე, რომლებიც იყოფება სახალხო კვების კავშირის ხელმძღვანელობის და კონტროლის ქვეშ.

რკინის გზაზე

ორთქლმავალის აცდენა.

12 იანვარს დილის 8 საათზე სად. ზესტაფონში ისრის არა სწორი დაყენების გამო დაკავებულ ლიანდაგზე მიღებულ იქნა ორთქმავალი № 125, რომელიც დაეჯახა დეპოდან გამოსულს ორთქმავალს № 5837. ორი წინა ვაგონი ასცდა ლიანდაგს. ორთქლმავალი მცირედ დაზიანდა. უმნიშვნელოდ არის გაფუჭებული აგრეთვე ლიანდაგი.

ცეცხლი რკ. გზის საყარაულოში.

11 იანვარს ღამის 11 საათზე სად. ჯულფას ახლო წყლის საქაჩავთან ფეჩის ძლიერი გახურების გამო საყარაულო შენობაში გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლის მქრობელი რაზმის და მუშა-მოსამსახურეების საერთო ძალით ცეცხლი მალე იქნა ჩაქრობილი. ზარალი უმნიშვნელოა. სამანქანო განყოფილება უვნებლად გადარჩა.

ორთქლმავალის გასკდომა.

ბათომიდან გამგზავრებული ორთქლმავალი № 91 სავსე ქვის საზიდ ვაგონებით ბათომ-ჩაქვას შუა გასკდა, რის გამოც უკანვე იქნა დაბრუნებული. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

მუშათა ცხოვრება

მოსპეთ ეს გარყვნილების ბუდე.

(ქ. აღმასკომის ადმინისტ. განყოფ. საყურადღებოდ).

ელისაბედის ქ. № 1 არსებობს სასტუმრო, რომლის დაბლა სართული უკავიათ მუშებს, ხოლო მაღლა ორი სართული იჯარით აქვს აღებული ვინმე აბაიშვილს. ამავე ქუჩაზე ხდება ვაჭრობა მეძავი ქალებით, რასაც თავის ჯიბის გასასქელებლად ხელს უწყობს ეს აბაიშვილი. რამდენჯერმე იყო შემთხვევა, რომ მუშებმა დაიჭირეს მოქეიფე მამაკაცები თავიანთ ქალებით. კომისარიატის მიერ ადგილზე შედგენილია რამდენიმეჯერ ამის შესახებ ოქმი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი აღმასკომის მიერ აქამდის უყურადღებოდ არის დარჩენილი. მუშები მოითხოვენ, რათა აბაიშვილი გამოძევებული იქნეს ამ შენობიდან და სახლი გადაეცეს საბინაო კოოპერატივს მუშების ჩასასახლებლად.

მუშკორი **მნახველი.**

გვიხსენით სიცივისაგან.

(სახკომფოსტელის საყურადღებოდ)

სად. სადახლოს ტელეგრაფის შენობის ერთი მხარე უბრალოდ არის ამოშენებული ფიცრით, საიდანაც სიცივე შემოდის. ძლიერ ყინვების გამო ტელეგრაფში მუშაობა შეუძლებელია. მეტადრე ღამით ყინვა 16 გრადუსზე ზევით ადის (ფეჩი არ არის დადგმული). პჩ | 7 დაგვპირდა ამ კუთხის ამოშენებას, მაგრამ სჩანს თბილ კუთხეში მჯდომარეს დავავიწყდით. პჩ | 7., მოიგონე შენი დაპირება, შეაკეთე ეს კუთხე და გვიხსენი სიცივისაგან.

მუშკორი **ჩაბანოელი**

საჭიროა ხელფასის მომატება.

(საბჭ. მუშაკების კავშ. გამგეობის საყურადღებოდ).

გაჭირვებულ მატერიალურ მდგომარეობას განიცდიან სახალხო სასამართლოს თანამშრომელნი, რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენენ მეოჯახენი — ცოლშვილიანნი; ბევრს მათგანს დღიური პურის ფულიც არ მოეპოვება და ხშირად მშიერნიც არიან. თუ გადავსინჯავთ მათ შრომის ხელფასის უწყებას დავინახავთ, რომ სასამართლოს მდივანი ღებულობს თვიურად 24 მან. 40 კ., მდივნის თანაშემწე—16 მან. 60 კ., საქმის—მწარმოებელი 14 მან. 4 კ., აი ამ ჯამაგირით არსებობენ სასამართლოს თანამშრომლები, ჯამაგირიც დროზე არ ეძლევათ, არავითარი კრედიტით არ სარგებლობენ, მუშკოოპში არ არიან წევრებათ ჩაწერილნი და კერძო ვაჭრებიც ნისიად საქონელს არ აძლევენ. მათი მდგომარეობა ძალიან ძნელია. მიხედეთ ამათაც.

მუშკორი **მელითონე.**

როდის გვაღირსებთ?

(მთავარ სახელოსნოს უფროსის საყურადღებოდ).

1922 წლის შემდეგ ყოველ მოგონების დროს გვესმის, რომ მექვაბეთა საამქროს მუშებს უნდა აუშენოთ სასადილო, მაგრამ უკვე 1925 წელში გადავედით და სასადილო კი არ სჩანს. მეორედ იქნა ამ სასადილოს ასაშენებელი თანხა გადადებული და ვფიქრობ, რომ ამ თანხასაც ის ბედი ეწევა, რაც წინანდელ თანხებს ეწვია. ნუ თუ ასეთმა ყინვებმა არ უნდა გაგრძნობინოთ, რომ ახლა მაინც არის საჭირო ჩვენთვის სასადილო მოეწყოს საამქროში. ორთქლმავალთა ამწყობ საამქროში ყოველ დღე იხარჯება შეშა და მუშათა ძალა 100 მანეთამდის ღირებული. ჩვენ რაღა დავაშავეთ? იქნებ ფიქრობთ, რომ ჩვენ უკანონო გერები ვართ ამ საამქროსი?

აქ თქვენ გულგრილობას აქვს ადგილი, თორემ სასადილო აქამდის სამჯერ გაკეთდებოდა. ეს შენი საქმეა.

მუშა **მექვაბე.**

ბოროტი სახლის პატრონი ალაგმეთ

(ქალაქ. საბინაო განყოფილების საყურადღებოდ).

(დიდუბეში) ფოთის ქუჩაზე № 29-ში სცხოვრობს ამავე სახლის პატრონი ძველი თავადი ფავლენიშვილი. ეს ფავლენიშვილი და მისი ცოლი სხვადასხვა ბოროტი საშუალებით სცდილობენ გამორეკონ სახლიდან მდგმური მუშა-მოსამსახურეები, ვინაიდან ისინი საბინაო ქირას იხდიან თანახმად დაწესებული ტარიფისა. მის ცოლს ჩვეულებიდ აქვს გადაქცეული მდგურების ლანძღვა-გინება, და ამაყობს კიდეც რომ ისინი არიან თავადები, არ აქცევენ ყურადღებას სახლს. ოთახებში წვიმა ჩამოდის, არ აძლევენ მდგმურებს საერთო სამრეცხაოთი სარგებლობის უფლებას და სხვა. ჩხუბში ხშირად ამბობს ბატონი ფავლენიშვილი, რომ სახლს იქამდის მიიყვანს, რომ თავზე დაექცეს მდგმურებს. ხშირია შემთხვევებიც, რომ ის ღვინით გალეშილი ფანჯრებს უმტვრევს მდგმურებს.

ალაგმეთ ეს ბოროტი სახლის პატრონი.

მუშა **სიონელი.**

სადგურ განჯის ავ-კარგი

(რკინისგზ. სამმართველოს და „დორპროფსოჟის“ საყურადღებოდ).

მთელ რაიონში რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა უდრის 1500 კაცს. ბინისა და სათბობი მასალის დიდი კრიზისი გვაქვს.

აქ არსებობს კარაევის სახელობის მუშათა კლუბი, სადაც დროგამოშვებით იმართება წარმოდგენები რუსულ და თურქულ ენაზე. კლუბს აქვს სამკითხველო, სამუსიკო წრე და სხვა.

აქ არსებობს ორი ადგილკომი № 1 და № 2, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებისათვის გონებრივი საზრდოს მიწოდებაში მოიკოჭლებენ. აქ დღემდის ვერ მოეწყო აბანოს საკითხი. დეპოში და ნავთ-სადენში არის თითო პატარა საბინაო ბუტკები, სადაც შედის მხოლოდ 2—3 მუშა. ძალიანი ბიჭობა იქნება, რომ თვეში ერთხელ ეღირსო ტანის დაბანვას.

არ ეწყობა არავითარი შინაარსიანი ლექციები და რეფერატების კითხვა. აქ **იმყოფება ასამდე ქართველი მუშა-მოსამსახურე,** რომელთა შორის არ სწარმოებს არავითარი კულტურული მუშაობა. ჟურნალ-გაზეთებსაც **ხაკლებად** კითხულობენ, თავისუფალი დრო მეტ წილად ღვინოზე იხარჯება.

ინფ. **ციებ-ცხელება.**

გამოგზავნილი წერილებიდან

ექიმი ასეთი უნდა იყოს

ქალაქის 1-ლ საავადმყოფოს სადეზინფექციო სავანეში მუშაობს ექიმი **უშვერიძე,** რომელიც დაუღალავად ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას ავადმყოფების მოვლა-წამლობის გარდა ლექციასაც კი უკითხავს. ასეთი ექიმი ჩვენი ავადმყოფებისათვის სანატრელია და იმედია სხვებიც მიბაძავენ მის მაგალითს.

ავადმყოფი კოტე.

კბილის ექიმობა ასე უნდა მოაწყოთ

რკ. გზის მოსამსახურე ქალმა ორმოცაძისამ მიმართა კბილის ექიმს, მჭედლიძეს კბილის საწამლებლად. მაგრამ წამლობა დაუწყო ექიმის თანაშემწე ქალმა, რომელმაც მორჩენის მაგიერ ტკივილი გაუძლიერა. ექიმი მჭედლიძე კბილის ამოღებას ურჩევდა, მაგრამ საბედნიეროდ გამოჩნდა ექიმი ქალი გაბაევისა, რომელიც მეტი სიფრთხილით შეუდგა კბილის წამლობას. წამლობაში მან გამოიჩინა დიდი გულშემატკივრობა და თავისი ცდით ორმოცაძისას კბილი ამოუღებლივ მოურჩინა. ასეთი ექიმი ქალი უღრმესი მადლობის ღირსია.

მუშკორი **იორის-ირელი.**

მეტი ყურადღება აგენტებს

(რკ. გზ. სამმართველოს და საუბ კავშირის საყურადღებოდ)

ა | კ. რკ. გზაზე გამორგების დარგში სათადარიგო აგენტებს დიდი მოვალეობა და პასუხისგება აწევთ, მაგრამ მათ ჯეროვან ყურადღებას არავინ აქცევს. მათ ევალებათ, ზედმიწევნით ცოდნა რკინის გზის სამსახურისა ცირკულიარების, ინსტრუქციების და ტარიფებისა. სახელმძღვანელოებს კი მათ არ აწვდიან. ბოლო დროს დაიწყეს აგენტების გამოცდა, მაგრამ რა უფლებით უნდა მოსთხოვონ მათ ცოდნა, რაც მათთვის არ მიუწვდიათ. ჯერ წიგნები დაურიგონ, ასწავლონ და მერე მოსთხოვონ ცოდნა.

ინფ. **მეთვალყურე.**

ფ.-ტ. ამბულატორიაში უწესრიგობაა

რადგან ფ.-ტ. ამბულატორია სრულიად მიუწდომელია ჩვენთვის, მოსამსახურენი იძულებული არიან კერძო ექიმებს მიმართონ ხოლმე. ამ ამბულატორიაში ყოველთვის უწესრიგობაა და დიდი აურზაური, რის გამოც ფ.-ტ. მუშა-მოსამსახურე სრულიად ვერ სარგებლობს მით.

საჭიროა მიექცეს ყურადღება.

მუშკორი **ი. გურული.**

გაგვიხსენით კოოპერატიული დუქნები

(მუშკოოპის საყურადღებოდ).

დიდუბის უბნის მუშები ძალიან შევიწროებული არიან კერძო ვაჭრებისაგან. დიდუბეში არ არსებობს წითელი სასადილო, არც ნავთის მიმწოდებელი კოოპერატიული დუქნები. მთელ დიდუბეში კოოპერატიული ერთი ნავთის საწყობიც არ არის, რომელიც პირველ საჭიროებას შეადგენს აქაური მუშებისათვის. ნავთის საწყობი აქ აქვს მხოლოდ ერთ კერძო პირს, რომელიც იღებს გირვანქაზე 6 კაპეიკს.

მიაქციეთ ყურადღება და გახსენით კოოპერატიული ნავთის საწყობები ორი თუ არა, ერთი მაინც.

ტრამვაის მუშა

მოუარეთ ბაღს

(ქუთაისის სადგურის უფროსის საყურადღებოდ)

ქუთაისის სადგურის ბაღი განიცდის უპატრონობას. ფუჭდება ღორებისაგან ყვავილების ნერგები და არ არის სისუფთავე სათანადოდ დაცული. ღორები და თხები ჭამენ და ხრავენ ნერგებს და ბანაობენ ფეხის ადგილის ორმოდან გადმონადენ სიბინძურეში. ხშირად ეს სითხე ქუჩაშიაც მიედინება. სძინავს სანიტარულ კომისიას და უდარდელად ხითხითებს მესამე სართულიდან სადგურის უფროსი.

მუშკორი **ე—ძე.**

ქრონიკა

„თბილისის ცნობარი“

ამ დღეებში ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება უშვებს ქართულად „თბილისის ცნობარს“ ცნობარში მოთავსებული იქნება თბილისის ყველა ქუჩების სახელები, მათი მდებარეობა, ყველა საბჭოთა, საზოგადოებრივი და პარტიული დაწესებულებები, ტრამვაის მარშრუტი და სხვ.

— **21 იანვარი სამუშაო დღეა.** თანახმად ა | კ. ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის 1924 წლის 10 სექტემბრის დადგენილებისა, 21 იანვარი სამუშაო დღეა და 1905 წლის 9 იანვრის ხსოვნის დღე-22 იანვარი ამავე დროს ვ. ი. ულიანოვ-ლენინის გლოვის დღეთ ცხადდება.

— **ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის** დადგენილებით ნება-დართულია დეპეშების შემოკლებულ და შეერთებულ სიტყვებით გაგზავნა, თუ კი გასაგები იქნება ადრესანტისათვის.

— **საქართველოში დღემდე აკრეფილია** სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სულ 2,170,203 მან. ე. ი. 52,16 პროც.

— **წ.-კ. მცირე მცოდნეთათვის.** ამ ჟამად ტფილისში და მის მაზრაში არსებობს 74 სკოლა წ.-კ. მცირე მცოდნეთათვის. 69 სკოლა არსებობს ქალაქში.

— **საბავშო სახლი.** ტფილისში არსებულ საბავშო სახლების, ბაღების, ბაგების და სხ. საბავშო დაწესებულების შესანახათ მიმდინარე წლისათვის გადადებულია 390,189 მ.

— **ძეხვის ქარხანა.** ქ. სასაკლაოსთან არსებულ ძეხვის ქარხანამ დეკემბერში დაამზადა 74 ფ. და 6 გირ. ძეხვი, 485 ფ. და 36 გ. შაშხი და 159 ფ. 33 გ. ქონი.

— **ქ. სასაკლაოს** მუშა-მოსამსახურეთა შესანახათ მიმდინარე წელში ქ. აღმასკომმა გადასდო 143,735 მან. 88 კ.

— **ტრამვაის სახელოსნო** შეუდგა 4 მისაბმელი ვაგონის აგებას.

— **ტრამვაის ლიანდაგი.** ტრამვაის დირექციის ცნობით ქალაქის ყველა ხაზებზე ტრამვაის დაზიანებულ ლიანდაგის გამოცვლას შეუდგებიან აპრილში.

— **საბეითლო საქმისათვის** ქ. აღმასკომმა მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვით გადასდო 34,149 მან. 33 კაპ

— **დახმარება დაზღვეულ ავადმყოფებს.** დეკემბერში თბილისის დამზღვევ კასამ ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეებს დახმარების სახით მისცა 47,580 მან. 68 კაპ.

— **საექიმო დახმარება.** დამზღვევ კასამ კასის ავადმყოფ წევრებს და მათ ოჯახის წევრებს დეკემბრის განმავლობაში მისცა უფასო წამლეულობა 55,847 მ. და 83 კ.

— **დახმარება უმუშევრებს.** დეკემბრის განმავლობაში დამზღვევ კასამ დაზღვეულ უმუშევრებს დახმარების სახით დაურიგა 4,698 მ. 10 კ.

— **ბრძოლა მინდვრის მავნებლებთან.** სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველათ ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთ შეიძინა 200 ფ. „პარიზის მწვანილი“.

— **ქიმიის კურსები.** ქიმიის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმმა სამეცნიერო-სატეხნიკო სექციის მიანდო მოაწყოს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებთან ქიმიის კურსები.

— **სახელმძღვანელო წითელ-არმიელებისათვის.** ივანე გომელაურმა შეადგინა წითელ არმიელთათვის ქართული ენის ქრესტომატია მარქსისტული თვალსაზრისით.

— **უმუშევარ მოზარდთა სახლი.** შრ. სახალხო კომისარიატმა გადასდო 24 ათასი მან. უმუშევარ-მოზარდთა სახლის მოსაწყობათ.

— **შრომის კოლექტივები.** შრ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა შრომის კოლექტივებისთვის გადადებული 21 ათასი მან. დაჩქარებით გაანაწილოს რესპუბლიკაში არსებულ ყველა შრომის კოლექტივებს შორის.

— **ქუთაისის** შრომის ინსპექტორად დაინიშნა ამხ. კალანდაძე.

— **ავადმყოფები საზამთრო აგარაკებზე.** საქ. სოც. დაზღვევის სამმართველომ 12 იანვარს კისლოვოდსკში გაგზავნა საექიმოდ 3 მუშა, მათ შორის ერთი ქალია.

— **მუშების დაზღვევა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასწყვიტა დააზღვიოს ჩაქვის სახალხო მამულის მუშები.

— **ნიხრი ხე-ტყეზე.** მიწად-მოქმ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ დაბეჭდა და მაზრებში გააგზავნა ახალი ნიხრი ხე-ტყეზე.

— **გერმანული გუთნები.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეიძინა 2,700 ცალი ფოლადის გუთანი გერმანიაში.

— **საძოვრები.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა მიავლინა თავისი რწმუნებული ადგილობრივ საძოვრების საკითხის მოსაწესრიგებლათ.

— **შრომის** სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოახდინოს რესპუბლიკაში არსებულ შრომის კოლექტივების აღრიცხვა.

— **ადგილობრივი გადასახადი.** ა | კ. უმაღ. ეკ. საბჭომ მიიღო დადგენილების გეგმა აჭარის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზე ადგილობრივ გადასახადის შემოღების შესახებ.

— **წიგნები სასოფლო-მეურნეობაზე.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი შეუდგა სასოფლო-მეურნეობის შინაარსის მდაბიო ენაზე დაწერილ წიგნების გამოცემას.

— **მიწად-მოქ.** სახ. კომისარიატმა მოსკოვში მივლინებულ კეჩხუაშვილს დაავალა დაწვრილებით გაეცნოს რუსეთში საცდელ-საჩვენებელ და აგრონომიულ მუშაობის საქმეს.

— **ქ. სასაკლაოს მუშაობა.** დეკემბერში ქ. სასაკლაოზე დაიკლა 15,384 საქონელი, აქედან—3,892 მსხვილფეხა, 7,374 წვრილფეხა, 4118 ღორი.

— **საქველმოქმედო მარკები.** ა.-კ. უმაღ. ეკ. საბჭომ მიიღო საქველმოქმედო მარკების გამოშვებისათვის დადგენილების გეგმა.

— **ახალი წიგნის მაღაზია.** შრომის კომისარიატის თაოსნობით რუსთაველის პრ. გაიხსნა წიგნის მაღაზია, სადაც გაიყიდება შრომის საკითხებზე ყოველგვარი წიგნები.

— **რესპ. მთავარ საავადმყოფოს შეკეთება.** ჯანსახკომმა შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა ცეცხლისაგან დაზიანებულ რესპ. მთავარ საავადმყოფოს შესაკეთებლათ.

— **წერილები „მოთხოვნამდე“.** ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის დადგენილებით ფ.-ტელეგრაფის კანტორებს შეუძლიათ მიიღონ ისეთი, წერილები რომლებზედაც აღნიშნული იქნება მხოლოდ გვარი. ასეთი წერილი ადრესატს შეუძლია მიიღოს ფოსტიდან პირადი მოწმობის წარდგენის შემდეგ.

შემთხვევები.

— **შეპყრობა.** 12 იანვარს, კომუნალური ქ. № 12, გაქურდეს მოვლიან ომან ოღლის სახაიე, ეჭვით შეიპყრეს ბაჩიკაშვილი.

— **ქურდი სახლის პატრონი.** 13 იანვარს, შეიპყრეს სეიდაბადის ქ. № 6 სახლის პატრონი, სონა ხუდავერდოვისა, რომელსაც ბრალდება მდგმურ თომაევს გაქურდვა.

— **ქურდობა.** 13 იანვარს, რატიშვილის ქ № 16, გაქურდეს ტერ-აირაპეტიანის ბინა. წაიღეს 169 მ. ნივთები.

— **ხანძარი.** 9 იანვარს, მანავის ტყეს თელეთის ფერდობზე გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც მაშინვე იქნა ჩაქრობილი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

ხელოვნების მუშაკთა კავშირის საღამო.

12 იანვარს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა ხელოვნების მუშაკთა კავშირის ტრადიციული საღამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების ყველა დარგების წარმომადგენლებმა.

რასაკვირველია, შეუძლებელია ლაპარაკი ასეთი საღამოების პროგრამის სისტემასა ან მიმართულებაზე. ყველა თამაშობდა ისე, როგორც შეეძლო

პროგრამაში სჭარბობდა ბუფონადა და კომიკური ელემენტი. მუსიკალურ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს მომღერალმა ქალმა სედენკომ, კულაგინამ, სტრუკოვ-ბარათოვმა, შარაშიძემ და მოსინმა, რომლებმაც შეასრულეს რამოდენიმე ვოკალური ნომერი.

კომიკურ განყოფილებას მეთაურობდა ნიჭიერი მსახიობი დიმოვი, რომელმაც ოფენბახის ოპერეტაში „წვეულება იტალიანელებთან“ შეასრულა გამდიდრებული ზეინკალის გრიფელის როლი, მსახიობის თვითეული გამოჩენა სცენაზე, მისი თვითეული მოსწრებული ფრაზა დაუსრულებელ სიცილს იწვევდა აუდიტორიაში.

ქორეოგრაფიულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო ბალეტის მსახიობებმა: ალბერტმა, სერგეევმა, კაზინეცმა, რატუშენკომ, იუპატოვამ და დიმიტრიევმა.

პროგრამა დამთავრდა ცირკის მსახიობების გამოსვლით.

პ. გ.

— **ახალი პოემა.** დავით კობიძემ დასწერა პოემა „გამურული სახეები“. განზრახულია პოემის წიგნათ გამოცემა.

— **„სადარაჯოზე“.** ლენინის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად გამოვა საქართველოს პროლეტკულტის ქართული ლიტერატურული სტუდიის ორგანო „სადარაჯოზე“-ს მორიგი ნომერი, ფართო შინაარსით.

— **„წინასწარმეტყველი“.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება მეიერბერის „წინასწარმეტყველი“.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ჯენტლმენი“.

— **„ტარდში“.** დღეს წარმოდგენილი იქნება ვოლცოვსკაიას მონაწილეობით „ანნა კრისტი“.

— **ებრაული სიმღერების საღამო.** 21 იანვარს, „ტარდში“ გაიმართება ებრაულ სახალხო სიმღერების ცნობილ შემსრულებლის ეპელბაუმის და ებრაულ სახალხო სიმღერების ცნობილ შემსრულებლის ფიშერმანის ერთად-ერთი საღამო.

— **ცირკი.** დღეს განმეორებით წარმოდგენილი იქნება „დუროვის რკინის გზა“.

— **საჯარო გასინჯვა** კინო-მოთხრობის „ქარიშხალის წინ“, რომელიც დანიშნული იყო იანვრის 18-სათვის, გადადებულია იანვრის 20-სათვის, საღამოს 8 საათზე კინო-თეატრ „აისში“.

დღეს კინოებში:

— არფასტო—„ოლივერ ტვისტ“
— აპოლო—„გრაფ მონტე-კრისტო“
— თვითმფრინავი—„ასიშა“
— მინიონი—„სიკვდილის მხარეში“
— სოლეი—„მზის საცოლე“
— ოაზისი—„სურამის ციხე“

წერილები პროვინციიდან

ზამთარი ჩვენში

(წერილი სენაკიდან)

წელს ადრე დაგვიზამთრდა. არ მოველოდით ასე უცბად დაზამთრებას. 23 დეკემბერს პირველად მოვიდა თოვლი. სამწუხაროთ თოვლი ერთბაშათ მოაწვა ჩვენს მაზრას და ოთხი-ხუთი დღე განუწყვეტლივ სთოვდა, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ არა ხანგრძლივ შეწყვეტას დღე და ღამის განმავლობაში.

მთიან ადგილებზე თოვლის სიმაღლემ არშინს გადააჭარბა, ხოლო ბარში თითქმის არშინს მიაღწია.

ამის შემდეგ შესწყდა თოვა. მას მოყვა მძაფრი ყინვები. სამი-ოთხი ღამე ისე დაყინა, რომ შეუძლებელი იყო გარეთ გამოსვლა. ყინვას თან დარიც მოყვა. 4 იანვრიდან კი დადგენ თბილი დღეები. ცა ოდნავ მოიღრუბლა და თოვლმა სწრაფი დნობა დაიწყო. ყინვაც სადღაც გაქრა, და მომდევნო დღეები მეტად თბილი შეიქნა. ეხლაც, 8 იანვარს, თოვლის მეოთხედი არ არის მიწაზე. გრძელდება სწრაფი დნობა.

სოფელი გაიშა. პირუტყვი გარეთ გამოუშვეს, რომ თბილი მზის სხივებით ტანი გაეთბოთ.

სამწუხაროთ ჩვენი სოფელი მოუწყობელი შეხვდა ამ ზამთარს. ბევრს შეშაც არ ქონდა ტყიდან გამოტანილი. ბევრს საქონლისათვის საყოფი საკვებიც არ ქონდა მომარაგებული.

ბევრი ოჯახი კი ტიტველი შეხვდა ამ ზამთარს, რადგანაც ის „საშობაოთ" ფიქრობდა ტანთჩაცმას. დასუქებულ ღორს გაყიდდა ან სიმინდს გაასაღებდა. ზამთარმა კი ადრე მოუსწრო და შეაწუხა.

ზამთრის გადატანა ძლიერ გაუჭირდა ფრინველებს. პირუტყვებს კიდევ არა უშავთ, ვისაც ოდნავ მაინც ქონდა მოწყობილი ბინა. საერთოდ მაზრის ბარის მცხოვრებლებმა უფრო იოლად შესძლეს ამ ზამთრის სიმკაცრის ატანა, ვინემ მთიელებმა. იქით სიცივეც მეტი იყო და გაჭირვებაც.

ჟ—ლი.

მისაბაძი მაგალითი

(შუხუთის თემი)

სხვა ნაკლს რომ თავი დავანებოთ შუხუთის სამკითხველო ამ უკანასკნელ ხანებში უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. სამკითხველოს არ ჰყავს მეთვალყურე, მინები ჩამტვრეულია, წიგნ-ბროშიურები (რაც ძველი იყო ხალხმა წაიღო საკითხავათ და უკან არ აბრუნებს. ახალი წიგნ-ბროშურების შეძენის შესახებ არავინ ფიქრობს. ეხლა სამკითხველოში ძლივძლივობით მოდის დღიურათ მხოლოდ ორი გაზეთი „კომუნისტი" და „მუშა", რომელსაც სხვადასხვა პირები იწერენ სამკითხველოსთვის. ზემოდ მოყვანილ გარემოებას ყურადღება მიაქცია თბილისიდან ორი დღით შვებულებით სამოსულმა ამხანაგმა ალექსანდრე გზექალავამ, რომლის თაოსნობით შესდგა საინიციატივო ბიურო ხუთი კაციდან შემდგარი. ამ ბიურომ, რომელმაც უნდა იზრუნოს სამკითხველოს ირგვლივ წევრების შეკრებაზე და გამგეობის არჩევაზე, რომელიც მომავალში ხელმძღვანელობას გაუწევს სამკითხველოს საქმეს. მანვე სამკითხველოსათვის მოიტანა აუარებელი თანამედროვე წიგნები და ბროშურები, რომელსაც სამკითხველო დღემდი მოკლებული იყო. აღუთქვა აგრეთვე სისტემატიურათ სამკითხველოსათვის ჟურნალ-გაზეთების გამოგზავნა, გაიღო მანვე თანხა ჩალეწილი მინების ჩასადგმელათ და სხვა. ერთი სიტყვით ამხანაგმა დიდი სამსახური გაუწია სამკითხველოს საქმეს, რის გამოც დიდი მადლობის ღირსია. თვითეული ჩვენი თანასოფლელი, რომელნიც სხვადასხვა ადგილას მსახურებენ და რომელთაც საშუალება შესწევს დაეხმაროს სახალხო საქმეს ამ მაგალითს მიბაძავდნენ, მაშინ ჩვენი მივიწყებული სოფლების საქმე წინ წაიწევს და მცხოვრებთ საშუალება მიეცემა გათვითცნობიერების.

კორესპოდენტი.

ზესტაფონის რაიონი

(შორაპნის მაზრა)

ზესტაფონის რაიონი მდიდარია ვენახით, მევენახეობა-მეღვინეობას უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული, ვერ ნახავთ ისეთ მოსახლეს, რომ რამდენიმე ქვევრზე არ ჰქონდეს ლამაზად გამოშენებული ნამყენი ვენახი. სთესავენ აგრეთვე სიმინდს, პურს, ლობიოს, ფეტვს, ღომს და სხვ. საკმაო სარჩო სიმინდი იშვიათად მოსდით. აქაური გლეხი იშვიათად გადის შორს სამუშაოდ, ის მუდამ სახლშია, აწარმოებს უმთავრესად მევენახეობას. ღვინო მოჰყავთ ბლომათ, რითაც ფარავენ ოჯახის მოთხოვნილებებს.

ამჟამადაც ღვინის ფასი მეტად მცირეა, მაგრამ გლეხისათვის აუცილებელია, რომ ღვინის გაყიდვით დაიკმაყოფილოს ოჯახის მოთხოვნილებები. იციან რა სპეკულიანტებმა ასეთი გაჭირვება, სარგებლობენ ამ მდგომარეობით, და ნახევრის ფასათ იძენენ ღვინოს, განსაკუთრებით ეხლა, რადგანაც დიდი ზამთრის გამო არ შეიძლება ღვინოების გადაზიდვა მთავრობის საწყობებში...

ამ მხრივ გლეხობას დიდ დახმარებას უწევდა ზესტაფონის მევენახეთა საზოგადოება „იმერეთი", მაგრამ სამწუხაროთ ის ნაწილობრივ ვერ ასაღებს ღვინოების მთელ მოსავალს, მას ამ ჟამათაც დაგროვილი აქვს 300—500 საპნამდე ღვინო. სასურველია რომ რწმუნებულები დაიგზავნოს თემებში ღვინოების შესაძენად, თორემ სანამ ურმის გზები გაიდოდეს და გლეხს საშვალება მიეცემოდეს მთავრობას ღვინო მიაწოდოს, მანამ გლეხობა ან გაჭირვებას ვერ გაუძლებს და ან ჩარჩის დაუპატიჟებელ სტუმრობას.

ა. ხანაძე.

ლანჩხუთის ცხრაწლედი

ლანჩხუთის ცხრაწლედის შენობა ძალიან პატარაა იმ 500 მოწაფისათვის, რომლებიც იქ სწავლობენ. სასწავლებელს არ აქვს მოწყობილი კაბინეტები, ფიზიკისა, გეოგრაფიისა და ბუნების მეტყველებისა სასწავლებელს არა აქვს სამკითხველო.

სასწავლებლის შენობას აქვს დერეფანი, რომელშიაც იმართება საღამო-წარმოდგენები ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ. საღამო-წარმოდგენებს მრავალი ხალხი ესწრება.

ხშირათ იმართება რეფერატები მოხსენებები, და ლიტერატურული გასამართლებები და სხვა. გამოდის კედლის გაზეთი „წითელი სხივი". განცვიფრებაში მოდიხართ, როდესაც ისმენთ აქაურ მოწაფეთა მსჯელობას ამა თუ იმ საკითხის შესახებ. საერთოთ უნდა აღინიშნოს რომ სასწავლებელში ამ მოკლე ხანში ბევრი რამ გაკეთდა.

მადლობის ღირსი არიან ადგილობრივი მასწავლებლები, რომლებიც დაუღალავ შრომას ეწევიან.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასწავლებლის შენობა საგრძნობლათ დაზიანდა ომისა და რევოლიუციის ხანებში. ზოგჯერ ის ყაზარმადაც იყო. წელს მას გაუკეთდა ნაწილობრივ რემონტი. ჯარის გადაჯგუფების დროს ბევრი რამ ნივთიერადაც დააკლდა სასწავლებელს... სასწავლებლის ორკესტრი სადღაც გაქრა. საჭიროა სასწავლებელს უკანვე დაუბრუნდეს თავისი ქონება.

გ. ქ.

დაბა აბაშა

(სენაკის მაზრა)

დაბა აბაშაში აღრიდანვე არსებობდა საავადმყოფო, მაგრამ სამწუხაროთ ეხლა ის უკვე დახურულია. დღეს ავადმყოფების მხოლოდ ამბულატორული მიღება სწარმოებს.

შენობა საავადმყოფოსი კარგია. ყველაფერი, რაც ესაჭიროება საავადმყოფოს, ტერაპევტიული ავადმყოფებისათვის საკმარისად მოიპოვება: საწოლები, საბნები და სხვა წვრილმანები 10 ავადმყოფისათვის. ექიმიც არის და ფერშალიც. ინსტრუმენტები და სხვა საჭირო მასალები, რაც არის საჭირო ტერაპევტიულ ავადმყოფებისათვის მოიპოვება საექიმო კაბინეტში.

საკმარისია მარტო ნებართვა და საავადმყოფო დაიწყებს მუშაობას. ამასთანავე ერთად საჭიროა საავადმყოფოს მსახურის დაქირავება.

აბაშის რაიონში 7—8 ათასი კომლი მცხოვრებია და აუცილებლათ საჭიროა საავადმყოფო მათთვის. აბაშაში აფთიაქიც არის.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და საავადმყოფოს გახსნას ველირსოთ აქაური მცხოვრებნი.

ვახკაჭ.

საჭირო ზომები

გორიდან 5 ვერსის მანძილით დაშორებულია სოფ. ატენი, რომელსაც შუაგულში ჩამოუდის მდინარე ტანა. ბევრი მოგონებანი აქვს ამ მდინარეს, რომელიც თავისი ადიდებით ხშირათ აწიოკებდა აქაურ მცხოვრებლებს, ართმევდა სარჩო-საბადებელს, ხიდებს, ჰგლეჯდა ჯებირებს და გაცოფებული ღრიანცელით მიჰქონდა მდ. მტკვარში. ასეთი მაგალითი იყო შარშანაც, როდესაც მან მოიტაცა მეცხვარე თავის ცხვრის ფარეხით და მტკვარს მიაბარა. ტანას ეს მოაგონდა წელსაც: სამი კვირით ადრე ტანა იმდენათ პატარა იყო, რომ ძლივს-მოიკლაკნებოდა მთებ შუა და გზაში იკარგებოდა. მაგრამ დეკემბრის ბოლო რიცხვებში ისე უეცრად მოიმატა, რომ მგზავრებმა ფონზე გადასვლა ვერ მოასწრეს და ღვინით დატვირთული ურმები, საქონელი ტანას მიაწოვეს.

დღეს იგი მოშხუის ლიახვისებურ ადიდებული წვით, ეხეთქება არეს და მიაქვს თან ნაპირები. თოვლი მთაში დიდია, იგი დნება და ტანის მომატება კიდევ მოსალოდნელია. საჭიროა დროზე მახლობლად მცხოვრებლების გაფრთხილება, ბინების გადაცვლა და მათი სიცოცხლით უზრუნველყოფა ტანისაგან.

შიბ.

გვალირსეთ ხიდი

სოფ. ზანათი (სუჯუნის თემი)

ს. გალმა-ზანათი მდ. აბაშით იყოფა ორ ნაწილად. ადგილობრივი გლეხობა დიდ ტანჯვას განიცდის ამ მდინარეზე ხიდის უქონლობის გამო. წყალდიდობის დროს სოფლის ორ ნაწილს შორის მისვლა-მოსვლა სწყდება.

ჯერ კიდევ მენშევიკურ რეჟიმის დროს ადგილობრივმა გლეხობამ მიაქცია ყურადღება ასეთ მდგომარეობას და მათი ხელმძღვანელობით დაწყებულ იქნა ამ მდინარეზე ხიდის აგება. მაგრამ რაკი მთავრობის მხრით დახმარება აკლდათ, ვერ შეიძლეს დაწყებული საქმის დაბოლოვება და ხიდის აგება შეაჩერეს და დროებით, ხიდის მაგივრად ფიცრები იქნა გადებული.

ახლა კი ფიცრებიც დალპა. საჭიროა მაზრის ხელისუფლებამ თავის დროზე მიაქციოს ამას ყურადღება და დაგვეხმაროს ხიდის დამთავრებაში.

თინა.

პროვინციის ქრონიკა

— **სასოფლო-სამეურნეო სკოლა.** სოფ. ვაჩნაძიანში გაიხსნა სასოფლო სამეურნეო სკოლა, სადაც ამ ჟამად ირიცხება 25 ახალგაზრდა გლეხი.

— **ახალი საავადმყოფო.** ოსეთის ცაკმა გადაწყვიტა შუამდგომლობა აღძრას საქ. ცაკის წინაშე, ცხინვალში ახალი საავადმყოფოს გასახსნელათ საჭირო თანხის მიღების შესახებ.

— **ელექტრო-სადგური.** აბასთუმანში. მდინარე აბასთუმანზე ახლად აგებული ელექტრო-სადგური ამუშავებული იქნა დეკემბრის შუა რიცხვებში. სადგური სინათლეს მიაწვდის როგორც მთელ კურორტს, ისე სანატორია „არაზინდოს" და ხე-ტყის ქარხანას.

— **ქუთაისის არხ. „მაშველი"** ძლიერი ყინვების გამო თითქმის სულ გაიყინა.

— **შორაპნის აღმასკომმა** დაავალა აგრონომიულ განყოფილებას მოაწყოს სიმინდის და სხ. ჭირნახულის საექიმო კამერა.

— **ტელეფონი ჩხარში.** შორაპნის აღმასკომმა გადასწყვიტა საჩქაროთ შეუდგეს ტელეფონის ქსელის გაყვანას საჩხერეში.

— **ექიმობა საქონლისათვის.** ლეჩხუმის მაზრაში გასულ წელში აცრის გარდა საექიმო დახმარება აღმოეჩინა 175 სულ საქონელს.

— **აგრონომების თათბირი.** 10—12 იანვარს სიღნაღში შესდგა სამაზრო აგრონომების თათბირი. თათბირმა გამოიმუშავა გეგმა მაზრაში მეურნეობის ასაყვავებლად.

— **ქალთა სახელოსნო.** შორაპნის ქალთა განყოფილებამ გადასწყვიტა დაარსოს ქალთა სამკერვალო უმუშევარ ქალებისათვის.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით შემდეგი განვაცხადო:

არასოდეს, არც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი, არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ ვყოფილვარ.

შეგნებულად ვდგევარ საბჭოთა პლატფორმაზე და ვცდილობ რითაც შემეძლება ხელი შევუწყო მის გამაგრება-განმტკიცებას.

ალექსანდრე ოტიას ძე გაჩავა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 1

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

სათემო საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 მოწვევის მე-3 სესიის დადგენილების საფუძველზე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. ნაცვლად არსებული სასოფლო საბჭოებისა, საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა შემოღებულ იქნეს სათემო საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები,

2. სათემო საბჭოები აირჩევა 1922 წლ. არსებული თემების ფარგალში, რომელნიც შესდგებიან ერთი ან რამდენიმე სოფლისაგან.

3. იმ მაზრაში, სადაც ეს საჭიროდ იქნება ცნობილი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობით, შესცვლის თემთა არსებულ რიცხვს.

4. ზოგიერთ თემში სათემო საბჭოს ნაცვლად შე[illegible] ნებული წესით, მოეწყოს რამდენიმე სასოფლო [illegible] რამდენიმე სოფელი.

5. იმ თემში, სადაც მე-4 მუხლის საფუძველზე მოეწყობა სასოფლო საბჭოები, შესდგება საბჭოთა სათემო ყრილობა, რომელიც აირჩევს სათემო აღმასრულებელ კომიტეტს, თანახმად მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების დებულების 48 მუხლისა.

6. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალება შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დებულება სათემო და სასოფლო საბჭოებისა და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე—მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წლ. იანვრის 8
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— კომკავშირის თბილ. კომიტეტი იწვევს ყველა ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს დღეს, 15 იანვარს, სწორედ საღამოს 5 საათზე გამოცხადდენ თბილ. კომიტეტში. იმ კომისიაში, რომელიც მობილიზაციას აწარმოებს კომკავშირელ აქტივისტ-მუშებისას სოფლად მუშაობისთვის გადასაგზავნად.

მეორე რაიონი: ქელიძე სერგო, ომანიძე შალვა, კუდრაშვილი ნიკოლოზ, მერაბოვი სერგო, მსხილაძე ნიკოლოზ.

მესამე რაიონი: გვენცაძე პარმენ, პრომკინი პეტრე, შახმამედოვი ჰუსეინ, დარჩიევი.

მეოთხე რაიონი: მაისურაძე შალვა, ხანდამოვი ნიკოლოზ, ნარიმანაშვილი მელიტონ, ურუშაძე (მეკვდ. უჯრედი), ჯიქია, ზადიკაშვილი, სხირტლაძე, მინდიაშვილი, ჯავახოვი, ზაუტაშვილი.

მდივანი **მეთონიძე.**

— ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო-დასახელებულ ამხანაგებს სახ. პოლიტეხ. ინსტ. მუშფაკის უჯრედიდან—ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომის აღმრიცხვ.-გამნაწ. განყოფილებაში:

არაქელოვი მარკოზ, მურადოვი გიორგი, ლუსკინა ცეცილია, სოლოვიოვი მიხეილ, ერენტრაუდი ალ., ბადალოვი სამუილ, გაზაევა ევა, კარპოვიჩი მიხეილ, შაგირიანი ვენიამინ, ბალიაშვილი პავლე.

მდივანი **სტურუა.**

— ხუთშაბათს, 15 იანვარს, საღამოს 5 საათზე, დეპოს აუდიტორიის დარბაზში შესდგება ლენინის რაიკომის დელეგატ-ქალთა კრება, დღის წესრიგში: „ერთი წლის მუშაობა ულენინოთ". დასწრება დელეგატ ქალებისა სავალდებულოა.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე **ბიბინეიშვილი.**

— დღეს, საღამოს 7 საათზე, შესდგება საქართველოს „რემედას"-ის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას უნდა დაესწრონ ამხ. ამხ. ჩოდრიშვილი, კვირიკაძე, ესსენ, ორახელაშვილი მარ., მუშიშვილი, რუხაძე არჩ., ჯიჯაძე, ქელიძე, გეურქოვი, ბაგდატიევა და ზაკსი.

მდივანი **პ. ხვანიძე.**

— ავლაბრის მუშათა თეატრის ოცი წლის არსებობის სადღესასწაულო საინიციატივო ჯგუფი იწვევს: დღეს, 15 იანვარს, სწორედ საღამოს 7 საათზე მესამე რაიონის პარტკლუბში შესდგება საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა. სხდომაზე მოწვეულ არიან კომისიის შემდეგი წევრები:

მიასაიკოვი, ვანო სტურუა, სუხიშვილი ლადო, ალამალი-ოღლი, აბაშიძე ლადო, ყურულოვი გიორგი, ხანოიანი ს., ამირალოვი ნ., ავაქოვი, ჯორბენაძე იასონ. კანდელაკი დავით, ალარონოვი, ავატკოვი, ენუქიძე, კონჩაკი, მურადოვი, ტროდატიანი, ვართაპეტიანი, ასრიბეკოვი, ერევანდიანი, გრიგორიანი აოშაკ, ოგანოვი, ფირალოვი, ტერ-ვართანოვი ბეკანოვი, ბაბაიანი, ხმალაძე, ლარიბოვი, ბალდასაროვი.

განცხადებები

ს. ლ. ა. კ. კ. სენაკის სამაზრო კომიტეტი აცნობებს ყველა აქტიურ მუშაკებს, სამაზრო, საოლქო და რაიონული კომიტეტებს, რომ სამეგრელოს ორგანიზ. საძირკვლის ჩამყრელის და საქართველოს კომკავშირის უძველეს ორგანიზატორთაგანის ამხ.

დავით კაჭარავას

დაკრძალვა მოხდება 18 იანვარს აბაშაში დღის 1-ლ საათზე.

საქ. კომ. პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტი აუწყებს სენაკის ორგანიზაციის ყველა წევრებს და კანდიდატებს ძვირფასი ამხანაგის

დათიკო კაჭარავას

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება კვირას. 18 იანვარს, 1 საათზე დაბა აბაშაში. 95 1—1

ღრმად დამწუხრებული ძმები მაკარი, ვანო, ნიკო და ზაქრო ურუშაძეები აუწყებენ მათ ნათესავთ, ნაცნობებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ტვინის ანთებით გარდაიცვალა ს. ლიხაურში 8 იანვარს მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი ძმა მე-4 შრომის სკოლის მე-8 ჯგუფის მოწაფე

კალენიკე ფილიპეს ძე ურუშაძე

დასაფლავება მოხდა 11 იანვარს ს. ლიხაურში.
№ 98. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი დედა კატო, და ტატიანა, ბებია ელისაბედი და ბიძა ბეგლარი გვათუა ამით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ უდროვოდ დაკარგვას მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

კონსტანტინე (მოკო) აქამიასი

დაკრძალვა მოხდა 9 იანვარს, ს. ეკში საღამოს 4 საათზე. 9(

ძმა გაბრიელ სვიმონის ძე, და ოლა სვიმონის ასული მარგველაშვილები, შვილები გიორგი და მიხეილ ივანეს ძეები მელვინეთუხუცესიშვილები, ძმისწულები სიკო, შალვა, ირაკლი და ზოთა აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს 12 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი და პირველების, დედა მეორეების, მესამეების მამიდა

ბარბარე (ვარო) სვიმონის ასული
მარგველაშვილი-მელვინეთხუცესიშვილისა

დასაფლავების დღე პარასკევი, 16 იანვარი, ნაშუადღევის 4 საათზე გადასვენებულ იქნება მიხეილის სახელობის საავადმყოფოდან და დასაფლავებული ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე
№ 100. 1—1

გაზეთის ხელისმომწერლების საყურადღებოთ

ცხადდება შემდეგი:

1) მისამართები უნდა იყოს სწორათ და გარკვევით დაწერილი.
2) ყოველგვარი ცნობის მისაღებად აუცილებლივ საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მიცემულ ქვითარის ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა არავითარ ცნობას არ მისცემს დაინტერესებულ პირთ.
3—2
კანტორა.

სახელმწიფო დრამა
დღეს, 15 იანვარს
გააზნაურებული მდაბიო
ნ. № 634 3—3

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 15 იანვარს
წინასწარმეტყველი
პარასკევს, 16 იანვარს
ოქროს მამალი
შაბათს, 17 იანვარს
კარმენ
ბარონქენის მონაწილეობით ნ. № 633 5—3

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—12

თბილისის აღმასკომის სადგილ-მამულო ქ.-განყოფილება
ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ა.-წ. 17 იანვარს დღის 12 საათზე მისგან დანიშნულია შეჯიბრებითი წესით ქალ. თბილისში მდებარე შემდეგი ბაღების
საჯარო ვაჭრობა
1. ყოფ. ზარგარიანცის ბაღის ნ წილი . . ორთაჭალაში
2. „ წვერავასი . . . . . ნავთლუღში
3. „ ჩილინგაროვისა . . . . პლეხანოვის პრ. № 67 | 69
შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ უნდა წარმოდგენილ იქმნას 10 მანეთი საწინდარი.
დანარჩენი დაწვრილებითი ცნობების მიღება მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქ.-განყოფილების კანცელარიაში (აღმასკომის შენობა, ოთახი № 66).
ნის. 656. 1—1 ქვე-განყოფილების გამგე ჯაფარიძე.

რუსთაველის და კრუზენშტერნის ქ. კუთხე
შრომის ინვალიდთა
სასადილო
ოჯახური სადილი 2 კერძი=45 კაპ. } 2—5 საათამდე.
შრომის ინვალიდთათვის=30 კაპ. }
მთელი დღე უკრავს მუსიკა. ღვინო ყველა ფირმების ფასი 60 კ.—1 მ. ბოთლი. ვღებულობთ ყოველგვარ შეკვეთებს როგორც სადილის, ისე ვახშმისას დაკლებულ ფასებში.
ნ. № 563—8—4

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას 18 იანვარს დილის 11 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 653. 1—1

საქ. სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი
ამით აცხადებს, რომ
საჯარო გასინჯვა კინო-მოთხრობის
„ქარიშხალის წინ"
გადადებულია ა. წ. იანვრის 20-სათვის
საღამოს 8 საათისათვის, კინო-თეატრი
„აისში"
მოწვეულთ ვსთხოვთ მობრძანდნენ ამ დროისთვის და თან იქონიონ მოწვევის ბარათი. ნ. 657 1—1

22 იანვარი
გაიხსნება ახალი კინო-თეატრი
22 იანვარი
აისი
კონსერვატორიის დიდი დარბაზი
სიმფონიური ორკესტრი
„ქარიშხალის წინ"
კინო-მოთხრობა 8 ნაწ.
დადგმა: კოტე მარჯანიშვილის სცენარი შ. დადიანი
დაწერილია სპეციალური მუსიკა კომპოზიტორ დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით.
სიმფონიური ორკესტრი 22 კაცისაგან. ნის. 654 4—1

მხოლოდ ორი კვირა
13 იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე
ვისაც სურს კარგათ და იაფათ შეიმოსოს
დაჩქარებით მიმართეთ
„ბრუზშვეიპრომ"-ის მაღაზიებს:
1. რუსთაველის პროსპ. № 11, ტელ. 11--38.
2. მადატოვის კუნძული ტელ. 17--96.
სეზონის გათავების შემდეგ დანიშნულია დამზადებული ტანისამოსის გაყიდვა შეღავათიან ფასებში; შეღავათი 5--40 პროცენტამდი.
არის მრავალი სხვადასხვაგვარი წყალგაუვალი წამოსასხამები.
ნ. 637 2—2
მხოლოდ ორი კვირა

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—5

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყოფთა ელექტრონით წამლობა
მიღება საღ. 7—8 საათ.
ლენინის (ოლღას ქ. № 49)
ტელეფ. 4—82.
25—3

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).
ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
3083 25—25

კერძო
გინეკოლოგიური და ქირურგიული
საავადმყოფო
თერაპევტიული განყოფილებით
სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.
ამბულატორული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.
სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13
ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.
ნის 372—100—27

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მოსე
ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.
ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.
პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
№ 2969 25—9

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ.
№ 3203. 25—14

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 15103 ებიტაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 91 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა კიმოთე ზაქარიას ძე არჩუაძეს სახელზე გაცემული რაჭის მაზრის ამბროლაურის რაიაღმასკომიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 94 1—1

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი გაცემული შორაპნის სამხედრო მაგიდის უფროსისაგან ისააკ კიკორგის ძე აბდუშელიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 96 1—1

დაიკარგა: კოსტა, გიორგი და ევგენი გურესაშვილების პასპორტის მოწმობა გაცემული საინგილოს განყოფილებიდან პაოლინა ვდოლციის ასულის გურესაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 96 1—1

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა სულუქიძის ქუჩა № 4